# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 მარტი **ოთხშაბათი** 2010

№050 (13038) ფასი 60 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველო-ესტონეთი**

ეროვნული ნაკრებები. ამხანაგური მატჩი.

ბორის პაიჭაძე, 19:00 (I არხი, LIVE)

# გავიხსენოთ მოგების გემო!



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ესტონეთთან ამხანაგური მატჩის წინ გუშინ ბოლო ვარჯიში გამართა. ორშაბათ საღამოს გუნდი სრულად შეიკრიბა - ოცდაერთივე ფეხბურთელი **თემურ ქეცბაიას** განკარგულებაში იყო.

ნაშუადღევს თეორიული მეცადინეობა ჩატარდა, ამის მერე იყო სადილი და დასვენება, ხოლო შემდეგ ეროვნული სტადიონი, სადაც 19 საათისთვის ესტონელებმა დაასრულეს წვრთნა და მოედანი ქეცბაიას შეგირდებს დაუთმეს.

თავდაპირველად, ფეხბურთელებმა მოედნის გარშემო ირბინეს, რასაც გაწელვითი ვარჯიშები მოჰყვა. ამის მერე ჯგუფს გამოეყვნენ მეკარეები, რომლებიც **მამუკა აბუსერიძემ** გადაიბარა. დანარჩენები კი ქეცბაიამ ორად გაყო და „კვადრატი" გააჩალებინა. მთავარი მწვრთნელის გარდა, ვარჯიშს ფიზიკური მომზადების სპეციალისტი **მიხალის მიხალისიც** აკვირდებოდა.

„კვადრატის" შემდეგ ნაკრები კომბინაციების დამუშავებასა და „სტანდარტულებზე" გადავიდა, ბოლოს კი „ორკარას" ჯერი დადგა. ქეცბაიამ ფეხბურთელები პირობითად ორ გუნდად დაყო...

» გვერდი 2

# მარადონამ გერმანელები გააგიჟა

» გვერდი 6-9

მსოფლიო ფეხბურთი



# 1:1 არ გვაწყობს



## გაბელია ფლანგურ შეტევებს ამზადებს

დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები „ლოკომოტივის" სტადიონზე ესტონელ თანატოლებს უმასპინძლებს. **ოთარ გაბელიას** გუნდმა გუშინ მიხეილ მესხის სახელობის არენაზე გენერალური რეპეტიცია გაიარა. მოედანმა, რბილად რომ ვთქვათ, მოწონება ნამდვილად ვერ დაიმსახურა. გაოცებულნი დარჩნენ სტუმრებიც. მათ დილით ივარჯიშეს, 16 საათზე კი სტადიონზე საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები გამოჩნდა. ძუნძულის შემდეგ გაბელიამ ფეხბურთელებს ტაქტიკური დავალებები მისცა. ორად გაყოფილი გუნდი „შავების" (სავარაუდოდ, მთავარი გუნდი) შეტევების დამუშავებაზე მუშაობდა.

**შავები (მეკარის გარეშე):** თომაშვილი, კაკუბავა, ხიდეშელი, სანაია - კლიმიაშვილი, ივანიშვილი, დაუშვილი, განუგრავა, ანანიძე - ბარაბაძე.

**თეთრები:** კვასხვაძე - შონია, კობახიძე, ხატიაშვილი, თოთაძე - ჭედია, ძალამიძე, კანდელაკი, ოქრიაშვილი.

უმეკარეო „შავები" ათი კაცით დაკომპლექტდა. ისინი შემტევები იყვნენ, რვაკაციანი „თეთრები" კი თავს იცავდნენ. ამ დროს კი მეორე გოლკიპერ **გიორგი ბახტაძეს** მეკარეთა მწვრთნელი **დავით გვარამაძე** ავარჯიშებდა. ამ სურათით უნდა დავასკვნათ, რომ ესტონეთთან კარს **როინ კვასხვაძე** დაიცავს. თვალში საცემი იყო, რომ ფორვარდი **გიორგი ივანიშვილი** უკან **დასწიეს**, წინ კი „ანჟის" თავდამსხმელი **რევაზ ბარაბაძე** გაამწესეს.

ანუ, ჩვენი გუნდის შემადგენლობა, სავარაუდოდ, ასეთი უნდა იყოს (შესაძლოა, ცვლილება ნახევარდაცვაში): **კვასხვაძე - თომაშვილი, კაკუბავა, ხიდეშელი, სანაია - კლიმიაშვილი, დაუშვილი, განუგრავა, ანანიძე - ივანიშვილი - ბარაბაძე.**

შემადგენლობის მეორე ვარიანტი ტაქტიკური ვარჯიშის მეორე ნაწილში გამოჩნდა, როცა გაბელიამ ნახევარდაცვა შეცვალა. ალბათ, მთავარი მწვრთნელი აკვირდებოდა, ვინ უკეთ ასრულებდა დავალებას და შესაბამისად, შემადგენლობასაც ამის მიხედვით ცვლიდა:

**შავები (მეკარის გარეშე):** თომაშვილი, კაკუბავა, ხიდეშელი, სანაია - კლიმიაშვილი, დაუშვილი, ძალამიძე, ოქრიაშვილი, ანანიძე - ბარაბაძე.

**თეთრები:** კვასხვაძე - შონია, კობახიძე, ხატიაშვილი, თოთაძე - ჭედია, განუგრავა კანდელაკი, ივანიშვილი.

როგორც არ უნდა იყოს, გაბელიას მაინც ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი ეყოლება, პლუს პლეიმეიკერი და შემტევები ფლანგებზე. აქედან დასკვნა: გაბელია ფლანგის ნახევარმცველთა აქტიურობაზე დიდ იმედებს ამყარებს. ვარჯიშის დასკვნითი ნაწილი სწორედ ცენტრიდან კომბინაციის ფლანგებზე გაშლას დაეთმო. მწვრთნელის ტაქტიკა არც ისე ფრთხილია და სქემიდან ჩანს, რომ ახალგაზრდულის მწვრთნელი 4-5-1-ს გამოიყენებს. არ არის გამორიცხული, ის 4-3-3-ადაც გარდაიქმნას.

მოკლედ, ასე. ბოლოს კი დავძენთ, რომ დღევანდელი მატჩის არბიტრი კვიპროსელი **მარიოს სტამატისი** იქნება.

U21. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 12.08.09 | შვეიცარია-ესტონეთი | 0:1 |
| 05.09.09 | ესტონეთი-საქართველო | 2:0 |
| 09.09.09 | საქართველო-თურქეთი | 4:0 |
| 09.09.09 | ესტონეთი-ირლანდია | 1:1 |
| 09.10.09 | ესტონეთი-შვეიცარია | 1:4 |
| 09.10.09 | ირალნდია-საქართველო | 1:1 |
| 14.11.09 | საქართველო-ირლანდია | 1:1 |
| 14.11.09 | სომხეთი-ესტონეთი | 1:1 |
| 18.11.09 | თურქეთი-ესტონეთი | 0:0 |
| 18.11.09 | შვეიცარია-საქართველო | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ. | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 7 | 5 | 1 | 1 | 14-6 | 16 |
| 2. თურქეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-9 | 10 |
| 3. ესტონეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 6-6 | 9 |
| 4. საქართველო | 5 | 1 | 2 | 2 | 6-5 | 5 |
| 5. სომხეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 9-13 | 4 |
| 6. ირლანდია | 6 | 0 | 4 | 2 | 5-11 | 4 |

დღეს

ირლანდია-სომხეთი

მერაბ მამულაშვილი

**საქართველო-ესტონეთი**

U21. შესარჩევი მატჩი.

მიხეილ მესხი, 15:00 (I არხი, LIVE)

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი · საქართველო-ესტონეთი · მზადების ბოლო დღე

# გავიხსენოთ მოგების გემო!

## მოძრაობა, სწრაფი აზროვნება, კოორდინაცია... კანდელაკი არ დაგვაკლდება

« პირველი გვერდიდან

„მწვანეები“: სალუქვაძე, ასათიანი, კალაძე, კვირკველია, მენთეშაშვილი, მერებაშვილი, კოშკაძე, სირაძე, იაშვილი.

„წითლები“: ხიზანიშვილი, კაშია, კანდელაკი, კობიაშვილი, დვალიშვილი, შაშიაშვილი, გოგუა, მარცვალაძე, ვაწაძე.

ამ ორი შემადგენლობიდან ძნელია გადაჭრით რომელიმეზე თქვა, რომ ეს ცხრა მოთამაშე დღევანდელ შეხვედრაში უცილობლად სასტარტო შემადგენლობაში იქნება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ჯგუფიდან, „მწვანეების“ გუნდი უფრო მეტად იყო მიახლოებული ძირითად შემადგენლობასთან. თუმცა სჯობს მარჩიელობას ნუ შევუდგებით. ეს საკითხი ნაკრების თავკაცის პრეროგატივაა და თავადვე გადაწყვეტს სასტარტო 11-ეულს. ჩვენ კი ცოტაც მოვიცადოთ და დღეს საღამოს ვიხილავთ სასტარტო შემადგენლობას და მთლიანად სანაკრებო კონტინგენტს საქმეში ვნახავთ.

მანამდე კი ვნახოთ, რით ხასიათდებოდა **თემურ ქეცბაიას** მიერ ჩატარებული წვრთნა. ცნობისათვის, ეს ეროვნული გუნდის პირველი ვარჯიში იყო წელს, რომელსაც თავიდან ბოლომდე დავესწარით. ამ წვრთნაში ნაკრები სრული შემადგენლობით წარდგა და ბუნებრივია, მწვრთნელის რამდენიმე მოთხოვნაც არ გამოგვრჩენია. აშკარად გამოჩნდა, რომ ქეცბაია მომთხოვნია მწვრთნელია, მთლიანად ფლობს გუნდში არსებულ სიტუაციას და სრულად აკონტროლებს ვითარებას. მართალი რომ ვთქვათ, ეს არც იყო გასაკვირი... უბურთოდ მოძრაობა და სწრაფი აზროვნება - ქეცბაიამ თანამედროვე ფეხბურთის ამ ორ მნიშვნელოვან კომპონენტზე გააკეთა აქცენტი... მეკარისა და მცველების კოორდინირებული მოქმედება, სწრაფი თამაში და ბურთზე შეძლებისდაგვარად ნაკლები შეხება... თანამედროვე ფეხბურთში ეს აუცილებელი კომპონენტებია და ამაზეც მოუხდა ნაკრების თავკაცს ყურადღების გამახვილება.

აშკარად იგრძნობოდა, რომ ფეხბურთელებს ჟინი და მონდომება არ აკლდათ და რაც მთავარია, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია...

ორშაბათის ვარჯიშის შემდეგ, „შტურმის“ მცველი **ილია კანდელაკი** კუნთმა შეაწუხა. თუმცა კანდელაკმა გუშინ თავიდან ბოლომდე ივარჯიშა. წვრთნის შემდეგ ავსტრიულ გუნდში მოასპარეზე ჩვენი მცველის შესახებ ეროვნული ნაკრების ექიმ **დიმიტრი ზაალიშვილს** დავეკითხეთ.

*„დიახ, მართალია, ორშაბათის ვარჯიშის შემდეგ კანდელაკი უკანა მომზიდველი კუნთის ტკივილმა შეაწუხა. ილიას კუნთის დაჭიმულობა ჰქონდა, მაგრამ ეს საგანგაშო ვითარება სულაც არ ყოფილა. ჩვენ ყველა საშუალება გამოვიყენეთ და კანდელაკის მდგომარეობა დღეს ბევრად უკეთესია. როგორც ნახეთ, ილიამ სრულად მიიღო ვარჯიშში მონაწილეობა. წვრთნის შემდეგაც დავაკვირდით და შეიძლება ითქვას, რომ აშკარად უკეთესი მდგომარეობაა. ხვალ კიდევ დავაკვირდებით. კუნთის ტკივილი საგანგაშო არაა, მაგრამ რთულად პროგნოზირებადია. ჩვენ, სამედიცინო პერსონალი, კვლავაც ყველაფერს გავაკეთებთ რომ კანდელაკი სრულად მწყობრში ჩადგეს. ვიმედოვნებთ, ილია კანდელაკი ესტონელთა წინააღმდეგ თამაშს შეძლებს“,* - „ლელოსთან“ საუბარში აღნიშნა ზაალიშვილმა.

### კალაძე:

## ვეცდებით, ქომაგებს ნანატრი სიხარული დავუბრუნოთ

ვარჯიშის დასრულების შემდეგ ნაკრების კაპიტან **კახა კალაძეს** ესტონეთთან მატჩზე, ნაკრებსა და საკლუბო საკითხზე დავეკითხეთ.

- 3 მარტს ეროვნულ გუნდს წლის პირველი მატჩი აქვს და ფაქტობრივად ამით იწყება ახალი შესარჩევი ციკლი. წარუმატებლობები, რაც წინა წლებში იყო, ყველამ უნდა დავივიწყოთ და მომავალზე ვიზრუნოთ. ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს. თემურ ქეცბაიამ დაამტკიცა, რომ მაღალი დონის მწვრთნელია და მჯერა ჩვენს ეროვნულ გუნდსაც წაადგება. ერთი სიტყვით, ყველა ერთად შევეცდებით ჩვენს გულშემატკივარს ის ნანატრი წარმატებები და სიხარული დავუბრუნოთ, რასაც დიდი ხანია ელის. სამუშაო ბევრი გვაქვს, მაგრამ არ უნდა შევუშინდეთ, ეტაპობრივად მივყვეთ გასაკეთებელს და გვქონდეს რწმენა, რომ მონდომებით დაიწყება.

**- უკვე კარგა ხანია „მილანში“ თამაში არ გიწევთ. უცხოურ პრესაში არაერთხელ გაჟღერდა, კალაძე კლუბს შეიცვლისო...**

- უთამაშებლობა ჩემთვის მიუღებელია. მით უმეტეს ახლა, როცა უკვე სრულად გამოვჯანმრთელდი და კარგ კონდიციაში ვარ. თუ ისევ გაგრძელდება ჩემი უთამაშებლობა, მაშინ, რა თქმა უნდა, კლუბის შეცვლაზე ვიზრუნებ.

**- ზოგი ფიქრობს, რომ ლეონარდო შეგნებულად, რაღაც მიზეზის გამო არ გათამაშებთ...**

- არა, ამ შემთხვევაში მწვრთნელი არაფერ შუაში არაა. კონკრეტულად საუბარი არ მინდა, ალბათ ჩემი ამ სიტყვების შემდეგ ბევრი მიხვდება, რას ვგულისხმობ.

დაბოლოს, დღეს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველო-ესტონეთის ეროვნული ნაკრებების მატჩი 19 საათზე დაიწყება. თამაშზე დასასწრები ბილეთის ფასი 3, 5 და 10 ლარია. ბილეთები უკვე ორი დღეა, რაც ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე იყიდება. ჩვენი მონაცემებით, სტადიონის საერთო ტევადობის (დაახლოებით 60 ათასი) 1/4-ზე მეტი ბილეთი უკვე გაყიდულია. ბილეთები დღესაც გაიყიდება... შევიკრიბოთ ეროვნულ სტადიონზე და ვუქომაგოთ ქვეყნის უმთავრეს გუნდს. ეს თემურ ქეცბაიას სადებიუტო მატჩია. შეგახსენებთ, რომ ესტონეთთან ტალინში 2008 წლის მაისში 1:1 ფრე ვითამაშეთ. ჩვენს ეროვნულს 2008 წლის 20 აგვისტოს, უელსში წარმატების (2:1) შემდეგ აღარ გაუმარჯვია. ვუქომაგოთ ნაკრებს და ერთად მოვიგოთ, გავიხსენოთ გამარჯვების გემო... როგორც იტყვიან წინ, საქართველო!





### დავით სირაძე

## ესტონეთთან მოგება რწმენას დაგვიბრუნებს

**ფორვარდი დავით სირაძე გარკვეულ პაუზის შემდეგ დაუბრუნდა ნაკრებს. ნალჩიკის „სპარტაკის“ თავდამსხმელს ესტონეთთან მატჩის მნიშვნელობაზე, ნაკრების მომავალსა და საკლუბო თემებზე რამდენიმე კითხვით მივმართეთ.**

**- რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ისევ ეროვნულ ნაკრებში ხართ. ალბათ მოგენატრათ ეროვნულში თამაში...**

- რა თქმა უნდა, ძალიან მომენატრა. ბოლოს ირლანდიასთან გასვლით მატჩში ვითამაშე, მერე გამოძახებული აღარ ვყოფილვარ და მართლა მომენატრა ეროვნულში თამაში. ახლა ისევ მიხმეს და ჩვეული მონდომებითა და ჟინით ვარ განწყობილი. წლის პირველი მატჩი გვაქვს, მართალია ამხანაგური, მაგრამ ამ თამაშს ამხანაგურზე მეტი დატვირთვა აქვს. ფაქტობრივად, 3 მარტის მატჩით ვიწყებთ ახალ საკვალიფიკაციო ეტაპს. ახალი მწვრთნელისთვისაც, გულშემატკივრისთვისაც, თავად ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვისაც და მთლიანად საერთო ვითარებისთვის, ამ თამაშის მოგება აუცილებელია.

**- პირველი მატჩი ყველას უჭირს. მით უმეტეს, უკვე წელიწადნახევარია ნაკრებს არ მოუგია და ეს ფაქტორი ერთგვარად გუნდის ფსიქოლოგიაზეც აისახება. როგორ ფიქრობთ, შევძლებთ ამ კომპლექსის გადალახვას და ოთხშაბათის მატჩის მოგებას?**

- უნდა შევძლოთ, სხვა გზა არაა. მართალია ამ თამაშის მოგებისთვის ქულებს არავინ დაგვიწერს, მაგრამ ამ შემთხვევაში ქულებზე უფრო მნიშვნელოვანი რწმენის მომენტია. ამ თამაშის მოგებით, მთლიანად გუნდი საკუთარ ძალებს ირწმუნებს და ეს გარკვეული ბაზისი იქნება მომავალი წარმატებებისთვის. ასე რომ, ესტონეთის ნაკრებთან მოგება გუნდსა და გულშემატკივარს რწმენას დაგვიბრუნებს და ეს აუცილებლად უნდა შევძლოთ.

**- ჩვენს გუნდს მოსაგებად არაერთი ფაქტორი უწყობს ხელს - „საშინაო კედლები“ და გულშემატკივარი, კონტინგენტი, მეტოქეზე მაღალი კლასის ფეხბურთელები... გარდა ამისა, ამ შემთხვევაში ტრავმების გამო დანაკლისი მნიშვნელოვანი ნამდვილად არაა...**

- დიახ, ეს ფაქტორები მართლაც ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. ჩვენ შეგვიძლია და ეს თამაში უნდა მოვიგოთ. როგორც ნაკრების თავკაცმა თემურ ქეცბაიამ თქვა, ჩვენ, ფეხბურთელებმა, ყველა მატჩი, ამხანაგური იქნება თუ საკვალიფიკაციო ეტაპის, ბოლომდე უნდა გავიხარჯოთ მოედანზე და წარმატებებიც გვექნება.

**- როგორ კონდიციაში ხართ?**

- უკვე მესამე თვე დაიწყო, რაც ნალჩიკის „სპარტაკში“ ახალი სეზონისთვის ვემზადებით. მოსამზადებელ შეკრებაზე კარგი ფიზიკური მომზადება გავიარეთ, ბევრი საკონტროლო მატჩში ჩავატარეთ და ვფიქრობ, კარგ კონდიციაში ვარ.

**- ნალჩიკის „სპარტაკთან“ ორი წლით გააგრძელეთ კონტრაქტის ვადა. უკეთესი ვარიანტები თუ განიხილებოდა?**

- კლუბის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ გასული ჩემპიონატის დასრულებამდე შემომთავაზა ახალი ხელშეკრულების გაფორმება. იმ პერიოდისთვის სხვა ვარიანტი აქტიურად ნამდვილად არ განიხილებოდა და რაც ნაღდი იყო, იმაზე გავაკეთე აქცენტი, კონტრაქტის ვადა 2 წლით გავაგრძელე.

**- გასული სეზონის მეორე ნახევარში გოგიტა გოგუა გროზნოს „ტერეკში“ იყო განათხოვრებული. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი დაგიბრუნდათ. ალბათ დამეთანხმებით, რომ მნიშვნელოვანი მატება გაქვთ...**

- რა თქმა უნდა. გოგიტა გოგუა, არა მარტო ჩვენი, არამედ ნებისმიერი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ძალაა. ის ჩვეული აქტიურობით აგრძელებს ჩვენს გუნდში მზადებას. შეკრებაზე ყველა საკონტროლო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ერთ-ერთი გამორჩეული იყო.

**- გოგუა კი დაგემატათ, მაგრამ ალბათ ამისულაშვილი მალე გამოგაკლდებათ. ალეკოს ზაფხულში კლუბთან კონტრაქტის ვადა ეწურება. მისი გადაბირება ყაზანის „რუბინსა“ და სხვა კლუბებს სურთ...**

- კი, ივნისში უმთავრდება კონტრაქტი და ხელშეკრულებას არ აგრძელებს. რამდენადაც ვიცი არაერთი წინადადება აქვს და წავა თუ დარჩება, ამას ზაფხულში გადაწყვეტს.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

„ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ძველი ლელოელი, ცნობილი ჟურნალისტი

**გიორგი (გოგი) ჩოჩიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი — საქართველო-ესტონეთი — მზადების ბოლო დღე

# მალხაზ ასათიანი
# მაყურებლის დაბრუნება ჩვენზეა დამოკიდებული

## ლატვიისთვის შესაძლებელი ჩვენთვის რატომაა შეუძლებელი?!

**მალხაზ ასათიანი ნაკრებში დაბრუნდა და გულშემატკივარსაც დაუბრუნდა იმედი, რომ „მკვდარი გუნდი" ოდნავ მაინც გამოცოცხლდება. ფეხბურთი გუნდური სახეობაა, მაგრამ გამორჩეული ფეხბურთელები ყველაფერს წყვეტენ. ასათიანი კი სწორედ ასეთია - ძლიერი ინდივიდუალისტი, რომელიც გულშემატკივარს გამორჩეულად უყვარს.**

**- მალხაზ, გილოცავ ნაკრებში დაბრუნებას. ყველა მწვრთნელის დანიშვნა გუნდში ცვლილებას იწვევს. ქეცბაიასგან რას სიახლის იმედი გაქვს?**

- უცხოელებისგან განსხვავებით, თემურ ქეცბაიას საქართველოში წარდგენა არ სჭირდება, არც ახალი სახეა, ჩვენი გულშემატკივარი კარგად იცნობს და უყვარს. ვფიქრობ, დროა, რალაც გავაკეთოთ და გულშემატკივარი ჩვენკენ შემოვატრიალოთ. ვფიქრობ, ქეცბაიას ეს შეუძლია. თორემ, თავადაც იცით, ხალხი როგორაა განწყობილი, ალარც ტელევიზორში სურს თამაში ყურება, არც სტადიონზე მოსვლა უნდა და საერთოდ, ფეხბურთის გაგონება, რადგან წარმატება არ გვაქვს.

**- ეს მართლაც სამწუხარო ტენდენციაა, ნაკრების უჯიგრო და უმსგავსო თამაშმა ხალხს ფეხბურთი შეაზიზღა.**

- ამას ყველა კარგად ვხვდებით და ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, მოვახერხებთ თუ არა ხალხის შემოტრიალებას. ტყუილია, რომ ამბობენ, არ ინდომებენო. ვინდომებთ, მაგრამ რალაც-რალაცები არ გამოგვდის. თემურ ქეცბაიამ მართალი თქვა, ახალი ციკლისთვის მომზადება დღეს იწყება და ვიცი, ბიჭების განწყობა, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, ყველა მეტოქესთან გულიანად ვითამაშებთ და თავადაც ვისიამოვნებთ. ბოლოს და ბოლოს, ხალხმა უნდა ირწმუნოს, ჩვენ არ ვართ ის ქვეყანა, სადაც ფეხბურთი არ იციან. თამაში როგორ არ ვიცით, მაგრამ ამ ნიჭს და პოტენციალს ეროვნული გუნდი ვერ ავლენს. ბევრ ქვეყანაში ფეხბურთის თამაში არ იცოდნენ, მაგრამ ისწავლეს, ჩვენ კი ვიცოდით და დაგვავიწყდა? ასეთი რამ არ ხდება.

**- ნაკრებში რაც ხდებოდა და ხდება, ჩვენზე უკეთ გეცოდინება. გარედან კი ჩანდა, რომ ნაკრებში ბრძოლის სურვილიც არაა, გუნდი დაშლილი და დემორალიზებული იყო.**

- ალბათ, გარედან ასეც ჩანს. ყოველ შემთხვევაში, მე რომ ნაკრებში ვიყავი, ასე არ ყოფილა. წარუმატებლობის გამო ხალხს ჩვენი ალარ სჯერა. ქეცბაიამ ახლა სხვა გუნდი მოიწვია. მას ყველა გვერდში დავუდგებით და შეკრებამდე ამაზე იყო ლაპარაკი. დაგვარიგა, რომ ყველანი ერთად უნდა ვიყოთ, რომ ტკივილი და სიხარულიც საერთო გვქონდეს. მთავარია, სტაბილური თამაში ვაჩვენოთ. სტაბილურობას კი, იმედია, ნელ-ნელა შედეგიც მოჰყვება - გულშემატკივრის გულს მხოლოდ ასე მოვიგებთ.

**- ძლიერ კლუბებში, ძლიერ ფეხბურთელებთან გითამაშია და დღესაც თამაშობ: მოსკოვის „ლოკომოტივში", კიევის „დინამოში" და იოლად შეაფასებ - საქართველოში ძლიერი ნაკრების ჩამოსაყალიბებელ პოტენციალს ხედავ?**

- რა თქმა უნდა! მაგალითისთვის სლოვაკეთის ნაკრები ავილოთ: მათ მსოფლიო დონის ფეხბურთელი არ ჰყავთ, ჩვეულებრივი გუნდია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენზე ძლიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებული არაა. თუმცა, საქართველოს ნაკრებზე ბევრად ბრძოლისუნარიანი გუნდია, სწორი ორგანიზაცია შეძლეს და ღირსეული ნაკრები ჩამოაყალიბეს. ლატვია ავილოთ, ვარსკვლავი არ ჰყოლია, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე გავიდა. იმის თქმა მსურს, ყველაფერი შესაძლებელია და არ არის აუცილებელი, ნაკრები მაინცდამაინც „რეალის" და „ბარსელონას" ფეხბურთელებისგან შედგებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ საკმაოდ ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვყავს. თუკი მოედანზე თავს დავდებთ და თამაშის სწორად ორგანიზებას მოვახერხებთ, საქართველოს ნაკრები გულშემატკივრისთვის მისაღები გახდება.

**მერაბ მამულაშვილი**



მალხაზ ასათიანი



# გურამ კაშია:
# ქეცბაიას იმედი უნდა გავუმართლო

საქართველოს ჩემპიონატიდან **თემურ ქეცბაიამ** ეროვნულ ნაკრებში ორიოდე ფეხბურთელი გამოიძახა. ამ ერთეულებში ალმოჩნდა თბილისის „დინამოს" ცენტრალური მცველი **გურამ კაშია.**

*„როდესაც ჩემპიონატიდან ორიოდე კაცს იძახებენ და მათ შორის შენ ხვდები, ეს საამაყო და სასიხარულოა. გამოძახება იმასაც ნიშნავს, რომ შენი იმედი აქვთ და თუკი თემურ ქეცბაია მათამაშებს, ეს იმედი აუცილებლად უნდა გავუმართლო. კარგად ვაცნობიერებ, რომ ეს შანსია არა მხოლოდ ჩემთვის, საქართველოს პირველობაზე მოთამაშე სხვა ფეხბურთელებისთვისაც. თავს თუ გამოვიჩენ, ე.ი. შესაძლოა, სხვა ფეხბურთელებმაც გაამართლონ. ასე რომ, საამისოდ, ყველაფერი უნდა გავაკეთო",* - ამბობს კაშია.

თბილისის „დინამომ" „ზესტაფონის" შეხვედრა სწორედ ნაკრებში გამოძახებული ცენტრალური მცველის გატანილი ერთად-ერთი ბურთის წყალობით სძლია (1:0). კაშია ამბობს, რომ იმ მატჩის შემდეგ, ნაკრებს მშვენიერი განწყობით შეუერთდა.

*„ძალიან რთული შეხვედრა იყო და ჩვენმა გამარჯვებამ უზომოდ გამახარა. რა თქმა უნდა, მეამაყება, უშუალო კონკურენტებთან შეხვედრა ჩემი გოლით რომ მოვიგეთ. ამან ხასიათი შემიცვალა და ნაკრების შეკრებაზე მშვენიერი განწყობით მოვედი".*

**მერაბ მამულაშვილი**

U 21

# გიორგი ხატიაშვილი
# ჩემს შანსს ველოდები

**ოთარ გაბელია** საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გიორგი ხატიაშვილს სტაბილურად იწვევს. თბილისის „ლოკომოტივის" ცენტრალური მცველის მიმართ მისი სიმპათია შემთხვევითი არ უნდა იყოს. გიორგი „ლოკომოტივის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია და საკმაოდ საიმედო და გონიერი მცველის შთაბეჭდილებას ტოვებს. ალბათ, საფეხბურთო მემკვიდრეობა თავისას შვრება - გიორგის მამა, თბილისის „დინამოს" დუბლებისა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მოთამაშე გოჩა ხატიაშვილია, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ უმძიმესმა ტრავმამ მის კარიერას ხაზი გადაუსვა. ამ გვარის სპორტული გატაცება ფეხბურთით არ ამოიწურება - გიორგის ბიძაშვილი, ქეთი ხატიაშვილი მხატვრულ ტანვარჯიშში საქართველოს ნაკრების წევრი და მრავალი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორია...

როგორც ცნობილია, გაბელიამ იანვარში თურქეთში ექსპერიმენტული შემადგენლობა წაიყვანა და იმ შემადგენლობიდან დღეისათვის ნაკრებში მხოლოდ ხატიაშვილი და „დიორი ეტოს" მეკარე გიორგი ბაბტაძე მოხვდნენ, გიორგი კი „საექსპერიმენტოს" კაპიტნობდა.

**- გიორგი, ჯერ „ლოკომოტივზე" ვილაპარაკოთ: გუნდმა მოულოდნელად წინსვლა დაიწყო - რა გახდა მიზეზი?**

- არა მგონია, ეს მოულოდნელი იყოს, რადგან პირველ წრეშიც რამდენიმე საინტერესო თამაში ჩავატარეთ და წინსვლა ყოველ შეხვედრაში გვეტყობოდა. მეორე ეტაპზე კი სამი ფეხბურთელი დავიმატეთ - ზვიად მეტრეველი, გიორგი ჭელიძე და რვა თვის უთამაშებელი ბონდო გოცირიძე. ამ სამეულმა ჩვენს წინსვლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და დიდი ძალა შეგვმატა. 6 მარტს „გაგრასთან" შეხვედრა გვაქვს და იქ გაირკვევა, შევძლებთ თუ არა, კონკურენტს უფრო გავასწროთ. ეგაა, სანაკრებო შეხვედრის შემდეგ, ძალის ალსადგენად პატარა პაუზა მექნება, მაგრამ ეს ისეთი შეხვედრაა, განსაკუთრებულად უნდა მოვინდომო. „გაგრასთან" თამაში ჩემპიონატში ბევრ რამეს წყვეტს.

**- როგორც ვიცი, ნაკრებში ჯერ ოფიციალურ შეხვედრა არ ჩაგიტარებია.**

- ასეა, ოფიციალურში დღემდე არ მითამაშია. ამხანაგურებში კი ყველა ჩავატარე. ფეხბურთელი ყოველთვის თავის შანსს ელოდება და გამონაკლისი არც მე ვარ. თუმცა, ისეთი დიდი კონკურენციაა და შემადგენლობაში მოხვედრა იოლი არ არის. მიწვევით და გაბელიას ნდობით ბედნიერი ვარ, მაგრამ რა თქმა უნდა, ჩემს შანსს ველოდები.



**- თურქეთში „რაპიდთან" და „თუნთან" ითამაშეთ. ასეთი მატჩები ფეხბურთელს ყოველთვის საფიქრალს უტოვებს - რა გვაკლია მათი დონის მისაღწევად?**

- „რაპიდთან" შეხვედრამდე ბიჭები ინტერნეტში შევძვერით და „რაპიდზე" ინფორმაციები მოვძებნეთ. გუნდი ავსტრიაში პირველ ადგილზე იყო და ამან დაგვძაბა. ფაქტობრივად, ჩვენ ახალგაზრდულის დუბლიორები ვიყავით და ერთმანეთს, თითქმის, არ ვიცნობდით. ასეთ ცნობილ და ძლიერ კლუბთან შეუთამაშებელი შემადგენლობით თამაში კი რთული იყო. ამის მიუხედავად, მოედანზე მაგრად დამუხტულები გავედით, მაგრამ არ დავმალავ, ძალიან გაგვიჭირდა. შეიძლება, გაგვიმართლა კიდეც. ლამის ორმეტრიანი ფეხბურთელები ჰყავთ, ჯანიანები, ათლეტურები და სწრაფები. აი, ეს იყო ჩვენ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება. ავსტრიელებთან ფრეც რთული მისაღწევი გვეგონა, მაგრამ ჩვენში თავმოყვარეობამ გაილვიძა და მონდომების ხარჯზე, ბოლომდე ვეომეთ, არაფერს ვუთმობდით. ალბათ, ისინიც თავაწეულები გამოვიდნენ და ვერ წარმოედგინათ, ასეთ წინაალმდეგობას თუ გავუწევდით. თუმცა, ავსტრიელების თამაშის ხარისხი ჩვენსას სჯობდა.

**- ესტონეთთან შეხვედრაში რა შედეგს ელი?**

- პირველი შეხვედრის წაგებისთვის რევანში უნდა ავილოთ. დარწმუნებული ვარ, მოედანზე გამოსული ყველა ჩვენიანი ბოლომდე დაიხარჯება. ჯგუფში გამარჯვების ბოლო შანსი დაგვრჩა და უნდა ვისარგებლოთ. ფრეც ალარ გვეყოფა, რადგან შემდეგ თურქეთთან და სომხეთთან ძალიან რთული მატჩები გველის.

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქე

# მშვიდად გატარებული ერთი საათი

**ესტონეთის** ეროვნული ნაკრების ვარჯიშმა ეროვნულ სტადიონზე ზუსტად ერთ საათს გასტანა. სტუმრებმა წვრთნა ენერგიულად დაიწყეს. გუნდის მთავარი მწვრთნელი **ტარმო რუუტლი** მაინცდამაინც არ აქტიურობდა. იგი უმეტესად მოედნის კიდესთან იდგა, ვარჯიშს კი მისი ასისტენტები წარმართავდნენ. გუნდს თავიდანვე გამოეყვნენ მეკარეები, რომლებმაც ახლო წარსულში ცნობილი გოლკიპერის, **მარტ პოომის** ხელმძღვანელობით ივარჯიშეს.

ტრადიციულად, პირველი ნაწილი მოთელვას დაეთმო, რის შემდეგაც ესტონელებმა მოედნის მცირე მონაკვეთზე „კვადრატი" გააჩაღეს. მალე ფეხბურთელებმა სარბენი ბილიკებიდან მოედანზე მესამე კარი შეიტანეს, ცენტრში დადგეს და ორმხრივი თამაში ნახევარ მინდორზე გაატარეს. რაკი ესტონეთის ეროვნული ნაკრები თბილისში მხოლოდ 16 ფეხბურთელის შემადგენლობით ჩამოვიდა, თამაში 8-8-ზე ჩატარდა. ვერ ვიტყვით, რომ ვარჯიშის დროს ბალტიელებმა ბევრი ოფლი დალვარეს. ამ ერთი საათის განმავლობაში პაუზებიც საკმაოდ იყო. მეკარეებმა მინდვრის მოთამაშეებზე გაცილებით მეტი იშრომეს.

რა გასაკვირია და ესტონელთა ქმედებაში იოლად შეინიშნებოდა ტექნიკური წუნი, მაგრამ ამაზე მწვრთნელებს განსაკუთრებული რეაქცია არ ჰქონიათ. გამოსარჩევი კიდევ ის იყო, რომ რუუტლის შეგირდებმა დიდი დრო დაუთმეს შორეულ პასებს. ორ-ორად დაწყვილებული მოთამაშეები ბურთს მოედნის საპირისპირო კიდეებიდან აწვდიდნენ ერთმანეთს.

ესტონეთის ნაკრების წევრთა ნაწილი მშობლიურ ენაზე საუბრობდა, ნაწილი კი რუსულზე. ვარჯიშისას ესტონური და რუსული შეძახილები მონაცვლეობით ისმოდა.

» მე-4 გვერდზე

# რევაზ ბარაბაძე
# პირველი თამაშია და ვნერვიულობ

**ნელინადნახევრიანი შესვენების შემდეგ, რევაზ ბარაბაძე „დიდ ავიაციას" და „ანჟის" დაუბრუნდა. მუხლის მძიმე ტრავმით გაწვალებულმა გიგანტმა ქართველმა თავდამსხმელმა გუნდის შემადგენლობაში მოსამზადებელ ეტაპზე საკონტროლო შეხვედრები ჩაატარა და ფიქრობს, რომ ფორმას იბრუნებს.**

**- რეზო, „ანჟიში" ბოლო დროს დიდი საკადრო წმენდა დაიწყო და საბოლოოდ შეგიძლია გვითხრა, რჩები თუ არა კლუბში?**

- ახლა დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ კლუბში ვრჩები არა მხოლოდ მე, არამედ, კიდევ სამი ქართველი - ნუკრი რევიშვილი, ზურაბ არზიანი და გოჩა ხოჯავა. როგორც ვიცით, დიდი შანსია, მახაჩყალაში გიორგი ილურიძეც დატოვონ, ძალიან კარგი თავდამსხმელია და ხელმძღვანელობას და „ანჟის" მთავარ მწვრთნელ ომარ თეთრაძეს ძალიან მოსწონთ.

**- ვინ არის ეს ბიჭი? რუსეთში გაიზარდა თუ საქართველოში?**

- როგორც ვიცი, „ნორჩ დინამოელში" ვარჯიშობდა. კარგი ბიჭია, მაღალი არაა, ფიზიკურად სუსტია, მაგრამ სწრაფი და ენერგიულია. როგორც ვიცი, დატოვებას უპირებენ.

**- მართალია, რომ „კრილია სოვეტოვიდან" წამოსვლის შემდეგ, კახა ალადაშვილი „ანჟის" დაუბრუნდა?**

- როგორც ვიცი, კახა ამჟამად მახაჩყალაშია და მალე გაირკვევა, დარჩება თუ სხვაგან წავა. დაღესტანში 5 მარტს ჩავდივართ და მერე ყველაფერი გვეცოდინება.

**- შეგიძლია თქვა, რომ მოსამზადებელ ეტაპზე ფორმა აღიდგინე?**

- ასი პროცენტით არა, მაგრამ უკეთესობას აშკარად ვგრძნობდი. მუხლში და კუნთებში ძალა დამიბრუნდა და თითქმის ჩვეულებრივად ვმოძრაობ.

**- ნაკრებს დიდი ხნის შესვენების შემდეგ დაუბრუნდი და ძალიან პრინციპული შეხვედრა გელის.**

- მნიშვნელოვანი შეხვედრაა და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. მე კი, ტრავმის შემდეგ, ოფიციალური შეხვედრაც არ ჩამიტარებია, ამხანაგურები მაინც სხვაგვარი დატვირთვაა. სიმართლე გითხრათ, ამ პაუზის გამო ვნერვიულობ. უფრო სწორად, ასეთი თამაშის წინ, მით უფრო ტრავმის შემდეგ, ეს ბუნებრივიცაა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი | საქართველო-ესტონეთი | მატჩის წინ

# იმედის დებიუტი

...ვერაფრით გაგვიხსენებია, თუ როდის მსგავსი არნახული აჟიოტაჟი ერთი, ჩვეულებრივი ამხანაგური მატჩის ირგვლივ; რა თქმა უნდა, როცა საქართველოს ნაკრები ასპარეზობს, გულშემატკივრების მხრიდან ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესი უნდა ახლდეს ხოლმე; მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენი უპირველესი გუნდის ბოლოდროინდელმა, მართლაც, ქრონიკულმა წარუმატებლობებმა რომ თითოეული ჩვენგანი პესიმიზმამდე მიიყვანა, ცხადია. რა ვქნათ, გგონიათ, ჩვენ გვსიამოვნებს ხშირ-ხშირად იმის შეხსენება, რომ საქართველოს ნაკრებს ბოლო ორი წელიწადია შესარჩევი მატჩი არ მოუგია? ან, იქნებ, ჩვენი ნაკრების არსებობის განმავლობაში ნაჩვენები სხვა ანტირეკორდის (თხუთმეტმატჩიანი მოუგებელი სერიის) ასევე ხშირ-ხშირად გამეორებაა „საამო და სასიამოვნო“? თუმცა, ასეთია მწარე რეალობა და, გვინდა თუ არა, უნდა შევეგუოთ; მაგრამ, ამასთან ერთად, ქართველ ქომაგთა დიდი ნაწილის მსგავსად, ჩვენც იმედიანად ვხვდებით საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე **თემურ ქეცბაიას** სადებიუტო შეხვედრას.

...თემურ ქეცბაიამდე საქართველოს ნაკრების გაძღოლის პატივი თექვსმეტ მწვრთნელს ერგო (ამათგან, **ალექსანდრე ჩივაძესა** და **დავით ყიფიანს** ორ-ორჯერ); თითოეულ მწვრთნელს, რაღა თქმა უნდა, შედეგიც სხვადასხვა ჰქონდა და... დებიუტიც. ზოგს, ოფიციალური დონის მატჩში მოუხდა ჩვენი უპირველესი გუნდის გაძღოლა, ზოგსაც - ამხანაგურ შეხვედრასა თუ საერთაშორისო ტურნირზე. საქართველოს ნაკრების ყველა მწვრთნელის სადებიუტო მატჩებს ქვემოთ გაეცნობით; მანამდე კი რამდენიმე სიტყვა დღევანდელ შეხვედრაზეც ვთქვათ.

აბსოლუტურად ვეთანხმებით თემურ ქეცბაიას, გუშინწინდელ პრესკონფერენციაზე რომ განაცხადა: საქართველოს ნაკრებისათვის შესარჩევი ციკლი... 3 მარტიდან იწყებაო! რა თქმა უნდა, დღევანდელი მატჩი ამხანაგური შინაარსის არის, ანუ, წესით და რიგით, შედეგსაც დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ; ეგ კი არა, ზედმეტად კრიტიკულადაც არ უნდა მივუდგეთ ჩვენი ნაკრებისა თუ რომელიმე კონკრეტული ფეხბურთელის შესაძლო არადამაჯერებელ ასპარეზობას. საერთოდაც, დროა, რომ „დროის ფაქტორის“ გათვალისწინებაც ვისწავლოთ: თემურ ქეცბაიამ ისედაც უდიდესი პასუხისმგებლობა იკისრა და ეგრევე ნუ მოვთხოვთ სასწაულებს; ჰო, რეალურად უნდა შევხედოთ თუ შევაფასოთ ჩვენი ნაკრების შესაძლებლობები, თან არა-





მარტო შესარჩევ ციკლში, არამედ... დღევანდელი ამხანაგური მატჩის წინაც! ანუ, ნუ დაგვავიწყდება, თუ რა „ადამიანურ რესურსთან“ მოუწევს თემურ ქეცბაიას მუშაობა: გვყავს კი საკმარისზე მეტი მაღალი დონის შემსრულებელი, ასევე მაღალი მიზნებისთვის რომ იბრძოლონ?

ისიც არ ვიცით, რომელ სათამაშო სქემას მიანიჭებს ევროპამოვლილი ქართველი მწვრთნელი: ოთხკაციან ნახევარდაცვას ამჯობინებს, ორი საყრდენით იასპარეზებს, გარემარბებით ითამაშებს თუ ასე შემდეგ. რაღა თქმა უნდა, ნებისმიერი ტაქტიკური განლაგება (4-4-2, 4-2-3-1, 4-3-2-1, 4-3-3) შესაბამის შემსრულებლებს მოითხოვს. ამასთან, გუნდში, სულ მცირე, ხუთიექვსი ფეხბურთელი მაინც უნდა გვყავდეს, ერთნაირი წარმატებით რომ შეეძლებათ სხვადასხვა პოზიციაზე თამაში. სხვათა შორის, იმ პრესკონფერენციაზე თემურ ქეცბაიას ერთმა ფრაზამაც დაგვაიმედა: ნაკრების ძირითადი ბირთვი 25 კაცით უნდა განისაზღვროსო. ასეც უნდა იყოს, თორემ, რაღა შორს მივდივართ და **ჰექტორ კუპერის** მოღვაწეობის პერიოდი გავიხსენოთ: ორი წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრების მაისურა 43-მა (!) ფეხბურთელმა მოირგო! აღარაფერს ვამბობთ **კლაუს ტოპმიოლერის** დროს - აი, მაშინ იყო ექსპერიმენტები, თუ იყო...

...სამწუხაროდ, ბოლო ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში, ცოტა არ იყოს, უცნაური „ტენდენცია“ წამოვიდა. იმას ვგულისხმობთ, რომ საქართველოს ნაკრებში მოხვედრა... „გაადვილებული“ იყო; თითქოს, „ჩვეულებრივი“ ამბავი მოხდაო, თითქოს, „ჩვეულებრივ“ გუნდში იწვევდნენ ფეხბურთელებსო. ის ხომ, საერთოდ, ლამის შაყირის დონეზე იყო მისული, როცა ამ ბოლო ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრებში ზოგ ფეხბურთელს „გაურკვეველი“ მიზან-მიზეზით იწვევდნენ; ეგ კი არა, შესაძლოა, თვითონ იმ ფეხბურთელებსაც გაჰკვირვებოდათ: - ჩვენ აქ როგორ მოვხვდითო?..

...მაგრამ, ეს ყველაფერი იყო და, მოდი, სულ მთლიანად თუ არა, რაღაც გარკვეული დროით მაინც დავივიწყოთ. ახლა კი... „იმედის დებიუტს“ დაველოდოთ!..

**გია ტუხაშვილი**

### სადებიუტო მატჩები

**1. გივი ნოდია:** 1990 წლის 27 მაისი. ამხანაგური მატჩი.
*საქართველო-ლიტვა* 2:2

**2. გივი ნორაკიძე:** 1991 წლის 2 ივლისი. ამხანაგური მატჩი
*მოლდოვა-საქართველო* 2:4

**3. ალექსანდრე ჩივაძე:** 1993 წლის 25 მაისი. ამხანაგური მატჩი.
*აზერბაიჯანი-საქართველო* 1:0

1994 წლის 7 სექტემბერი. შესარჩევი მატჩი
*საქართველო-მოლდოვა* 0:1

**4. დავით ყიფიანი:** 1997 წლის 3 მარტი. ამხანაგური მატჩი
*საქართველო-სომხეთი* 7:0

1997 წლის 30 აპრილი. შესარჩევი მატჩი
*ინგლისი-საქართველო* 2:0

**5. ვლადიმერ გუცაევი:** 1998 წლის 6 თებერვალი. საერთაშორისო ტურნირი
*საქართველო-ლატვია* 2:1

1998 წლის 5 სექტემბერი. შესარჩევი მატჩი
*საქართველო-ალბანეთი* 1:0

**6. გიგლა იმნაძე:** 1998 წლის 12 აგვისტო. ამხანაგური მატჩი
*აზერბაიჯანი-საქართველო* 1:0

**7. იოჰან ბოსკამპი:** 1999 წლის 30 მაისი. შესარჩევი მატჩი
*ნორვეგია-საქართველო* 1:0

**8. დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი:** 2000 წლის 2 თებერვალი. საერთაშორისო ტურნირი (კვიპროსი)
*სლოვაკეთი-საქართველო* 0:2

2000 წლის 7 ოქტომბერი. შესარჩევი მატჩი
*ლიტვა-საქართველო* 0:4

**9. ალექსანდრე ჩივაძე:** 2001 წლის 15 აგვისტო. ამხანაგური მატჩი
*ლუქსემბურგი-საქართველო* 0:3

2001 წლის 1 სექტემბერი. შესარჩევი მატჩი
*საქართველო-უნგრეთი* 3:1

**10. ივო შუშაკი:** 2003 წლის 30 აპრილი. შესარჩევი მატჩი
*საქართველო-რუსეთი* 1:0

**11. მერაბ ჟორდანია:** 2003 წლის 6 სექტემბერი. შესარჩევი მატჩი
*საქართველო-ალბანეთი* 3:0

**12. გოჩა ტყებუჩავა:** 2004 წლის 18 თებერვალი. საერთაშორისო ტურნირი (კვიპროსი)
*საქართველო-რუმინეთი* 0:3

**13. ალენ ჟირესი:** 2004 წლის 27 მაისი. ამხანაგური მატჩი
*საქართველო-ისრაელი* 0:1

2004 წლის 4 სექტემბერი. შესარჩევი მატჩი
*თურქეთი-საქართველო* 1:1

**14. გაიოზ დარსაძე:** 2005 წლის 17 აგვისტო. შესარჩევი მატჩი
*ყაზახეთი-საქართველო* 1:2

**15. კლაუს ტოპმიოლერი:** 2006 წლის 1 მარტი. ამხანაგური მატჩი
*მალტა-საქართველო* 0:2

2006 წლის 16 აგვისტო. შესარჩევი მატჩი
*ფარერები-საქართველო* 0:6

**16. პეტარ შეგრტი:** 2008 წლის 27 მაისი. ამხანაგური მატჩი
*ესტონეთი-საქართველო* 1:1

**17. ჰექტორ კუპერი:** 2008 წლის 20 აგვისტო. ამხანაგური მატჩი
*უელსი-საქართველო* 1:2

2008 წლის 6 სექტემბერი. შესარჩევი მატჩი (მაინცი)
*საქართველო-ირლანდია* 1:2

**18. თემურ ქეცბაია:** 2010 წლის 3 მარტი. ამხანაგური მატჩი
*საქართველო-ესტონეთი* ?:?

მეტოქე

# მშვიდად გატარებული ერთი საათი

« მე-3 გვერდიდან

**ტარმო რუუტლიმ** ქართული ფეხბურთის მიმართ კომპლიმენტები არ დაიშურა.

- თქვენს ფეხბურთს დიდი ისტორია აქვს და ნამდვილად არ შეგეფერებათ ამჟამინდელ მდგომარეობაში ყოფნა. თბილისის „დინამოს“ სახელი მთელ მსოფლიოშია ცნობილი - ყველა ჩავარდნას აღმასვლა მოსდევს და დარწმუნებული ვარ, პროგრესის დროც მალე დაგიდგებათ. სხვაგვარად წარმოუდგენელია, გყავთ შესანიშნავი მწვრთნელი და მაღალი დონის ფეხბურთელები, რომლებსაც ბევრის მიღწევა შეუძლიათ.

**- თქვენს განკარგულებაში მხოლოდ 16 ფეხბურთელია. თქვენი აზრით, ეს რაოდენობა საკმარისია?**

- ერთი მატჩისთვის, თანაც ამხანაგურისთვის, სავსებით საკმარისია. ტრავმა არავის აწუხებს და თუ ფორსმაჟორული სიტუაცია შეიქმნა, არც ეს იქნება პრობლემა — ფეხბურთელებს ახალგაზრდული ნაკრებიდან დავიმატებთ.

**- ამ შეხვედრის შედეგს დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ?**

- მთავარი ისაა, რომ საქართველოს ნაკრებთან თამაში სამომავლოდ ძალიან წაგვადგება. ეს ჩვენთვის დიდი გამოცდილება იქნება. მაღალი დონის სანახაობრივ ფეხბურთს ველი, ვიმედოვნებ, რომ გულშემატკივარი ისიამოვნებს. ბუნებრივია, ჩვენთვის შედეგიც მნიშვნელოვანია. საქართველოს ნაკრები მხოლოდ გამარჯვებისთვის ითამაშებს, ჩვენ კი საკუთარი უპირატესობის გამოყენებას შევეცდებით.

**მარტ პოომი** ესტონური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელია. კარიერა მან შარშან დაასრულა, 37 წლის ასაკში და მაშინვე ნაკრებში დაიწყო მუშაობა. შეგახსენებთ, პოომს პრემიერლიგაში არაერთი წელიწადი გაუტარებია და კარიერის მიწურულს ლონდონის „არსენალშიც“ კი ითამაშა. ყველაზე დიდხანს კი „დერბი ქაუნთის“ შემადგენლობაში იასპარეზა, სადაც ერთი პერიოდი **გიორგი ქინქლაძის** თანაგუნდელი იყო.

ესტონეთის ნაკრები ეროვნული სტადიონის მოედნიდან გამოდიოდა, საქართველოს ნაკრები კი სავარჯიშოდ გადიოდა. სწორედ ამ დროს შეხვდნენ პოომი და თემურ ქეცბაია და ერთმანეთი გულთბილად მოიკითხეს. მართალია, მათ ერთ გუნდში არასოდეს უთამაშიათ, მაგრამ პრემიერლიგაში ხშირად იყვნენ ერთმანეთის მეტოქეები.

*„თემურის ნახვა ძალიან გამიხარდა. მოხარული ვარ, რომ ასეთ მოკლე დროში სამწვრთნელო საქმეში ამხელა წარმატებებს მიაღწია. დარწმუნებული ვარ, მისი მუშაობა საქართველოს ნაკრებშიც შედეგიანი იქნება. ქართულ ფეხბურთზე საკმაოდ დიდ ინფორმაციას ვფლობ. ჩემთვის გასაკვირი და აუხსნელია, როგორ ჩაამთავრა თქვენმა გუნდმა წინა შესარჩევი ციკლი გამარჯვების გარეშე. ევროპული დონის ფეხბურთელები ახლაც გყავთ, ახლო წარსულში კი კიდევ უფრო ძლიერი მოთამაშეები გყავდათ. თემურ ქეცბაია და გიორგი ქინქლაძე ინგლისის პრემიერლიგაში ბრწყინავდნენ. როცა ფორმაში იყო, ქინქლაძე „დერბის“ აღიარებულ ლიდერად მიიჩნეოდა. საქართველოსა და ესტონეთის ნაკრებებს შორის ყოველთვის საინტერესო შეხვედრები იმართება და დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე იქნება. არა მგონია, დღესდღეობით ჩვენი ნაკრებების დონეებს შორის დიდი სხვაობა იყოს და ამიტომაც ვფიქრობ, თანაბარი და დაძაბული თამაშის მხილველები გავხდებით“*, - გვითხრა პოომმა.

ესტონელთა 25 წლის ნახევარმცველმა **კონსტანტინ ვასილიევმა** საუბარი **ჯანო ანანიძით** დაიწყო. *„გასაოცარი ტალანტის მქონე ფეხბურთელია. არ მახსოვს, მის ასაკში ვინმეს ასეთი საფეხბურთო თვისებები გამოევლინოს. ძალიან მინდოდა მის წინააღმდეგ თამაში, მაგრამ გავიგე, რომ ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული. ანანიძის გარდა, კიდევ არაერთი მაღალი დონის ფეხბურთელი გყავთ და დარწმუნებული ვარ, ძლიერი ნაკრების ჩამოყალიბებას შეძლებთ. ისიც ვიცი, რომ თემურ ქეცბაიასთვის ეს სადებიუტო მატჩია საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე და აქედან გამომდინარე, მასაც და ქართველ ფეხბურთელებსაც განსაკუთრებული მოტივაცია ამოძრავებთ. შევეცდებით, მეტოქეს ტოლი არ დავუდოთ და შინ დადებითი შედეგით დავბრუნდეთ“.*

**ლევან ჯანეზაშვილი**



მარტ პოომი

საქართველოს ჩემპიონატი | გამოტოვებული მატჩი

# ავტოგოლიც გოლია

02.03. რუსთავი. ფოლადი
300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| სამტრედია | 1 |

1:0 კირთაძე (17. საკუთარ კარში), 1:1 კვახაძე (68. საკუთარ კარში)

ვიტ ჯორჯია: ა. მიქაბერიძე - ბეჟვაია (70. კორიფაძე), ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - ვასაძე, გ. დათუნაიშვილი, ლიპარტია, გურეშიძე - ვ. კვარაცხელია (59. ხურცილავა), ბერიაშვილი.

*სათადარიგოები:* ბედიაშვილი, ადამაძე, ზაქრაძე, მაისაშვილი, როსტიაშვილი

სამტრედია: ხარძეიშვილი - კუპრეიშვილი, გოგია, ქორიძე, კირთაძე - სამსეიშვილი (64. ფირცხალავა), ილურიძე, ჩომახიძე (77. ბაკურაძე), ტყემალაძე, ჩალაძე - ზ. ხაჭიპერაძე (56. ეცადეიშვილი).

*სათადარიგოები:* ი. შენგელია, ჟვანია, ნინუა, ბარამიძე

გაფრთხილება: ილურიძე (82)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

...ამ წყვილს თავიდანვე უცნაურობა დაებედა: XXI ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი ერთი დღით გვიან ჩატარდა; ახლა, მესამე წრე რომ იწყებოდა, დიდთოვლობამ შეუშალა ხელი გუნდებს და შვიდ თებერვალს ჩასატარებელი შეხვედრაც გადაიდო. და აი, გუშინ სწორედ ამ გადადებულ მატჩს უმასპინძლა რუსთავის „ფოლადის" სტადიონმა და წინდაწინ უნდა ითქვას, რომ ვინც ამ შეხვედრას დაესწრო, ნამდვილად არ უნანია. ყოველ შემთხვევაში, თამაში მეტად საინტერესოდ (განსაკუთრებით - მეორე ტაიმში) წარიმართა და ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, განა ხშირად გვინახავს ჩვენს ჩემპიონატში, ერთდროულად ორი ავტოგოლი? თუმცა, მატჩის პერიპეტიებზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი გუნდების სატურნირო მდგომარეობაზე გვინდა ვთქვათ. მოქმედ ჩემპიონს დისკვალიფიცირებული ლუკა რაზმაძე და ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული გიორგი ჯანელიძე აკლდა, თუმცა, ფავორიტად მაინც „ვიტ ჯორჯია" უნდა მიგვეჩნია. მით უფრო, რომ გელა გომელაურის გუნდს დამატებითი სტიმულიც ჰქონდა: გამარჯვების შემთხვევაში მესამე ადგილზე გადაინაცვლებდა. არანაკლებ მოტივირებული იყო სტუმართა გუნდიც: „სამტრედიამ" მეორე ეტაპი წარუმატებლად დაიწყო და ზედიზედ ოთხი მარცხით, ერთი შეხედვით, „მშვიდი" სატურნირო მდგომარეობაც ოდნავ საფრთხის ქვეშ ჩააგდო. მოკლედ, მატჩამდეც დარწმუნებული ვიყავით, რომ ულიმღამო ბურთაობა არ იქნებოდა და ასეც მოხდა.

მატჩის დასაწყისი მასპინძლების უპირატესობით წარიმართა და სულ მალე მოვლენების ეპიცენტრში **გიორგი ბერიაშვილი** მოექცა: წინა ორი მატჩის გმირმა ეფექტური დრიბლინგით რამდენიმე მცველი ჩამოიშორა, მაგრამ სტუმართა საჯარიმოში მეტად საკამათო სიტუაციაში წაიქცა. იყო თუ არა პენალტი, ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში არბიტრმა წესების დარღვევა არ დააფიქსირა. ამ ეპიზოდის მერე თამაში ოდნავ დაწყნარდა, ვიდრე კურიოზულ გოლს არ ვნახავდით: ახალგაზრდა **გურამ გურეშიძემ** გარლვევაზე **ლაშა ჯაფარიძე** გაიყვანა, მასპინძელთა მარცხენა მცველმაც ფლანგიდან გამჭოლი გადაცემა გააკეთა და **კახაბერ კირთაძემ,** მოგერიების ნაცვლად, ბურთი... საკუთარი კარის „ცხრიანში" გაგზავნა! „სამტრედიის" მარცხენა მცველი ჯერ კიდევ განიცდიდა იმ ფაქტს, თუ როგორ „აეჭრა" ბურთი, როცა თანაგუნდელებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და კინალამ ანგარიშიც გაათანაბრეს. თუმცა, ფეხბურთში „კინალამ" არ არსებობს და **ზაურ ხაჭიპერაძემაც** რეალური შანსი გაანიავა - სტუმართა ერთადერთმა გამოკვეთილმა ცენტრფორვარდმა **არდალიონ მიქაბერიძეს** ვერ აჯობა. პირველი ტაიმის ბოლომდე რაიმე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: ერთადერთი, ალბათ იმის აღნიშვნაა აუცილებელი, რომ რამდენიმე ეპიზოდში პოზიციური შეცდომები დაუშვეს მასპინძელთა მცველებმა, რითაც „სამტრედიამ" ვერ იხეირა. ისე კი, გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრები საკმაოდ გააქტიურდნენ და რამდენჯერმე დაემუქრნენ „ვიტ ჯორჯიას" კარს: **შოთა ჩომახიძის, ვალიკო ტყემალაძისა** და **ლაშა ჩალაძის** დარტყმებს სიზუსტე აკლდათ.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, მოედანზე ისეთი ტემპიანი თამაში გაჩაღდა ტრიბუნებზე მჯდომი გულშემატკივარი რომ არ მოელოდა. ერთი შეხედვით, აქტიურად სტუმრები გამოიყურებოდნენ, მაგრამ სახიფათო მომენტებს... მასპინძლები ქმნიდნენ; ჯერ **გიორგი ვასაძემ** დაარტყა საშუალო მანძილიდან, მაგრამ ოდნავ არაზუსტად გამოუვიდა. მერე, „ვიტ ჯორჯიამ" რეალური შანსი გაანიავა: გურეშიძე-ვასაძის კომბინაცია ბერიაშვილმა ვერ დააგვირგვინა. ამას, გიგა ბეჟვაიას ძლიერი დარტყმა მოჰყვა და ამ დროს კი გოლი... საპირისპირო კარში გავიდა! თანაც, კვლავაც ავტოგოლი ვიხილეთ: „სამტრედიამ" ჯარიმის დარტყმის უფლება მიიღო და „სტანდარტულიც" **შოთა ჩომახიძემ** შეასრულა: სტუმართა ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა, იქ **ალექსანდრე კვახაძემ** შეაგება თავი და მიქაბერიძის კართან შექმნილ არეულობაშიც წესიერად ვერავინ გაერკვა...

ეს იყო და ეს: „ვიტ ჯორჯიას" კაპიტანს... მუდამ შეტევაში ვხედავდით და ერთ ეპიზოდში ძალიან ახლოს იყო მეტოქის კარშიც გაეტანა გოლი: „სამტრედიას" მეკარემ **დავით ხარძეიშვილმა** ჩინებული რეაქცია გამოამჟღავნა (ხარიხაც „მიეხმარა").

მატჩის უკანასკნელი 2 წუთი ორმხრივ შეტევებში წარიმართა და ყველაზე უცნაური მაინც ის იყო, თუ როგორ სცოდავდნენ ორივე გუნდის ფეხბურთელები დამაგვირგვინებელ ფაზაში. სტუმრებს ერთი რეალური შანსი ჰქონდათ, როცა **ფირცხალავა-ჩალაძის** კომბინაციის შემდეგ **ზურაბ ეცადეიშვილი,** ფაქტობრივად, მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი მიზანს ააცილა. აი, მასპინძლებმა კი ბევრად მეტი მომენტი შექმნეს, მაგრამ გიორგი ბერიაშვილის, **გიორგი დათუნაიშვილისა** და ალექსანდრე კვახაძის მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. არბიტრის საფინალო სასტვენმა „ვიტ ჯორჯიას" შეტევაში „მოუსწრო", მაგრამ , ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ შეხვედრაში არც „სამტრედია" იმსახურებდა დამარცხებას...

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 21 | 16 | 4 | 1 | 47-13 | 52 |
| 2. ზესტაფონი | 23 | 14 | 6 | 3 | 40-20 | 48 |
| 3. დინამო | 22 | 12 | 5 | 5 | 37-14 | 41 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 22 | 11 | 8 | 3 | 32-21 | 41 |
| 5. სპარტაკი | 23 | 8 | 6 | 9 | 30-36 | 30 |
| 6. სამტრედია | 23 | 6 | 5 | 12 | 30-46 | 23 |
| 7. ბაია | 22 | 5 | 4 | 13 | 18-30 | 19 |
| 8. სიონი | 22 | 3 | 10 | 9 | 12-27 | 19 |
| 9. ლოკომოტივი | 22 | 2 | 9 | 11 | 11-29 | 15 |
| 10. გაგრა | 22 | 3 | 5 | 14 | 21-42 | 14 |

*შენიშვნა: ცხრილში ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის „სიონი"-"სპარტაკის" მატჩთან დაკავშირებული სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 19 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 15 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 11 |
| გაბედავა (გაგრა) | 10 |

**მომდევნო ტური**
**6 მარტი, შაბათი**

დინამო-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
სიონი-ბაია
გაგრა-ლოკომოტივი
სპარტაკი-სამტრედია




**22 თებერვალი:** ლეგენდარულმა ბიატლონისტმა **ოლე ეინარ ბიორნდალენმა** თქვა, სოჭის ოლიმპიადაზეც ვაპირებ გამოსვლასო. სოჭამდე კიდევ 4 წელია, ბიორნდალენი კი გახლავთ 6-გზის ოლიმპიური და 14-გზის მსოფლიოს ჩემპიონი. ბიორნდალენის ამ განცხადებამ ჩვენი ირაკლი ცირეკიძის ნათქვამი გამახსენა, მოტივაციას ველარ ვგრძნობო.

**23 თებერვალი: ლევან მჭედლიძე** მზად ყოფილა „პალერმოსთან" დიალოგზე. ქართული პოლიტიკური პროცესების შემხედვარე, სიტყვა დიალოგი ყურს ცუდად ხვდება, მაგრამ ეს მთავარი არ არის. უფრო მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთელი უქმად ყოფნას დაუფიქრებია. ფიქრი კი ცუდი არ შეიძლება იყოს.

**24 თებერვალი: რალფ მინგე** გერმანიის 20-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს და ამის თაობაზე მათიას ზამერს უთქვამს, მინგეს განვლილი გზა გვარწმუნებს, რომ ნაკრები დიდ წარმატებებს მიაღწევსო. უმადური ქართველები! რა მწვრთნელი ვერ შევიშვნეთ?!

**25 თებერვალი: ჟოზე მოურინიოს** პრემიერლიგის ჩემპიონის ოქროს მედალი გაუყიდია. არასოდეს მესმოდა ასეთი ხალხის - მით უმეტეს, მდიდრების, რომლებიც ძვირფას რელიკვიებს დაუნანებლად ელევიან. ოქროს მედალი არა, მაგრამ სახლში „მარკას" სპეცგამოშვება მაქვს ვისენტე დელ ბოსკეს ავტოგრაფით და თვალისჩინივით ვუფრთხილდები.

**26 თებერვალი:** ქართველი მოჭადრაკე **სალომე მელიასთვის** მოსკოვში მოგებული ტურნირის მერე, ორგანიზატორებს ვითომ ხუმრობით უთქვამთ, არ გვეგონა ასე კარგად თუ ითამაშებდით, თორემ საზღვარზე არ გადმოგიშვებდითო. იყო დრო, ქართველ ქალ მოჭადრაკეთა კლასზე ვერავინ გაბედავდა მცირე ეჭვის გამოთქმასაც. მერე დრო შეიცვალა. მე კი კვლავ ველი იმ დროს, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა საქართველოს ჩემპიონობისთვის ბრძოლის ტოლფასი რომ იქნება.

**27 თებერვალი:** ვაი, ჩვენს პატრონს - აი, ეს გავიფიქრე, როცა „ლელოში" **დავით ოდიკაძესთან** ინტერვიუ წავიკითხე და ალბათ, „ლელოს" სხვა მკითხველებმაც იგივე იფიქრეს. ფეხბურთელი გვარწმუნებს, აზერბაიჯანის ჩემპიონატი უნგრეთის პირველობასაც აღემატება და საქართველოს ჩემპიონატზე ხომ ლაპარაკიც არ არისო. ბაქო როგორი ტემპით მშენდება, ვიცი და ფეხბურთშიც თუ ეგეთი ძვრები აქვთ, ოდიკაძის შეფასება გადაჭარბებულად აღარ მეჩვენება. მაგრამ ვაი, ჩვენს პატრონსო, ეს რომ გავიფიქრო, ამის უფლებაც ხომ მაქვს?!

**28 თებერვალი:** დღეს კვირაა, „ლელო" არ გამოდის, ოლიმპიადაც დასრულდა...

**1 მარტი: ტიმ ლეინი** უკმაყოფილო დარჩა ნაკრების თამაშით, თუმცა „ბორჯღალოსნებმა" ესპანეთი ცუდი თამაშითაც დაამარცხეს. ასეა - კლასი თუ გაქვს, ზოგჯერ ცუდი თამაშითაც იგებ. ოდესმე თუ მოვესწრები, რომ საფეხბურთო ნაკრებმაც მოიგოს ცუდი თამაშით?

**2 მარტი:** დღევანდელ „ლელოში" ოთხი გვერდი ესტონეთთან მატჩისწინა ამბებს უკავია. ეს პროპორცია ზუსტად ასახავს ამ მატჩის მნიშვნელობას, რაკი ეს უბრალო ამხანაგური თამაში არ არის - მოგების გემოს გასახსენებელი, თავდაჯერებულობის შესაძენი თამაშია.

საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" გენერალური დირექტორის
**დავით აბაშიძის**
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საფეხბურთო კლუბი რუსთავის „ოლიმპი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი ფეხბურთელის
**დავით აბაშიძის**
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საფეხბურთო კლუბი „გაგრა" და მისი პრეზიდენტი ბესიკ ჩიხრაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" გენერალური დირექტორის
**დავით აბაშიძის**
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## პირველი ლიგა. XVI ტური

**IBSU-მესხეთი 1:0**

1:0 ტეტუნაშვილი (56)

IBSU: ბილიხოძე, პირველი, თავბერიძე, ტეტუნაშვილი, თვალავაძე, ა. კუჭუხიძე, ა. ნოზაძე, ბართია (67. არახამია), ქუცურუა, გ. ჯიშკარიანი (81. ბენდიანაშვილი), ძაგანია (46. ცხოიძე).

*სათადარიგოები:* დ. მეფარიძე, თ. კვარაცხელია, ნორაკიძე, გიორგობიანი.

*მთავარი მწვრთნელი:* გოჩა ჟორჟოლიანი.

მესხეთი: ძამუნაშვილი, დ. ლეკიშვილი, თელიაშვილი, გვირჯიშვილი, თ. გრიშალაშვილი, ო. დარჩია (85. გ. ქურდაძე), დ. ინასარიძე, სუდაძე, აფრიამაშვილი, მ. ლეკიშვილი, ბარძიმაძე.

*სათადარიგოები:* რეხვიაშვილი, პარუნაშვილი, საბაშვილი, ალხიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* პაატა გოგოლაძე

გაფრთხილება: თავბერიძე, ბარძიმაძე, თვალავაძე.

არბიტრი: თ. გვანცელაძე

**ჩიხურა-ჭიათურა 3:1**

1:0 გ. ენუქიძე (10), 2:0 გ. ენუქიძე (36), 2:1 ცუცქირიძე (45), 3:1 როგავა (51)

ჩიხურა: დოლაძე (69. მწყერაშვილი), ზივზივაძე, ცარციძე, გვეტაძე, ტყებუჩავა, ზაბახიძე, ქამუშაძე (69. ჭილლაძე), ა. ივანიშვილი, როგავა (76. ბ. პეტრიაშვილი), გ. ენუქიძე, სტეფანიშვილი.

*სათადარიგოები:* გიორბელიძე, მიქაძე, ჩიკვაიძე, ძინძიბაძე

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე.

ჭიათურა: ბადურაშვილი, ნ. ტყემალაძე, ჭუმბურიძე, ბრეგვაძე, ცუცქირიძე, გაფრინდაშვილი, თემირ მიშველიძე (14. ვაშაძე), გიორგაძე, ტაბატაძე, აბესაძე, სევასტოპულო.

*სათადარიგოები:* დარბაიძე, დ. შეყილაძე, მეცხოვრიშვილი, ასანიძე, ბარათაშვილი, თ. შეყილაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* დავით იობაშვილი

გაფრთხილება: სტეფანიშვილი, ა. ივანიშვილი, ზივზივაძე, დოლაძე, ცუცქირიძე.

გაძევება: სევასტოპულო

არბიტრი: ი. ურუშაძე

**35-ე ს.ქ.-ბათუმი 0:2**

0:1 ი. ტულუში (52), 0:2 დ. მალაზონია (87)

35-ე ს.ქ.: ხომერიკი, ი. უგულავა, ქაფოძე, თარაშვილი, ბელთაძე, ჭრელაშვილი, თ. მეტრეველი (75. კალანდარიშვილი), ბახტაძე (61. ბაგაშვილი), მ. ლომსაძე, როსტობაია, ი. არველაძე (61. გუჯარაიძე)

*სათადარიგოები:* დ. მანია, ლ. იაშვილი, გ. ჯელაძე, ნათაძე

*მთავარი მწვრთნელი:* კ. გოგიჩაიშვილი

ბათუმი: თ. კაკალაძე, ფარტენაძე, ხუხია, ლ. მახარაძე, ლ. რამიშვილი, ზვ. ლობჟანიძე, ე. გრიგალაშვილი (69. გ. გოგიტიძე), ბეჟანიძე, ი ტულუში, ბერიძე (61. მ. ჯორბენაძე), ბოხუა (79. დ. მალაზონია).

*სათადარიგოები:* ჭკუასელი, დემურაძე, ხარაბაძე, კეკელიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე.

გაფრთხილება: კალანდარიშვილი

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**მერცხალი-ჰერეთი 0:1**

0:1 უშარაული (22)

მერცხალი: ლატარია, ვ. რამიშვილი (30. ქათამაძე), მ. ქობულაძე, აკობია, ი, ნაჭყებია, ჭეიშვილი, დ. საიამაშვილი, (34. ს. გ. ჩიგოგიძე), კ. ნაკაიძე (55. ცეცხლაძე). ლ. ჩხაიძე, ს. ვ. ჩიგოგიძე, ჯაყელი.

*სათადარიგოები:* ჩხატარაშვილი, ზ. ტულუში, ხინთიბიძე, გ. გოგუა.

*მთავარი მწვრთნელი:* ხარიტონ ჩხატარაშვილი

ჰერეთი: ტუხაშვილი, დონდოლაძე, ნათენაძე, ფარულავა, ლ. დათუნაშვილი, ოქრუაშვილი, გ. პაპუაშვილი, ა. ლომსაძე, უშარაული (55. თ. ყაველაშვილი/80. ყორლანაშვილი), მ. მესხი, წვერავა

*სათადარიგო:* ქაჩლიშვილი.

*მთავარი მწვრთნელი:* რევაზ ძოძუაშვილი.

გაფრთხილება: ჭეიშვილი, მესხი, ფარულავა.

არბიტრი: პ. დოჯრაშვილი

**კოლხეთი (ფ)-მეშახტე 5:0**

1:0 ცხვიტარია (40), 2:0 გუჩუა (50), 3:0 ქირია (57), 4:0 დ. სიჭინავა (64), 5:0 გულუა (69)

კოლხეთი (ფ): გ. შენგელია, დ. ჭითანავა, ლ. თედიაშვილი, ცხვიტარია, გელაჭეიშვილი, ჯოჯუა (71. ო. გოგონაია), გუჩუა, გვალია, ქირია, დ სიჭინავა (68. გულუა), თოდუა (61. ციცხვაია).

*სათადარიგოები:* გორდეზიანი, ლემონჯავა, ფარცვანია, მალიჩავა.

*მთავარი მწვრთნელი:* ბესიკ შეროზია

მეშახტე: კეჩხუაშვილი (71. ქალდანი), ჯიშიაშვილი, გუბელაძე, გ. ტორაძე (69. ი. ბოჭორიშვილი), ვაჩიბერაძე, ბაბუნიძე, შველიძე (46. რ. კალანდაძე), თურმანიძე, მეტონიძე, რაჟამაშვილი, შათირიშვილი.

*სათადარიგოები:* გ. სიჭინავა, კობახიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე.

გაფრთხილება: გ. შველიძე.

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**კოლხეთი (ხ)-მარტვილი 1:0**

1:0 ფიფია (88)

კოლხეთი (ხ): ნ. ჯალალონია, ჩაჩიბაია, ფიფია, ჟვანია, გ. გოგენია, პ. ქომეთიანი, დ. სართანია (87. გ. გოგენია), ბესარაშვილი, გაგუა (72. ფირცხალავა), ღლონტი (60. ი. კუტალია), დ. კუტალია.

*სათადარიგოები:* გ. ლომაია, ჯაბურია, ქუხილავა, ზ. გელაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* ზურაბ ლატარია

მარტვილი: ჯ. შეროზია, დ. ჩხიკვაძე, მელიავა, ფაცაცია, იობაშვილი, წონორია, ც. ბუკია, ბერუაშვილი, გიორგობიანი, ლ. კუჭუხიძე, ამბროლაძე (70. ო. ტორაძე).

*სათადარიგოები:* თ. თურმანიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: წონორია, ამბროლაძე

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**ტორპედო-გურია 1:1**

0:1 ტ. კუკულაძე (45), 1:1 ხუციძე (85)

ტორპედო: მიგინეიშვილი, ფარულავა, გივი ჩხეტიანი, ქაქუზაშვილი, ჭანკვეტაძე, კირკიტაძე (46. ცნობილაძე), ხანიშვილი, გურული, ვაშაკიძე (84. ბ. ჩხეტიანი), ლომაშვილი, რ. კვერნაძე (60. ხუციძე).

*სათადარიგოები:* ი. კუჭუხიძე, ხარებავა, ბიბილაშვილი, ხაჭიპერაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* გიორგი გიგატაძე

გურია: ძაძამია, ბრეგაძე, რ. კუკულაძე, ქურიძე (56. მ კოტრიკაძე), ძაგანია, შენირული, მელიქიშვილი (80. მგელაძე), კილაძე, გოგიბერიძე, ტ. კუკულაძე (56. ს. ურუშაძე), კვერენჩხილაძე.

*სათადარიგოები:* ეზიეშვილი, წილოსანი, ზ. რაზმაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* გია ჩხაიძე

გაფრთხილება: ჭანკვეტაძე, შენირული, ძაგანია.

გაძევება: შენირული

არბიტრი: ა. წონიკაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 15 | 11 | 3 | 1 | 26-5 | 36 |
| 2. ტორპედო 2008 | 15 | 11 | 2 | 2 | 43-9 | 35 |
| 3. კოლხეთი (ფ) | 15 | 10 | 2 | 3 | 36-13 | 32 |
| 4. ჩიხურა | 15 | 9 | 2 | 4 | 24-16 | 29 |
| 5. წდინამოელი | 14 | 8 | 4 | 2 | 31-23 | 28 |
| 6. გურია | 15 | 7 | 3 | 5 | 25-22 | 24 |
| 7. IBSU | 15 | 6 | 3 | 6 | 24-17 | 21 |
| 8. მარტვილი | 15 | 6 | 2 | 7 | 21-23 | 20 |
| 9. მერცხალი | 15 | 5 | 2 | 8 | 18-23 | 17 |
| 10. მეშახტე | 15 | 5 | 1 | 9 | 24-43 | 16 |
| 11. ჰერეთი | 15 | 4 | 3 | 8 | 17-28 | 15 |
| 12. მესხეთი | 15 | 5 | 1 | 9 | 15-25 | 13 |
| 13. კოლხეთი (ხ) | 15 | 4 | 1 | 10 | 16-32 | 13 |
| 14. ჭიათურა | 15 | 4 | 0 | 11 | 16-39 | 12 |
| 15. 35-ე სკოლა | 15 | 1 | 3 | 11 | 14-32 | 6 |




ეროვნული ბიბლიოთეკა

მდიდრების ტოპ 20


თამაშობენ ყველაზე შემოსავლიანები

# ყველაზე, ყველაზე... რეალი და ბარსა

## ინგლისური შიგთავსი ესპანური ნაღებით

მსოფლიოს ერთ-ერთმა მოწინავე აუდიტორულმა ფირმა „დელოიტმა" ტრადიციულად პლანეტის 20 ყველაზე შემოსავლიანი საფეხბურთო კლუბის სია გამოაქვეყნა - სიაში ინგლისელები დომინირებენ, თუმცა სათავეში ორი ესპანური კლუბია. მდიდართა ოცეულის ყველა წევრი „დიდი ხუთეულის" წევრია: იქ 7 ინგლისური კლუბია, 5 გერმანული, 4 იტალიური და 2-2 ფრანგული და ესპანური. „დელოიტი" კლუბთა ფინანსური წლის მონაცემების სრულ სკანირებას ახდენს, ამიტომაც მისი დასკვნები მეტად სანდოა. ამჯერად, მონაცემები 2008-09 წლების სეზონის დასრულების შემდეგაა აღებული. „დელოიტი" კლუბის შემოსავლის სამ სახეობას ცნობს: მატჩებით მიღებული შემოსავლები, მაუწყებლობის უფლების გაყიდვით მიღებული თანხა და კომერციული საქმიანობით შემოსული ფული.

„დელოიტმა" „საფეხბურთო „დელოიტ ფუტბოლ მანი ლიგა" (ასე ეწოდება ტოპოცეულს) პირველად 2006 წელს გამოაქვეყნა და მასში 2004-05 წლების სეზონის მონაცემები შევიდა. (შემდგომში ფირმაში წინა სეზონის მონაცემებიც გამოსცეს) ამის შემდეგ აუდიტორული ფირმა ყოველწლიურად გვაწვდის მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიანი კლუბების სიას.

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კლუბი მადრიდის „რეალია", სეზონში „სამეფო კლუბს" 401,4 მილიონი ევრო შეუვიდა. სხვათა შორის, „მანი ლიგის" ხუთივე გამოცემაში „რეალი" პირველობას ინარჩუნებს. მე-2 ადგილზე 365,9 მილიონი ევროთი „რეალის" დაუძინებელი მტერი, „ბარსელონაა". მხოლოდ მესამეა „მანჩესტერ იუნაიტედი", რომლის სეზონის შემოსავალი 327 მილიონ ევროს უდრის.

მადრიდელთა შემოსავალი სწრაფად იზრდება, 2004-05 წლების სეზონში „რეალმა" „მხოლოდ" 275,7 მილიონი ევრო მოიგო, თუმცა კონკურენტებს მაინც გვარიანად გაასწრო. სხვათა შორის, პირველი შემთხვევაა, რომ ოცეულში ერთი გუნდიც ვერ მოხვდა საფეხბურთო გრანდთა ხუთეულში არშემავალი ქვეყნებიდან. შარშანდელ სიაში მე-19 ადგილზე თურქული „ფენერბაჰჩე" (111,3 მილიონი ევრო) იყო, ხოლო წინა წლებში შოტლანდიური „რეინჯერსი" და „სელტიკი", ასევე პორტუგალიური „ბენფიკა" მოხვედრილან. წლევანდელ „მანი ლიგაში" პირველად შევიდა გუნდი, რომელიც ქვეყანაში უმაღლეს დივიზიონში არ თამაშობს - „ნიუკასლ იუნაიტედი". მაშ ასე „მანი ლიგა 2010" ასე გამოიყურება:

**1. რეალი (ესპანეთი) - 401,4 მლნ:** მართალია, „ლოს ბლანკოსმა" 2008-09 წლების სეზონში მოედანზე ვერ მოგვაწონა თავი, მაგრამ გუნდის ფინანსური საქმიანობა, როგორც წინა წლებში ბრწყინვალე იყო. „მედიაპროსთან" და სხვა მსხვილ ფირმებთან კონტრაქტები „სამეფო კლუბს" უხვ შემოსავალს უბევებს. 2014 წლამდე „რეალს" ამ კონტრაქტებით შვიდ სეზონში 1,1 მილიარდი ევრო გარანტირებული აქვს.

**2. ბარსელონა (ესპანეთი) - 365,9:** სპორტული თვალსაზრისით იმაზე წარმატებული წელიწადი, რაც „ბლაუგრანას" ჰქონდა უბრალოდ შეუძლებელია. კატალონიელებს ფინანსურადაც ბრწყინვალე სეზონი გამოუვიდათ, შემოსავლის ზრდამ 18% შეადგინა. „ბარსამ" მეორე ადგილიდან „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩამოაგდო.

**3. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) - 327,0:** ინგლისის ჩემპიონებმა მე-2 ადგილი „ბარსელონას" უწარმატებულესი სეზონის გამო დაკარგეს. „მანჩესტერის" შემოსავლებმაც გვარიანად იმატა. ერთი, რითაც ყველაზე მეტად დაზარალდა კლუბი, ფუნტი სტერლინგის მსყიდველობით უნარის შემცირებაა ევროსთან მიმართებაში.

**4. ბაიერნი (გერმანია) - 289,5:** ბავარიელების შემოსავალმა წინა სეზონთან შედარებით 2 პროცენტით დაიკლო, მაგრამ ამან „ბაიერნს" მე-4 ადგილი მაინც ვერ წაართვა სიაში.

**5. არსენალი (ინგლისი) - 263,0:** „მეთოფეები" ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდნენ ტოპხუთეულს. კლუბის შეფის, **ივან გაზიდისის** იდეა, „მომგებიანი კლუბი" ფრთებს ისხამს, „არსენალს" არ უჭირს ყოველ მატჩზე 60-ათასიანი „ემირეტსის" შევსება. მხოლოდ კომერციულმა საქმიანობამ ლონდონელებს სეზონში 56,5 მილიონი ევრო მოუტანა.

**6. ჩელსი (ინგლისი) - 242,3:** „ჩელსი" პირველად გავარდა მოწინავე ხუთეულიდან. კლუბის შემოსავალმა სეზონში 25 მილიონით იკლო.

**7. ლივერპული (ინგლისი) - 217,0:** პრემიერლიგა მე-2 ადგილზე დაასრულა, რისი წყალობითაც მნიშვნელოვნად გაეზარდა რეპორტაჟების გაყიდვით მიღებული შემოსავლები.

**8. იუვენტუსი (იტალია) - 203,2:** ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობამ შემოსავლები 21%-ით გაზარდა. ტურინული გუნდი მატჩებიდან შემოსავლებით ლიგის 20-ეულში ბოლო ადგილზეა.

**9. „ინტერი" (იტალია) - 196,5:** სკუდეტომ გუნდს შემოსავლის 14-პროცენტიანი ზრდა მოუტანა.

**10. მილანი (იტალია) - 196,5:** ცუდი სეზონი ჰქონდათ, რის გამოც სამი ადგილით დაიხიეს უკან. მხოლოდ იმის გამო, რომ „როსონერის" ლიგის ნაცვლად უეფას თასზე მოუწია ასპარეზობამ, კლუბმა 26 მილიონი ევრო დაკარგა. მატჩებიდან მიღებული შემოსავალი კი გაიზარდა, მაგრამ ამან ჯამური კლება ვერ აღმოფხვრა.

**11. ჰამბურგი (გერმანია) - 146,7 მილიონი ევრო; 12. რომა (იტალია) - 146,4; 13. ლიონი (საფრანგეთი) - 139,6; 14. მარსელი (საფრანგეთი) - 133,2; 15. ტოტენჰემი (ინგლისი) - 132,7; 16. შალკე (გერმანია) - 124,5; 17. ვერდერი (გერმანია) - 114,7; 18. ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) - 103,5; 19. მანჩესტერ სიტი (ინგლისი) - 101,2; 20. ნიუკასლი (ინგლისი) - 101,0.**

***ამხანაგური მატჩები.*** *საფრანგეთი-ესპანეთი*

# 100 დღით ადრე

## ფურია როხა ნავსის გასატეხად ემზადება

დღეს საფრანგეთის დედაქალაქი ძალზე საინტერესო დაპირისპირების მომსწრე იქნება - მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დაწყებამდე თითქმის ასი დღით ადრე (უფრო ზუსტად 99 დღე და 5 საათი) საფრანგეთისა და ესპანეთის ნაკრებები მზადებას ერთმანეთთან ამხანაგური ომით იწყებენ. „სტად დე ფრანსზე" **რაიმონ დომენეკისა** და **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდების დუელი შედგება.

ფრანგებს მას შემდეგ არ უთამაშიათ, რაც „ანრის ხელით" მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს. მას შემდეგ, რაც ირლანდიასთან მატჩის დამატებით დროში **ტიერი ანრიმ** ხელით გაისწორა ბურთი, რომელიც მოედნიდან გადადიოდა და **ვილიამ გალასს** გაატანინა, 3,5 თვე გავიდა. არც ევროპული და არც ფრანგული მედია დომენეკის გუნდს არ განიხილავს მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტად, მაგრამ არც ის დაგვავიწყდეს, რომ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინაც **ემე ჟაკეს** გუნდის ნაკლებად ეიმედებოდათ. ფრანგული გუნდის ხელმძღვანელობამ და ფეხბურთელთა ნაწილმა უკვე აღნიშნა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი მათთვის ოთხშაბათიდან იწყება, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სტარტზე ევროპის ჩემპიონის დამარცხებას.

ფრანგებს თუ წესების დარღვევა დასჭირდათ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად, დელ ბოსკეს გუნდმა მარშით გაიარა საკვალიფიკაციო ეტაპი. 2007 წლის თებერვლის მერე, როცა „ლა ფურია როხამ" ინგლისთან ამხანაგური მატჩი 0:1 წააგო, ესპანეთის ნაკრებმა 44 შეხვედრიდან მხოლოდ 3 დაასრულა ფრედ და ერთხელ წააგო. სწორედ ამიტომ ევროპის ჩემპიონი სამხრეთ აფრიკაში ტიტულის მოგების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია.

ისტორიული დაპირისპირება ამ ორ საფეხბურთო ქვეყანას შორის წონასწორობას მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს, საფრანგეთმა და ესპანეთმა ერთმანეთში 29-ჯერ ითამაშეს (რაც ძალზე ცოტაა მეზობელი, ტრადიციული საფეხბურთო ქვეყნებისთვის), 12-ჯერ ესპანეთმა იმარჯვა, ხოლო 11-ჯერ - საფრანგეთმა, 6 მატჩი ფრედ დასრულდა. ესპანელები ოდნავ წინ არიან ურთიერთდაპირისპირებაში, მაგრამ 60 წელზე მეტია, რაც „ლა ფურია როხას" პარიზში არ მოუგია, უკანასკნელად ესპანეთმა სტუმრად 1968 წელს მოიგო (ლიონში 3:1).

„ლე ბლეს" ამხანაგური მატჩის წინ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გამოაკლდა ტრავმების გამო: **ქარიმ ბენზემა**, ვილიამ გალასი, **ერიკ აბიდალი, სებასტიან სკილაჩი** და **ანდრე-პიერ ჟინიაკი**. ორშაბათს მათ **ლუის საა** დაემატა, ევერტონელმა ფორვარდმა ვარჯიშზე მიიღო ტრავმა. დომენეკმა სასწრაფოდ გამოიძახა მისი შემცვლელი, „პანათინაიკოსის" ფორვარდი **ჯიბრილ სისე**.

დომენეკის გუნდში ბევრი სანაკრებოდ ჯერაც გამოუცდელი ფეხბურთელია: **სედრიკ კარასო, ადილ რამი, მიშელ სიანი, ალის სისოხო** და **ბენუა შეირუ**. დომენეკმა, შესაძლოა, **ფრანკ რიბერი** სათადარიგოთა სკამზე დასვას და მეორე ტაიმში შემოიყვანოს.

ვისენტე დელ ბოსკემ კი ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარა თავი. მის გუნდში მხოლოდ ოთხი ფეხბურთელია, რომელთაც 10-ზე ნაკლები მატჩი ჩაუტარებიათ ნაკრებში: **დიეგო ლოპესი, ხუან მატა, ხესუს ნავასი** და **ალვარო ნეგრედო**. ესპანელთა ბანაკში რიბერის ანალოგიურ სიტუაციაში **ფერნანდო ტორესია**, რომელიც ახლახან მომჯობინდა. ამბობენ, დელ ბოსკემ იმ 23 კაცს დაუძახა, ვისიც სამხრეთ აფრიკაში ეიმედებაო.

სხვათა შორის, ესპანელმა გულშემატკივარმა შეიძლება ვერ ნახოს მატჩი. საქმე იმაშია, რომ რეპორტაჟი რტვე-მ უნდა გადასცეს, რომლის თანამშრომლებიც გაფიცულნი არიან. ჯერჯერობით მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა, თუ დღეს დილითაც ვერ შეთანხმდებიან, რტვე მატჩს ვერ აჩვენებს.

### სავარაუდო შემადგენლობები

**საფრანგეთი (4-2-3-1):** ლორისი - სანია, ესკუდე, ბუმსონგი, ევრა - ლ. დიარა, ტულალანი - გოვუ, გურკუფი, ანრი - ანელკა.

**ესპანეთი (4-3-3):** კასილიასი - ს. რამოსი, პიკე, პუიოლი, კაპდევილია - ჩავი, ჩაბი ალონსო, ფაბრეგასი - ნავასი, ვილია, სილვა.


ვისენტე დელ ბოსკე

ამბები



## არბიტრი მოკვეთეს

პრიმერას ბოლო ტურის ცენტრალურ მატჩში მადრიდის „ატლეტიკოსა" და „ვალენსიას" შორის გამოცდილმა არბიტრმა **ალფონსო პერეს ბურულმა** უამრავი შეცდომა დაუშვა, თანაც ორივე გუნდის საზიანოდ. შეხვედრა, რომელიც მასპინძელთა გამარჯვებით 4:1 დასრულდა, „ვალენსიამ" ცხრა კაცის შემადგენლობით ჩაამთავრა. ესპანეთის სამსაჯო კომიტეტმა პერეს ბურულს ძალზე დაბალი შეფასება დაუწერა და მას შემდეგი ტურის მატჩის („ოსასუნა"-„ხეტაფე") განსჯის უფლება ჩამოართვა. ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა პერეს ბურულს ცუდი მსაჯობისთვის სჯიან. შარშან მას ერთთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს „რეალისა" და „ოსასუნას" შეხვედრაში დაშვებული ლაფსუსების გამო.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ **ნეფარიძემ**

## კანალესი ზიდანის ნაკვალევზე

ყოველდღიურმა გაზეთმა „მარკამ" „სამეფო კლუბის" ახალ შენაძენ **სერხიო კანალესთან** ექსკლუზიური ინტერვიუს პირველი ნაწილი გამოაქვეყნა, სადაც 18 წლის ფეხბურთელი თავისი კარიერის წარსულსა და აწმყოზე საუბრობს. დღეს „მარკა" ინტერვიუს მე-2 ნაწილს შემოგვთავაზებს, სადაც საუბარი მომავალზე იქნება. *„ის დღე, როცა „რეალთან" კონტრაქტი გავაფორმე, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი იყო. დიდი ხნის ოცნება ამისრულდა"*, - ამბობს „რასინგის" ვარსკვლავი. კანალესის საფეხბურთო კერპი **ზინედინ ზიდანი** ყოფილა:

*„ჩემი კერპი ზიდანია, თუმცა ასევე ძალიან მომწონს სესკი, სილვა, ჩავი და ინიესტა"*, - ამბობს ინტერვიუში კანტაბრიელი ფეხბურთელი.


ალფონსო პერეს ბურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი. იტალია-კამერუნი



მარჩელო ლიპიმ ალესანდრო ნესტა მაინც ვერ დაიყოლია

# ლიპი: ნესტამ, არაო...

## ბალოტელისთვის კი ჯერ ადრეა

დღეს, იტალიის ნაკრები კამერუნთან ამხანაგურ პაექრობას გამართავს. **მარჩელო ლიპის** განაცხადში ორი ახალწვეულია: **ლეონარდო ბონუჩი** „ბარიდან“ და **ანდრეა კოსუ** „კალიარიდან“. ამასთან, რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, რომელთაც კარგა ხანია აღარ მოურგიათ „სკუადრა აძურას“ მაისურა. თუნდაც, ორი „მილანელი“ ავიღოთ: **დანიელე ბონერა** და **მარკო ბორიელო**. თუ მარკო გამოძახებამ დიდად არ გააკვირვა, დანიელეზე ამას ვერ ვიტყვით. თუმცა უმჯობესია, ამაზე თავად ისაუბრონ. თავდაპირველად, სიტყვა ბორიელოს გადავცეთ:

„საკუთარი თავისგან ყოველთვის მაქსიმუმს ვითხოვ და თვითკრიტიკული ვარ, მაგრამ ამ სეზონში უკმაყოფილების საბაბი, უბრალოდ, არ მაქვს. ისეთი დიდი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვასპარეზობ, როგორიც „მილანია“. ამასთან, არაერთი გოლი გავიტანე და გულშემატკივრები ჩემ მიმართ დადებითად განვაწყვე. გამომდინარე აქედან, ეროვნულ ნაკრებში გამოძახება ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მეტიც, ველოდი კიდეც ლიპის ზარს და ეს მოლოდინი ამიხდა. მარჩელო სამართლიანი ადამიანია და დარწმუნებული ვიყავი, რომ შრომას დამიფასებდა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამხრეთ აფრიკაში აუცილებლად გავემგზავრები. კარგად ვიცი, რომ მუნდიალზე მოსახვედრად კიდევ ბევრი შრომა და ოფლის ღვრა მომიწევს. იმედი მაქვს, კამერუნის ნაკრებს შევეტოქები და ჩემს შესაძლებლობებს „აძურას“ მაისურითაც დავამტკიცებ“.

კიდევ უფრო გახარებულია ბონერა, რადგან ეროვნულ გუნდში გამოძახება მისთვის დიდი სიურპრიზი იყო: „უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ იტალიის ნაკრების მაისურის მორგება მომიწევს. ლიპი აქამდე არ მწყალობდა და ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი თუ მის სიაში აღმოვჩნდებოდი. მიმდინარე სეზონში საკმაოდ კარგად ვთამაშობ და მიხარია, რომ ეს არ გამოეპარა. სამართლიანობის განცდა მაქვს, რაც ლიპის მიმართ უდიდესი პატივისცემით განმაწყობს. დაამტკიცე, რომ მაღალ დონეზე შევიძლია თამაში და მარჩელო აუცილებლად გამოგიძახებს“.

ბედნიერია ბონუჩიც, რომელსაც „აძურას“ ცისფერი მაისურა აქამდე არ მოურგია. აი, რას ამბობს ახალგაზრდა უკანახაზელი: „სიმართლე გითხრათ, სეზონის წინ ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ეროვნულ ნაკრებში ასე მალე გამომიძახებდნენ. ეს უფრო ოცნება იყო, ვიდრე მიზანი, ძალიან მალე კი რეალობა აღმოჩნდა. ფანტასტიკური გრძნობაა, რომელსაც ვერაფერი შეედრება. იმედია, კამერუნთან მომიწევს თამაში, თუმცა ასეც რომ არ მოხდეს, მაინც უბედნიერესი ვიქნები. მთავარია, რომ მარჩელო ლიპიმ შემამჩნია და „აძურაში“ გამომიძახა. დანარჩენი უკვე ჩემს შრომისუნარიანობასა და მონდომებაზეა დამოკიდებული“.

ყურადღების ცენტრში რჩება ლიპი, რომელიც ჟურნალისტებმა რის ვაივაგლახით გამოიჭირეს და კითხვები დააყარეს. მაესტროსა და ჟურნალისტების დიალოგს ქვემოთ გაეცნობით.

**- ნესტას გამოძახებას არ აპირებთ?**

- კარგად იცით, რომ ნაკრებში მისი დაბრუნების მომხრე ვარ. ამ საკითხზე, სანდროსთან საგანგებო შეხვედრა მქონდა და მკაფიო პასუხი მივიღე: მან თქვა, არა. ნესტასთვის ეროვნული გუნდი ყოველთვის პრიორიტეტული იყო, მაგრამ ჯანმრთელობა ხელს არ უწყობს, რომ ორ ფრონტზე გააგრძელოს ასპარეზობა. „მილანის“ ვარჯიშებზეც კი, სხვებზე ნაკლებად ტვირთავენ, რადგან შეიძლება წელის ქრონიკულმა ტრავმამ შეახსენოს თავი. პატივი ვცეთ მის არჩევანს და დავასრულოთ ამ თემაზე საუბარი.

**- ბალოტელის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება სურს, რამდენად დიდია მისი შანსები?**

- ძალიან ნიჭიერია და ამის შესახებ ადრეც არაერთხელ განვაცხადე. იშვიათად მინახავს, 19 წლის ასაკში ფეხბურთელი ასე მძლავრად თამაშობდეს. თუმცა, ამ ეტაპზე მისი ეროვნულ ნაკრებში გამოძახება ნაადრევი მგონია. მარიო იტალიური ფეხბურთის მომავალია და მას დიდ წარმატებებს ვუსურვებ.

**- ჯერ კიდევ ძიებაში ხართ თუ ამას იქით, თითოეული შეხვედრა მუნდიალის რეპეტიციაა?**

- გუნდის ძირითადი ბირთვი დიდი ხანია შერჩეულია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძიება შევწყვიტოთ. მაგალითად, მარკო ბორიელო შესარჩევ ეტაპზე ერთხელაც არ გამომიძახებია, მაგრამ დღეს მისი მოწვევა მიზანშეწონილად ჩავთვალე. კომპლექსურად ვმუშაობთ და ყველაფერს ვაქცევთ ყურადღებას. გამომდინარე აქედან, ჯერ ვერ ვიტყვი, რომ ძიების პროცესი დასრულებულია.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კურანი იუვენტუსში?

„სქაი იტალიას“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თითქმის გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან **კევინ კურანი** „იუვენტუსის“ ღირსებას დაიცავს.

კურანის „შალკესთან“ ივნისში ეწურება ხელშეკრულების ვადა და როგორც ჩანს, მის გახანგრძლივებას აღარ აპირებს. თუმცა, არის მეორე ვერსიაც, რომლის თანახმადაც თავად კლუბს სურს ფეხბურთელთან გამოთხოვება. გელზენკირხენელებს ფინანსური პრობლემა შეექმნათ და როგორც მინიმუმ, ერთი წამყვანი მოთამაშის გასხვისება მოუწევთ. ყველაზე კარგად, წესით, კურანი უნდა გაიყიდოს და შესაბამისად, არჩევანი სწორედ მასზე შეჩერდა. პრინციპში, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, თავად ფეხბურთელს სურს კლუბის დატოვება, თუ კლუბს უნდა მასთან გამოთხოვება, ფაქტი ერთია - დიდი ალბათობით, სეზონის ბოლოს კევინი „შალკეს“ დატოვებს. რაც შეეხება მის „იუვენტუსში“ გადაბარგებას, ამ თემაზე „ბიანკონერის“ სპორტული დირექტორი, **რობერტო ბეტეგა** საუბრობს:

„ზაფხულის ტრანსფერებისას გუნდში ნამდვილად მოხდება გარკვეული ცვლილებები და ამას დღესვე დაგიდასტურებთ. არიან ფეხბურთელები, რომლებიც დატოვებენ გუნდს და ბუნებრივია, შევსებაზეც ვფიქრობთ. რაც შეეხება კევინ კურანის, ძალიან კარგი თავდამსხმელია და როგორც ვიცი, ივნისში „შალკესთან“ კონტრაქტი ეწურება. დაველოდებით მოვლენათა განვითარებას და ვნახავთ, გააფორმებს თუ არა ამჟამინდელ კლუბთან ახალ ხელშეკრულებას. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ნამდვილად შეიძლება კურანის გადაბირებაზე ფიქრი. კვალიფიციური ფორვარდია, რომელმაც მაღალი კლასი ბუნდესლიგაში ასპარეზობით დაამტკიცა. თუმცა, ის რომ დღეს შეთანხმებაა მიღწეული, სიცრუეა და ამას ვერაფრით დავეთანხმები“.

ბეტეგამ მიღწეული შეთანხმება უარყო, მაგრამ „სქაი იტალია“ თავისას მაინც არ იშლის. ჟურნალისტები დაჟინებით გვიმტკიცებენ, უახლოეს პერიოდში ამის შესახებ ოფიციალურად გაცხადდებაო.

ამასობაში, ტურინელთა ბანაკში ისევ მწუხარების ზარმა ჩამოჰკრა. ხანმოკლე ეიფორიის შემდეგ, რომელიც რამდენიმე წარმატებულმა თამაშმა განაპირობა, „იუვემ“ ისევ წააგო და თანაც საკუთარ მოედანზე. „პალერმოსთან“ განცდილი მარცხი გულშემატკივრებმა მძიმედ მიიღეს და ფეხბურთელებს ობსტრუქცია მოუწყვეს. გუშინ, ჟურნალისტების წინაშე **ალესანდრო დელ პიერო** წარდგა და შექმნილ მდგომარეობაზე ვრცლად ისაუბრა:

„სიცილიელებმა შესანიშნავად ითამაშეს და სამი ქულა სრულიად დამსახურებულად მოიპოვეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მარცხი საკმაოდ რთული გადასატანია, ყურები არ უნდა ჩამოვყაროთ და ის პროგრესი, რომელიც აშკარად შეინიშნება, არ უნდა დავივიწყოთ. გუნდი ჯერ კიდევ შოკურ მდგომარეობაშია და აქედან გამოსასვლელად დიდი შრომაა საჭირო. მესმის გულშემატკივრების, რომლებიც იმედგაცრუებულნი არიან, მაგრამ რა ვქნათ? ხომ არ გავჩერდებით და დავანებებთ ფეხბურთის თამაშს თავს? - ჩვენი ვალია, არ გავჩერდეთ და ბოლომდე ვიბრძოლოთ მიზნის მისაღწევად. საბედნიეროდ, ევროპის ლიგაზე წარმატებით ვასპარეზობთ და გვსურს თასი მოვიპოვოთ, ამასთან, ეროვნულ ჩემპიონატში ოთხეულში მოვხვდეთ“.



კევინ კურანი

ინტერი

# მორატი ჟოზეს მაინც ენდობა

მას შემდეგ, რაც **ჟოზე მოურინიომ** მორიგი დისკვალიფიკაცია მიიღო, დაირხა ხმები, რომ **მასიმო მორატისთან** ურთიერთობა გაუფუჭდა. ამბობენ, პრეზიდენტს ყელში ამოუვიდა პორტუგალიელის გამოხდომები და სეზონის ბოლოს მასთან გამოთხოვებას აპირებს. ეს ამბავი თავად მორატიმ გაიგო და ჟურნალისტებისთვის შემდეგი განმარტება გააკეთა:

„მინდა გავანბილო ის ხალხი, ვისაც „ინტერის“ წარუმატებლობა ახარებს. ჟოზე მოურინიოსთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს და მის გაშვებას არსად ვაპირებ. შემიძლია 100%-იანი გარანტიით გითხრათ, რომ მომდევნო სეზონში „ნერაძურის“ სწორედ პორტუგალიელი უთავკაცებს. ჟოზე ნამდვილი პროფესიონალია, რომელიც თითოეულ პატარა დეტალს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. მისი ვარჯიშების ყურებაც კი სიამოვნებას მანიჭებს და გამომდინარე აქედან, მასთან გამოთხოვება აზრადაც კი არ მომსვლია“.

აქვე, **დავიდე სანტონზეც** ვთქვათ - მასზე პრესაში ურთიერთგამომრიცხველი ინფორმაციები გავრცელდა. ჟურნალისტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ დავიდე „ინტერთან“ ახალ ხელშეკრულებას აფორმებს, ნაწილი კი მის „მილანში“ გადაბარგებას წინასწარმეტყველებს. თავად ფეხბურთელს შემდეგი პოზიცია აქვს:

„თავიდანვე გეტყვით, რომ ჩემი „მილანში“ გადაბარგება, უბრალოდ, გამორიცხულია. „ინტერს“ და ამ გუნდის გულშემატკივრებს უდიდეს პატივს ვცემ, ამიტომ, „როსონერიში“ გადასვლა პრაქტიკულად წარმოუდგენელია. დიდი იმედი მაქვს, რომ „ნერაძურიში“ კიდევ დიდხანს ვითამაშებ, თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ასე იქნება. ბევრი რამე მთავარ მწვრთნელზეა დამოკიდებული, თუ მათამაშებს, წასვლაზე არც კი ვიფიქრებ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ახალი კლუბის ძიება მომიწევს“.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ჟოზე მოურინიო და მასიმო მორატი

ამხანაგური მატჩი. გერმანია-არგენტინა

# ადლერს წყალი არ გაუვა!

## ნოიერი და ვიზე იმედგაცრუებულები არიან, მაგრამ რენეს პირველობას აღიარებენ



ბუნდესგუნდის პირველი მეკარე რენე ადლერია

გერმანიის ნაკრები არგენტინასთან მატჩს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებით ხვდება. ბუნდესგუნდის სამწვრთნელო შტაბმა გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ დღეს, „ალბისელესტესთან" მიუნხენში გასამართ ტესტ-მატჩში, გერმანიის ნაკრების კარს „ლევერკუზენის" 25 წლის მეკარე **რენე ადლერი** დაიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ თითქმის 100 პროცენტით გადაწყვეტილია: ადლერი მსოფლიოს ჩემპიონატზეც ბუნდესგუნდის პირველი ნომერი იქნება. როგორც იცით, ბუნდესნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ჯერ კიდევ შემოდგომაზე თქვა, ვინც ჩვენი გუნდის კარს არგენტინასთან დაიცავს, სწორედ ის ითამაშებს მუნდიალზეცო - თუ, რა თქმა უნდა, რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა.

„გადაწყვეტილია, რომ არგენტინასთან კარში რენე ადლერს ჩავაყენებთ. პრინციპში, ეს მოულოდნელი არავისთვის უნდა იყოს. რენე ძალიან მაღალი დონის გოლკიპერია და თანაც, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის გადამწყვეტ მატჩებში სწორედ ის იცავდა ჩვენი გუნდის კარს და ყველა შეხვედრაში დამაჯერებლად, მეტიც, ძალიან კარგად იასპარეზა. რენე განსაკუთრებით კარგი იყო რუსეთთან უმნიშვნელოვანეს შეხვედრებში. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ამ გადაწყვეტილებამ არავინ უნდა გააოცოს. ასე რომ, დღეისათვის გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე ადლერია. მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატამდე კიდევ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ იმედია, რენე სეზონის დარჩენილ ნაწილსაც უმაღლეს დონეზე ჩაატარებს და მუნდიალს სრულ მზადყოფნაში შეხვდება," - განაცხადა გუშინ, „ალიანს არენაზე" გამართულ პრესკონფერენციაზე გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელმა **ანდრეას კიოპკემ.**

ეს ინფორმაცია ნამდვილად არ გაახარებდა „ვერდერის" კარის დარაჯ **ტიმ ვიზეს** და „შალკეს" კიპერ **მანუელ ნოიერს**, რომლებიც ადლერის კონკურენტები არიან. თუმცა გადაწყვეტილების გახმაურების შემდეგ ვიზემ თქვა, სხვა რამეს არც ველოდი, ზუსტად ვიცოდი, რომ უპირატესობა ადლერს მიენიჭებოდა, რადგან დღეისათვის გერმანიაში ის მართლაც საუკეთესო მეკარეაო. რაც შეეხება ნოიერს, ლიოვისა და კიოპკეს თქმით, ადლერის პირველობას „შალკეს" მეკარეც გაგებით მოეკიდა. ლიოვმა გადაწყვეტილების შესახებ ჯერ ნოიერს, მერე კი ადლერს ამცნო.

„ნოიერი ჩვენს გადაწყვეტილებას გაგებით შეხვდა. ცხადია, ამის მოსმენის შემდეგ ბედნიერი ვერ იქნება და რომ ვთქვათ, გახარებული იყო, ნამდვილად მოგატყუებთ. მანუელს იმედები გაუცრუვდა. მაგრამ ვფიქრობ, შინაგანად ნოიერიც აღიარებს, რომ დღესდღეობით რენე მასზე უკეთესია," - თქვა კიოპკემ.

პრესკონფერენციაზე თვითონ რენე ადლერიც გახლდათ, რომელმაც თქვა: „ვერ წარმოიდგენთ, ისე მიხარია. ეს ჩემთვის უდიდესი პატივია და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ სამწვრთნელო შტაბისა და მთელი გერმანიის მოლოდინი გავამართლო. არგენტინასთან მატჩი კი მართლაც გრანდიოზული რამ იქნება."

ამრიგად, ამიერიდან გერმანიის ნაკრების ძირითადი შემადგენლობიდან ადლერს მხოლოდ თვითონ ადლერი თუ ამოაგდებს. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ რენე ფორმიდან ამოვარდება და შეცდომების დაშვებას დაიწყებს, ან თუ ტრავმას მიიღებს. გეხსომებათ, გერმანიის ნაკრებში 2006 წელსაც ასეთი კონკურენცია იყო, მაგრამ მაშინ ყველაფერი გასაოცარი შედეგით დამთავრდა: ბუნდესგუნდის სამწვრთნელო შტაბმა **ოლივერ კანს იენს ლემანი** ამჯობინა. ამის გამო ამ ორ მეკარეს შორის მტრობა გაღრმავდა და გეხსომებათ, რა ამბებიც ატყდა. ადლერი ამბობს, რომ დღეს კარდინალურად განსხვავებული ვითარებაა. „მანუელ ნოიერსა და ჩემ შორის არანაირი პრობლემა არ არსებობს," - აღნიშნა ადლერმა.

# დიეგომ გერმანელები გააგიჟა

**დიეგო მარადონა** მწვრთნელიც ისეთია, როგორიც ფეხბურთელი იყო: ემოციური, მუდამ ანთებული და ექსცენტრიკული. შესაბამისად, როდესაც წესრიგის მოყვარული გერმანელების წინაშე პრესკონფერენციაზე წარდგა, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მისთვის ჩამჭრელი კითხვების დასმას თავი აარიდეს და მხოლოდ ბანალური კითხვებით შემოიფარგლნენ. მარადონამაც შეძლებისდაგვარად მშვიდად ისაუბრა ჯერ გერმანიაზე, მერე არგენტინაზე და ბოლოს, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატზეც ჩამოაგდო სიტყვა.

წესრიგის მოყვარულ გერმანიაში მარადონას დიდ პატივს კი სცემენ, მაგრამ ვერაფერს უგებენ. ასე მაგალითად, ორშაბათ დილას არგენტინის ნაკრების ვარჯიშს გერმანელები გაოგნებულები უყურებდნენ, რადგან მათთვის გასაოცარია ის ფაქტი, რომ გუნდის მწვრთნელი ვარჯიშის დროს სიგარას ეწევა და მეკარეს, რომელსაც რჩევებს აძლევს, სიგარას სახეში აბოლებს. საღამოს კი, მარადონამ დაგეგმილ პრესკონფერენციაზე ერთი საათით დააგვიანა - არგენტინის ნაკრების პრესცენტრმა გერმანელ ჟურნალისტებს მოუბოდიშა და უთხრა, უკაცრავად, დიეგოს შხაპის მიღება ძალიან გაუგრძელდაო.

თუმცა, ალბათ, მარადონაც მიხვდა, რომ გერმანელებისთვის ეს ყველაფერი ისედაც ნამეტანი იყო და სწორედ ამიტომ, პრესკონფერენცია გერმანიის ნაკრებზე საუბრით დაიწყო. „თქვენ ყოველთვის ბოლო წუთამდე იბრძვით და სწორედ ეს არის თქვენი მთავარი პლუსი. ამავდროულად, გყავთ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან მიხაელ ბალაკი და ლუკას პოდოლსკი. კარგი ფეხბურთელები რომც არ გყავდეთ, გერმანია მაინც ძალიან მაგარი გუნდი იქნება, რადგან ასეთი შეკრული და გუნდური ნაკრები მსოფლიოში მეორე არ არსებობს, - უთხრა დიეგომ გერმანელ ჟურნალისტებს და იქვე დასძინა: „რაც შეეხება თქვენი ნაკრების სისუსტეებს, შევეცდებით, მინუსები უშუალოდ თამაშის დროს დაგანახვოთ".

რაც ყველაზე მთავარია, მარადონა დარწმუნებულია, რომ დუელი უაღრესად საინტერესო გამოდგება: „გერმანიას ამ თამაშის მოგება უნდა, მხოლოდ მოგება გვინდა ჩვენც. შესაბამისად, ეს იქნება ძალიან მაგარი, უაღრესად საინტერესო მატჩი." თუმცა დიეგომ იქვე გაუსვა ხაზი იმას, რომ საუბარი რევანშზე 2006 წლის მუნდიალის მეოთხედფინალში განცდილი მარცხის გამო აბსოლუტურად ზედმეტია. „არანაირი რევანში არ იქნება. შურის საძიებელი არაფერი გვაქვს. 2006 წელი უკვე წარსულია", - აღნიშნა დიეგომ.

გარდა ამისა, მარადონამ კიდევ ერთხელ ყველა დაარწმუნა, რომ მომავალ მუნდიალს ოპტიმისტურად უყურებს. მისი ნაკრები ძლევამოსილებით არ გამოირჩევა და ყველას გვახსოვს, რომ არგენტინამ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური დიდი გაჭირვებით მოიპოვა, მაგრამ მარადონა დარწმუნებულია, რომ მუნდიალზე ყველაფერი კარგად იქნება. „ძალიან მინდა, მუნდიალზე არგენტინამ ახალი გმირები აღმოაჩინოს", - ამბობს დიეგო. ეს იყო და ეს, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონს მეტი არაფერი უთქვამს. მხოლოდ საკუთარ თავზე დასძინა, მე ან შავი ვარ, ანაც თეთრი, ნაცრისფერი არასდროს ვიქნებიო.



დიეგო მარადონა ვარჯიშის დროს სიგარას აბოლებს და თან მეკარე მარიანო ანდუხარს რჩევა-დარიგებებს აძლევს

ფაქტია, რომ არგენტინაში დიეგიტოს მკაცრად აკრიტიკებენ. არა მარტო იმის გამო, რომ ალბისელესტეს მუნდიალის საგზურის მოპოვება გაუჭირდა. პირველად დიდი ხნის განმავლობაში, არგენტინელებს არ აქვთ ისეთი შეგრძნება, რომ მათ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონობა შეუძლია. მუნდიალის შესარჩევ ციკლში მარადონამ სულ 102 ფეხბურთელი გამოცადა და არგენტინელებს ესეც გადაჭარბებულად მიაჩნიათ. იყო შემთხვევებიც როცა დიეგო ისეთ ფეხბურთელებს იძახებდა, რომლებიც იმ მომენტში ტრავმირებულები იყვნენ. ახლა კი დიეგო არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას ეჩხუბება. საქმე იმაშია, რომ 24 მაისს კანადასთან ამხანაგური მატჩია დაგეგმილი, რომელიც არგენტინის გათავისუფლების 200-წლიან იუბილეს უნდა მიეძღვნას. მარადონას ეს თარიღი ოდნავადაც არ აღელვებს - დიეგო თავისი ფეხბურთელების დასვენებას ითხოვს.

წელიწადზე მეტი გავიდა მას მერე, რაც არგენტინის ნაკრებმა ბოლოს გაიბრწყინა. ეს იყო 2009 წლის თებერვალში, როცა არგენტინელებმა ფრანგები 2:0 დაამარცხეს. ყოფილი მწვრთნელი **ლუის სესარ მენოტი** ამბობს, რომ მას მერე მარადონას გუნდი ისე თამაშობს, როგორც ჩემი უკანალიო...

ჯერჯერობით გაურკვეველი მხოლოდ ორი პოზიციაა: ვინ იქნება მარჯვენა მცველი და ვინ იქნება დაცვის ცენტრში **მარტინ დემიკელისის** მეწყვილე. მარჯვნივ ფავორიტი **კლემენტე როდრიგესია** და მის ალტერნატივად **ოტამენდი** მიიჩნევა. სხვათა შორის, ამ პოზიციაზე მარადონა **სამუელის** კანდიდატურასაც განიხილავს.

**ლეო მესისთან** ერთად, თავდასხმაში საუკეთესო შანსი რეალელ **იგუაინს** აქვს. წინა ხაზისთვის მარადონას **კარლოს ტევესი** და **კუნ აგუეროც** ჰყავს. დიეგოს ნახევარდაცვაშიც დიდი კონკურენცია აქვს დაწესებული. ცენტრალური შემტევი შუამარბის პოზიციისთვის: **პასტორე** და **ბოლატი** იბრძვიან. არის ვეტერანი **ხუან სებასტიან ვერონის** ვარიანტიც - უბრალოდ, გააჩნია, როგორი სქემით ითამაშებს დიეგო: 4-4-2-ით (ვერონი) თუ 4-3-1-2-ით (პასტორე ან ბოლატი).

დიეგო ამბობს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი ფეხბურთელების 50 პროცენტი უკვე ცნობილია. მას ოდნავადაც არ აღელვებს, რაცხავენ თუ არა მის გუნდს ფავორიტად - 1986-შიც არ ვიყავით ფავორიტები, მაგრამ ფინალში ფავორიტ გერმანიას კუდით ქვა ვასროლინეთო.

### სავარაუდო შემადგენლობები

**გერმანია (4-2-3-1):** რ. ადლერი - ჟ. ბოატენგი, მერტეზაკერი, ტასკი, ლამი - შვაინშტაიგერი, ბალაკი - თ. მიულერი, იოზილი, პოდოლსკი - კლოზე.

**არგენტინა (4-1-2-1-2):** რომერო - როდრიგესი, დემიკელისი, სამუელი, ჰაინცე - მასკერანო - გუტიერესი, დი მარია - ვერონი - მესი, იგუაინი.

**არბიტრი:** მარტინ ატკინსონი (ინგლისი)

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია-არგენტინა. ინტერვიუ — ხორხე ბურუჩაგა

# ხალხს სურდა, რომ არგენტინა დიეგოს გაეწვრთნა!

## მესის გუნდიც უნდა მიეხმაროს, 1986 წელს მარადონას უკან ერთ მუშტად შეკრული გუნდი იდგა, რომელიც ფუნქციონირებდა

**არგენტინის** ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონობა ბოლოს 1986 წელს იზეიმა და მაშინ, მუნდიალის ფინალის გმირი ხორხე ბურუჩაგა გახდა - კაცი, რომელმაც გერმანიას გადამწყვეტი გოლი გაუტანა და იმხანად კარლოს ბილარდოს მიერ გაწვრთნილ „ალბისელესტეს" მსოფლიო თასი მოაპოვებინა. დღეს არგენტინელები გერმანიას ხვდებიან და ამ მატჩის წინ გერმანულმა გამოცემა „ველტმა" ბურუჩაგას ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც დღეს უკვე 47 წლის ხორხე ბოლო მუნდიალებისა და დიეგო მარადონას ფორმაციის არგენტინის ნაკრებზე საუბრობს.

**- ჰერ ბურუჩაგა, დღესაც ხომ არ გრძნობთ ჰანს-პეტერ ბრიგელის სუნთქვას ზურგს უკან?**

- (იცინის) არა. 1986 წლის ფინალში ბრიგელმა მართლაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ გოლი არ გამეტანა, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ და გერმანელებისთვის სამწუხაროდ, არაფერი გამოუვიდა.

**- არგენტინა 2:0-ს იგებდა და თამაში ალბათ მოგებულად მიიჩნიეთ, რის გამოც დაისაჯეთ კიდეც...**

- ჰო, ალბათ ასეც იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის აუხსნელია, როგორ შეძლეს გერმანელებმა ანგარიშის გათანაბრება. თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით და წესით, გოლები არ უნდა გაგვეშვა. მაგრამ გერმანელები ხომ ასეთები ხართ - როგორიც უნდა იყოს ანგარიში და მატჩის მიმდინარეობა, გერმანიასთან თამაში მოგებულად არასდროს უნდა ჩათვალო.

**- როგორი რეაქცია გქონდათ, როცა გერმანიამ ანგარიში გაათანაბრა?**

- ჩვენ იმდენად თავდაჯერებულები ვიყავით, მაინც ასი პროცენტით გვჯეროდა, რომ იმ თამაშს მოვიგებდით. რუდი ფიოლერის გოლის შემდეგ, რითაც მან წონასწორობა აღადგინა, დიეგო მარადონა, ხორხე ვალდანო და მე მოედნის ცენტრში ვიდექით. მე ვთქვი: „ჩვენ ამ თამაშს მაინც მოვიგებთ!" ჩვენს ადგილზე სხვა გუნდი რომ ყოფილიყო, შოკში ჩავარდებოდა და დაითრგუნებოდა, ჩვენ კი ასეთი რამ არ დაგვემართა. არც ერთ ჩვენგანს არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ მსოფლიოს ჩემპიონი მაინც არგენტინა გახდებოდა.

**- ამბობენ, საფინალო სასტვენის შემდეგ მწვრთნელი კარლოს ბილარდო მაინც ბრაზობდაო. რატომ?**

- ბილარდო ნამდვილი გიჟია, ის პერფექციონისტი გახლავთ. განაწყენებული იყო იმის გამო, რომ გერმანელებმა ორი გოლი გაგვიტანეს, თანაც სტანდარტულებიდან. საქმე ისაა, რომ დღეში ასჯერ მაინც გვიჩიჩინებდა, გერმანელები სტანდარტულების დროს ძალიან სახიფათონი არიანო და გვავარჯიშებდა, როგორ უნდა გვემოქმედა კუთხურების თუ ჯარიმების დროს. ჰოდა, ვერ აიტანა, რომ გოლები მაინც ასეთი სიტუაციებიდან გავუშვით. მსოფლიოს ჩემპიონობაც კი არ მოულოცავს!

**- მიუხედავად იმისა, რომ არგენტინას ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს უმაღლესი დონის შემსრულებლები, 1986 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონები აღარ ყოფილხართ, ხოლო ფინალში კი ბოლოს 1990 წელს გახვედით. რატომ?**

- თუ არ ჩავთვლით 2002 წელს, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტები ვიყავით და სამარცხვინოდ გავვარდით, ყველა მუნდიალზე ნორმალურად ვიასპარეზეთ და თავი არ შეგვირცხვენია. არგენტინაში ხალხი ყოველთვის მსოფლიოს ჩემპიონობას ითხოვს, ჩემი აზრით კი მეოთხედფინალში გასვლაც უკვე წარმატებაა. მეოთხედფინალში მსოფლიოს 8 საუკეთესო გუნდი გადის, რის გამოც, თითოეულ დეტალს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

**- 2006 წელსაც მეოთხედფინალიდან გავარდით...**

- არადა, გერმანიას პირველ ტაიმში ნამდვილად ვაჯობეთ და მე რომ მკითხოთ, გოლის გაშვებას არ ვიმსახურებდით. კლოზეს კი გაუმართლა და ანგარიში გაათანაბრა. პენალტების სერიაზე რა უნდა ვთქვა - ეს ხომ ლატარიაა.

**- დიეგო მარადონა ახლა ნაკრების მწვრთნელია და საინტერესოა, როგორ აფასებთ მის მუშაობას?**

- ფანებს სურდათ, რომ მარადონას არგენტინის ნაკრები გაეწვრთნა. მაგრამ მწვრთნელობა სულ სხვა რამეა. სამწუხაროდ, მარადონას ხელში „ალბისელესტეს" არ ულხინს და მას ფანებიც მაგრად აკრიტიკებენ. დიეგო ყველა დროის ყველაზე მაგარი ფეხბურთელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწვრთნელიც ასეთივე იქნება. თუმცა მჯერა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე სულ სხვა არგენტინას ვიხილავთ.

**- გიკვირთ, დიეგოს მწვრთნელის რანგში პრობლემები რომ აქვს?**

- დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმის კეთება თვითონაც გაცილებით მარტივად წარმოედგინა. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ როცა მარადონამ გუნდი ჩაიბარა, არგენტინის ნაკრები უკვე მძიმე მდგომარეობაში იყო. დიეგოს სამწვრთნელო გამოცდილება ფაქტობრივად არ ჰქონდა და ასეთ დროს წარმატების მიღწევა, გუნდში ყველაფრის დალაგება ორმაგად რთულია. ახლა კი, მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ აქვს დრო იმისათვის, რომ გარკვეული კონცეფცია ჩამოაყალიბოს.

**- ცხადია, ლეო მესის მთავარი როლი აქვს, მაგრამ თუკი „ბარსელონაში" ყოველთვის ბრწყინავს, ნაკრებში ხშირად ჩავარდნები აქვს. ამას როგორ ახსნით?**

- მართალია, მესი არგენტინაში დაიბადა, მაგრამ თითქმის მთელი საფეხბურთო ცხოვრება ევროპაში აქვს გატარებული. შესაძლოა, კარგად ვერ უგებს არგენტინულ ფეხბურთს. ამას ისიც ემატება, რომ მესისგან მთელი ქვეყანა სასწაულებს ელის, ყველას მიაჩნია, რომ მესიმ მარტომ უნდა გააჩემპიონოს „ალბისელესტე". ეს კი ძალიან ძნელია, მით უმეტეს იმ გუნდში, რომელიც არ ფუნქციონირებს. 1986 წელს მარადონა უდავოდ გმირი იყო და მარტომ გვათრია, მაგრამ მაშინ გუნდი ფუნქციონირებდა. დღევანდელ გუნდს კი ვერც მარადონა გაათრევდა მუნდიალის ფინალში. ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ მესი ვაკრიტიკოთ, სხვა ფეხბურთელებში უნდა ვეძებოთ პრობლემები. თუ ლეოს გუნდიც მიეხმარება, მჯერა, რომ მუნდიალზე ისეთ მესის ვნახავთ, როგორსაც „ბარსაში" ვხედავთ ხოლმე.

**- მიუხედავად ყველაფრისა, არგენტინა მაინც მუნდიალის ერთ-ერთ ფავორიტად უნდა ჩაითვალოს?**

- რა თქმა უნდა. ოღონდ, ბრაზილიასთან, ესპანეთთან და გერმანიასთან ერთად.

**- რა მნიშვნელობა აქვს გერმანიისა და არგენტინის ამხანაგურ მატჩს?**

- ეს უდიდესი კალიბრის მატჩია. ამავდროულად, იოახიმ ლიოვს და დიეგო მარადონას შეუძლიათ, რომ მუნდიალზე წასაყვანი კანდიდატები გასინჯონ. დიეგო, ბოლოს და ბოლოს, ერთ კონკრეტულ სქემაზე უნდა ჩამოყალიბდეს, რადგან ექსპერიმენტების დრო უკვე აღარ არის.



ხორხე ბურუჩაგა 1986 წლის მუნდიალზე

**გოტფრიდ ლენცი**

ამხანაგური მატჩი. ინგლისი-ეგვიპტე

# ეს BOOნებრივი არ არის



უეინ რუნი ფანებს ჯონ ტერის მიმართ აგრესიის დაოკებას სთხოვს

**უეინ რუნიმ** ქომაგებს სთხოვა დღეს, „უემბლიზე" ეგვიპტესთან ამხანაგურ შეხვედრაში **ჯონ ტერის** არ უსტვინონ და ტრადიციული ინგლისური „ბუუ" (BOO) არ უძახონ. მოგეხსენებათ, ეგრეთ წოდებული „ბრიჯგეიტის სკანდალის" შემდეგ „ჩელსის" ვარსკვლავს ეროვნული გუნდის კაპიტნობა ჩამოართვეს. რუნიმ თქვა:

*„დიდი იმედი მაქვს, რომ ფანები ჯონს „ბუუს" არ დაუძახებენ. მითამაშია ასეთ შეხვედრებში, როდესაც ჩემი თანაგუნდელებისთვის ობსტრუქცია მოუწყვიათ და უნდა გითხრათ, რომ ეს ძალიან ცუდია. ნურავინ იფიქრებს, რომ ამით მხოლოდ იმ მოთამაშეს დააზარალებენ, რომელსაც „ბუუს" ეძახიან. ასეთ დროს მთელი გუნდი ცუდ დღეში ვარდება".*

საინტერესოა, რომ „უემბლიზე" „ბუუს" მოსმენა საკმაოდ ხშირად უწევთ „ჩელსის" ფეხბურთელებს. ასეთი რამ **ფრენკ ლემპარდსა** და **ეშლი კოულს** უწნევიათ. ახლა რიგში დასავლეთლონდონელთა კაპიტანია.

რუნიმ დასძინა: *„როდესაც მასპინძელი გუნდის ფანები საკუთარ ფეხბურთელებს უსტვენენ, ეს სწორი დამოკიდებულება არ არის. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ჩვენ გვინდა ფანებმა მხარი დაგვიჭირონ და გვერდში დაგვიდგნენ. ვფიქრობ, გულთბილი შეხვედრა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რასაკვირველია, ჯონის გუნდში ყოფნა ყველას გვიხარია. მსოფლიოს ჩემპიონატის მოსაგებად ტერის თამაში აუცილებელია. ის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია".*

ეგვიპტელებთან შეხვედრაში ინგლისს „ლივერპულის" ვარსკვლავი **სტივენ ჯერარდი** უკაპიტნებს. რუნიმ განაგრძო: *„ჯონ ტერი ჩვენი ნაკრების ლიდერია და მიუხედავად იმისა, რომ სამკლავური ჩამოართვეს, ასეთად რჩება. ამასთან, ის დიდი ფეხბურთელიცაა. ბოლო სამი წელიწადია მას მსოფლიოს წლის სიმბოლურ ნაკრებში ასახელებენ. დარწმუნებული ვარ, რაც მოხდა, ჩვენ ხელს არანაირად არ შეგვიშლის. ინგლისელი ფეხბურთელები პროფესიონალები არიან და მოედანზე თავიანთ საქმეს გააკეთებენ".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ჩელსი

# დეკუ შინ მიდის

**დეკუმ კარლო ანჩელოტი** გააოცა - გუნდიდან გაშვება სთხოვა. „ჩელსის" მწვრთნელს, გეგონება, **ეშლი კოულისა** და **ჯონ ტერის** სექსსკანდალები არ ეყოფოდა, ზედ დეკუს გაქცევაც რომ არ დართვოდა. დასავლეთლონდონელთა და პორტუგალიის ნაკრების გამთამაშებელმა ჟურნალისტებს თავისი მდგომარეობა ასე განუმარტა:

*„სამშობლოში, ბრაზილიაში მინდა დაბრუნება. ასაკი საშუალებას მაძლევს, უმაღლესი დონის ფეხბურთში კიდევ გავატარო ერთი-ორი წელიწადი, მაგრამ ცოლთან და ბავშვებთან განშორება აღარ შემიძლია".*

32 წლის ფეხბურთელს „ლურჯებთან" კონტრაქტით კიდევ აკავშირებს ერთი წელიწადი, მაგრამ, როგორც გითხარით განთავისუფლება ითხოვა.

*„იდეალურ შემთხვევაში, გუნდიდან მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ წავიდოდი. სწორედ ამის შესახებ ველაპარაკე ხელმძღვანელებს".*

ანჩელოტის ხელში ოთხი შვილის მამა გუნდის ერთ-ერთი საყრდენი ფიგურა გახლდათ. მან 24 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. დეკუ დასძენს: *„ახლა ყველაფერი „ჩელსიზეა" დამოკიდებული. რას გადაწყვეტს კლუბი, გამიშვებს თუ გამაქირავებს? ახალი გუნდის ძებნას არ ვჩქარობ, მაგრამ დროა შინ დავბრუნდე".*



დეკუს ბრაზილია მოენატრა

ცნობილია, რომ ბრაზილიური წარმოშობის პორტუგალიელი ვარსკვლავის შეძენა „ფლამენგოს" სურს. დეკუ სანაკრებო კარიერას სამხრეთ აფრიკის მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ დაამთავრებს.

**ილია ბაბუნაშვილი**

შალკე

# ჩემი ოქრო ჩემთან!

## ფელიქს მაგათმა ვოლფსბურგელი მიშიმოვიჩი მოითხოვა!

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ **ფელიქს მაგათი**, რომელსაც მომავალ სეზონში გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა სურს, ყოველთვის გამთამაშებლით თამაშობს. სადაც მწვრთნელად უმუშავია, ყველგან ჰყავდა სუფთა ფლეიმეიკერი, ნამდვილი ათიანი, რომელმაც თავდამსხმელები პასებით უნდა მოამარაგოს. როდესაც „ვოლფსბურგი" დატოვა და „შალკეს" თავკაცად დაინიშნა, მის განკარგულებაში ორი „დირიჟორის" ყაიდის ფეხბურთელი იყო: **ივან რაკიტიჩი** და **ლევან ყენია**. ამავდროულად, მაგათმა ზაფხულში აახენის „ალემანიადან" **ლუის ჰოლტბიც** შეიძინა. ამ უკანასკნელმა საერთოდ ვერ შეძლო მაგათისთვის თავის მოწონება, რის გამოც იანვარში „ბოხუმში" გაანათხოვრეს. იანვარშივე მაგათმა რამდენიმე შემტევი ნახევარმცველი იყიდა, მათ შორის **ალექსანდერ ბაუმიოჰანიც**, რომელიც ასევე „ათიანია", მაგრამ როგორც ჩანს, ამ უკანასკნელითაც არ არის კმაყოფილი.

როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, ფელიქსს „ვოლფსბურგის" გამთამაშებელ **ზვიეზდან მიშიმოვიჩის** გადაბირება უნდა. როგორც იცით, მაგათი მიშიმოვიჩს „ვოლფსბურგში" წვრთნიდა და ზვიეზდანი სწორედ მის ხელში გაბრწყინდა. „ბილდის" ინფორმაციით, ფელიქსი უკვე ესაუბრა 27 წლის ბოსნიელი ფლეიმეიკერის მრჩეველს და დიდი შანსია, რომ ზაფხულში მიშიმოვიჩი „შალკეს" ფეხბურთელი გახდეს.

ფაქტია, რომ არც ფეხბურთელი იტყვის უარს, რადგან ყველამ იცის, რომ მას ჩემპიონთა ლიგაში თამაში უნდა, „ვოლფსბურგს" კი ევროპის ელიტურ საკლუბო ლიგაში მოხვედრის შანსი აღარ აქვს. თანაც, მიშიმოვიჩს მაგათი ძალიან უყვარს. ფაქტია ისიც, რომ „მგლები" ზვიეზდანს იაფად არ დათმობენ. მას „ვოლფსბურგთან" კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს და „შალკეს" მასში მინიმუმ 10 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. როგორც წერენ, „მგლებისგან" მაგათს მცველ **მარსელ შეფერის** წაყვანაც სწადია.

**გოტფრიდ ლენცი**

კალათბურთი — ქართველი NBA-ში

# ვუდსონი ზაზას ისევ ენდობა



ზაზა ფაჩულია

ორიოდე წლის წინათ **ზაზა ფაჩულიას** ორმაგი დუბლებით განებივრებულნი ვიყავით. მიმდინარე სეზონში კი 18 წუთი, 8 ქულა და 7 მოხსნაც კარგ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. თავად განსაჯეთ: ბოლო შვიდ მატჩში ზაზას საუკეთესო მონაგარი სწორედ ზემოთ ნახსენები ციფრებია. ასეთი მაჩვენებელი ფაჩულიას „ჩიკაგოსთან" 1-ელი მარტის მატჩში ჰქონდა.

ქართველმა ცენტრმა შეხვედრა სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, მოედანზე პირველი პერიოდის ბოლოს შევიდა... მეოთხე რაუნდის ბოლო წუთებიც ითამაშა. საინტერესო დამთხვევაა: როცა ამერიკული პრესა ხმამაღლა ალაპარაკდა „ჰოქსში" კლივლენდელი ცენტრის **ჟიდრუნას ილგაუსკასის** ჩამოყვანაზე, ზაზას წუთობრივმა მაჩვენებლებმა საგრძნობლად იკლო. მწვრთნელი 10 წუთსაც არ ათამაშებდა. 28 თებერვალს გაცხადდა, რომ ილგაუსკასი ისევ „კლივლენდში" აპირებს კარიერის გაგრძელებას. ჰოდა, 28 თებერვლის მატჩში ზაზამ 14 წუთი ითამაშა, ხოლო 1 მარტს - 18 წუთი.

როგორც ჩანს, მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი** მიხვდა, რომ პლეი ოფში „ორლანდოს", „ბოსტონის" და „კლივლენდის" გიგანტებთან მხოლოდ სასტარტო ცენტრი **ელ ჰორფორდი** ვერაფერს გახდება, ამიტომ ცდილობს, გადამწყვეტ მატჩებს ზაზა ფაჩულიაც სათამაშო პრაქტიკითა და კარგი მომზადებით შეახვედროს.

რეალურად, ზაზა ჰორფორდზე ნაკლებ სამუშაოს ნამდვილად არ ასრულებს. ეს „ჩიკაგო ბულსთან" მატჩში კიდევ ერთხელ გამოჩნდა: 18 წუთში 8 ქულა, 7 მოხსნა და თითო პასი-ჩაჭრა კარგი შედეგია. მართალია, ჰორფორდმა ორმაგი დუბლი შეასრულა (15 ქულა, 10 მოხსნა), მაგრამ ამისთვის 33 წუთი ჰქონდა. ამერიკელი ჟურნალისტები „ატლანტას" სტუმრად გამარჯვებას **ჯოშ სმიტს** მიაწერენ, რომელმაც 17 ქულა და 18 მოხსნა გაიფორმა.

ზაზას თანაგუნდელებმა ჩიკაგოელები ფარქვეშ აშკარად დაჩაგრეს, მოხსნებში 63:37 აჯობეს.

მართალია, აღმოსავლეთის კონფერენციაში „ჰოქსსა" და „ბოსტონს" წაგებათა თანაბარი რაოდენობა (21-21) აქვთ, მაგრამ ჯორჯიელებმა ორით მეტი მატჩი ჩაატარეს და ორით მეტი მოგება უწერიათ - 38. ამ მაჩვენებლით „ატლანტა" აღმოსავლეთის კონფერენციაში მესამე ადგილზეა და სამი მოგებით ჩამორჩება მეორეადგილოსან „ორლანდოს".

„ატლანტა" უახლოეს მატჩს 3 მარტს გამართავს - „ორლანდოსგან" გუშინ ძლეულ „ფილადელფიას" მიიღებს.

| ჩიკაგო-ატლანტა | 92:116 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 18 წუთი, 8 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 3 ფოლი, 1 შეცდომა | |
| **I პერიოდი** | |
| 01:41 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:39 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 00:26 | ორქულიანი: არაზუსტი |
| **II პერიოდი** | |
| 10:53 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 10:07 | ფოლი: 1 |
| 08:51 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:29 | საჯარიმოები: 2/2 (2ქ, 42:31) |
| 07:30 | ჩაჭრა: 1 (გიბსონს ჩაუჭრა) |
| 07:27 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:27 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 07:27 | საჯარიმოები: 2/0 |
| 06:52 | ზაზა უილიამსმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 05:22 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 04:38 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 03:55 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 03:09 | ორქულიანი: 4ქ (73:58) |
| 01:19 | ფოლი: 2 |
| **IV პერიოდი** | |
| 10:07 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |
| 09:57 | ორქულიანი: 6ქ (81:72) |
| 08:52 | საჯარიმოები: 2/2 (8ქ, 85:77) |
| 08:42 | ზაზა სმითმა შეცვალა |
| 02:58 | ზაზამ ჯონსონი შეცვალა |
| 02:00 | პასი: 1 (ტიგი 3ქ, 110:85) |
| 00:42 | ფოლი: 3 |
| 00:15 | მოხსნა: შეტ-3, დაც-4 |
| 00:12 | შეცდომა: 1 |

ვაჟა სიმონიშვილი

აღიარება

# სანიკიძე ტურის სიმბოლურში



ვიქტორ სანიკიძე

გუშინ გაუწყეთ, რომ **ვიქტორ სანიკიძე** „ვირტუსი"-"ტერამოს" მატჩის საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს. დღეს კიდევ ერთ სასიხარულო ამბავს გამცნობთ - ვიქტორი იტალიის პირველობის მე-19 ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. ვიდრე ხუთეულის შემადგენლობას ჩამოგითვლიდეთ, შეგახსენებთ, რომ სანიკიძემ „ტერამოსთან" 18 წუთში 13 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა. საინტერესოა, რომ ვიქტორის თანაგუნდელმა **დევიდ მოსმა** 21 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა. ამის მიუხედავად, სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრილი ერთადერთი ბოლონიელი სანიკიძე იყო.

გამთამაშებელი: **მარკუს გრინი** (პესარო).

მსროლელი: **ტროი ბელი** (კრემონა).

მსუბუქი ფორვარდი: **დევიდ ჰოკინსი** (მონტეპასკი).

მძიმე ფორვარდი: **მარკინიო დე სოუზა** (მონტეგრანარო).

ცენტრი: **ვიქტორ სანიკიძე** (ვირტუსი).

გამოცემა „ბასკეტნეტის" ჟურნალისტი ხუთეულის ყველა კალათბურთელს მოკლედ ახასიათებს. ჩვენ მხოლოდ სანიკიძეზე დაწერილს გაგაცნობთ: *„ქართველმა ფორვარდმა „ტერამოსთან" გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. მას მწვრთნელი ყოველთვის გადამწყვეტი მომენტებისთვის ინახავს და სანიკიძეც ამართლებს. აღსანიშნავია, რომ მან 2-დან 2 სამქულიანი ჩააგდო. რადგან სანიკიძეს ფარქვეშ თამაში კარგად შეუძლია, სიმბოლურ ნაკრებშიც ცენტრად გავამწესეთ".*

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

# ანა ანასტასიასთან ვერას გახდა

20 წლის ანა ტატიშვილმა (172) წლეულს პირველად იასპარეზა WTA-ის ტურნირის ძირითად ბადეში. ეს მექსიკის ქალაქ მონტერეის ჰარდის საფარის კორტებზე მოხდა. 220-ათასიანი ტურნირის ბადეში მოსახვედრად ანამ სამი საკვალიფიკაციო წრე გაიარა, მაგრამ წილისყრამ არ გაუმართლა - მესამე ნომრად განთესილ 18 წლის რუს **ანასტასია პავლიუჩენკოვას (27-ე ჩოგანი)** შეხვდა. ანა ასეთი მაღალი რეიტინგის ჩოგბურთელს პირველად ეთამაშა და ორ სეტში 1:6, 2:6 წააგო. ტატიშვილმა ძალზე სუსტად ითამაშა საკუთარ მოწოდებებზე და ვერც მიღებებისას იყოჩაღა (განსაკუთრებით მარცხნიდან დარტყმა აქვს დასახვეწი). ანამ ამ ტურნირში 17 ქულა გამოიმუშავა და, შესაძლოა, ორშაბათს საქართველოს პირველი ჩოგნის სტატუსი დაიბრუნოს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ძიუდო




# ზამთრის მონაგარს გაზაფხულზე დავითვლით

ზამთრის სეზონმა სრულად წარმოაჩინა ქართულ ძიუდოში ბოლო წლებში შექმნილი ვითარება - დადებითიც და უარყოფითიც. ცოტა ძნელი დასათვლელია, რომელი სჭარბობს - ყველას შეფასების საკუთარი კრიტერიუმი გააჩნია, მაგრამ არა მგონია, საკამათო იყოს ის მოსაზრება, რომ პრობლემები დასაშვებზე მეტი, საგანგაშოდ ბევრია. თუმცა ჯერ დადებითზე ვთქვათ, ასეთი კი უდავოდ 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში საგრძნობლად გაზრდილი კონკურენციაა. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სპორტიდან მიმავალ მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცეჩემპიონს, ევროპის ორგზის ჩემპიონ **ნესტორ ხერგიანს** ღირსეული შემცვლელი გამოუჩნდა **დავით ასუმბანის** სახით. ასუმბანმა პარიზის ტურნირიც კი მოიგო, რაც, გავბედავთ და ვიტყვით - მოვლენაა წლევანდელ სეზონში. არ ვიცით, როგორ ჩაივლის ეს სეზონი და ღმერთმა ქნას, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებიც გვყავდნენ, მაგრამ, როგორც უნდა დამთავრდეს, ეს გამარჯვება უთუოდ დაიკავებს კუთვნილ ღირსეულ ადგილს. თავის დროზეც ვწერდით და გავიმეორებთ - რაღა ამ ტურნირის მოგება და რაღა მსოფლიოს ან ოლიმპიადისა, რადგან ასუმბანი პარიზის მომგები მხოლოდ მეხუთე ქართველია **შენგელი ფიცხელაურის, ამირან ტოტიკაშვილის, გიორგი რევაზიშვილისა** და **გიორგი გუგავას** შემდეგ. იმ ოთხეულიდან ბოლო წარმატება გუგავამ მოიპოვა შორეულ 1999 წელს, 11-წლიანი პაუზის შემდეგ მოპოვებული წარმატება კი ნადვილად აღსანიშნავი ამბავია.

თუმცა ამ ტურნირზე მოპოვებული წარმატება სამომავლო გამარჯვებების გარანტია არაა და ასუმბანზე იმედებს ოქროს მედლის გამო არ ვამყარებთ - წლეულს მან ხარისხიანი, ძლიერი ჭიდაობა გვაჩვენა და ოპტიმიზმის საბაბსაც სწორედ ეს გვაძლევს. მან კარგად იჭიდავა საქართველოს ჩემპიონატზეც, ხოლო თბილისის ტურნირი ულამაზესი გდებით მოიგო. ცხადია, კარგად იჭიდავა პარიზშიც, სადაც ყველა მეტოქე ანგარიშგასაწევი იყო, მაგრამ ორს მაინც გამოვარჩევთ - იაპონელი **მასააკი ფუკუოკა** კანოს ტურნირის ჩემპიონია, ხოლო ფინალში იოლად დამარცხებული უზბეკი **რიშოდ სობიროვი** — ოლიმპიური პრიზიორი. მართალია, მან ჩააგდო ბოლო შეჯიბრება - პრაღის ტურნირი, მაგრამ ეს უფრო ზედა წონაში ჭიდაობას უნდა მივაწეროთ - მწვრთნელებმა წონა არ დააკლებინეს და 66-ში აჭიდავეს. ცხადია, წინასწარ ვერავინ იტყვის, ასუმბანი წლეულსვე მოიპოვებს თუ არა ევროპა-მსოფლიოზე მედალს, მაგრამ სამომავლოდ კიდევ უფრო მოუმატებს და კონკურენციაც უფრო დახვეწს. სამომავლოდ მისი ნამდვილად უნდა გვეიმედებოდეს.

თუმცა ამ წონაში კონკურენციას მხოლოდ ასუმბანი არ განაპირობებს - წლეულს უფრო გაიხსნა და ახალ საფეხურზე ავიდა **ბეთქილ შუკვანი**, ლიდერობისთვის კვლავაც მედგრად იბრძვის **ამირან პაპინაშვილი**, ხოლო **პაატა მერებაშვილი** სულაც ახალი თაობის ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელია. ვფიქრობთ, შუკვანს ჯერ საკუთარი თავის რწმენა აკლია, რასაც უცხოეთში ხშირი სატურნირო პრაქტიკა გამოასწორებს. მერებაშვილმა შარშან ახალგაზრდებში ევროპის პირველობა 20-წლიანებშიც მოიგო და 23-იანებშიც, თუმცა მერე მთლად ვერ იყოჩაღა - რიგ ტურნირებში ცოტა გადაღლილი ჩანდა. შესაძლოა, მას ზედმეტიც მოუვიდა ტურნირები, რადგან სექტემბრიდან მოყოლებული, ყოველ თვეში უმაღლეს დონეზე იჭიდავა - სულ ჩემპიონატებში, რასაც იანვარ-თებერვალში საერთაშორისო ტურნირებიც დაემატა. თუმცა არის ხარვეზები წმინდა საჭიდაო ელემენტებში, რაც 20 წლის ბიჭისგან მოულოდნელი სულაც არაა. მთავარია, მათ გამოსწორებაზე იმუშაოს, პოტენციალი კი რომ ნამდვილად გააჩნია, აღნიშნული წარმატებების გარდა ისიც ადასტურებს, რომ 23-იანთა ევროპაზე უფროსებში მსოფლიოს პრიზიორი, იტალიელი **ელიო ვერდეც** დაამარცხა. არადა, ვერდემ ის მედალი მსოფლიოზე ხერგიანთან ჭიდილში მოიპოვა.

კიდევ ერთი წონითი კატეგორია, სადაც წლეულს უჩვეულოდ გაიზარდა კონკურენცია, 100 კილოგრამია, თუმცა ეს დიდწილად 90-დან გადმოსულთა ხარჯზე მოხდა. იქიდან კი ამ წონამ ისეთი შევსება მიიღო, ავ თვალს არ ენახვება - ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური** და ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე**. ამ წყვილს **დავით ლორიაშვილიც** უნდა დავუმატოთ, რომელმაც ჯერ უცხოეთში ვერ გვაჩვენა ის, რასაც მისგან ველოდით, მაგრამ წლეულს დამაჯერებლად მოიგო საქართველოს ჩემპიონატი. იქ ცირეკიძეს არ უჭიდავია, დანარჩენებს კი ლორიაშვილი ერთი თავით აღემატებოდა.

სამწუხაროდ, ვერც ლორიაშვილმა და ვერც ზვიადაურმა საზღვარგარეთ იმედები ბოლომდე ვერ გაგვიმართლეს. ამაში მათ ხელი ტრავმებმა შეუშალა - ზვიადაურმა ეს ძნელი პერიოდი მოიტოვა და ისევ უბრუნდება აქტიურ სპორტს, ლორიაშვილს კი ახლა დაატყდა თავს ეს რთული დრო.

» მე-11 გვერდზე

ძიუდო

# ზამთრის მონაგარს გაზაფხულზე დაითვლით

« მე-10 გვერდიდან

ჯერჯერობით საკმაოდ ვაჟკაცურად გაუძლო - საქართველოს ჩემპიონატი ოპერაციიდან რამდენიმე დღეში მოიგო. თან იქ გამოსვლას არც სთხოვდა ვინმე - კიდეც გაათავისუფლეს ტურნირიდან, მაგრამ თვითონ მოისურვა ჭიდაობა. იმედია, მსოფლიოს პირველობისთვის მოსამზადებელ პერიოდს, რაც ევროპის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე დაიწყება, ის ჯანმრთელად შეხვდება და ჭიდაობის ხარისხსაც გამოასწორებს. მისთვის ისიც დიდი სტიმული იქნება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე წონაში უკვე ორი კაცის გაყვანა შეგვეძლება. მკვეთრად მომატება მართებს ზვიადაურსაც, განსაკუთრებით - ფიზიკურად, თორემ, რაც წლეულს ვნახეთ, ამით ძალიან გაუჭირდება, შანსებზე საერთოდ თუ ვილაპარაკებთ.

მიზეზთა გამო, ნაკრების თავკაცმა ამირან ტოტიკაშვილმა წლეულს ოპტიმალური შემადგენლობა ვერ შეკრიბა. მათ შორის, ვერც ამ წონაში, სადაც ცირეკიძე ბოლომდე ვერ დატვირთა და ვერ გამოცადა. წლეულს მან მხოლოდ პარიზში იჭიდავა და ბრინჯაოს მოიპოვა. მართალია, ის შორს იყო სასურველი ფორმისგან და ძირითადად ტაქტიკურად იგებდა, მაგრამ ის კი თვალნათლივ დაამტკიცა, რომ წარმატებით ჭიდაობა ახალ წონაშიც შეუძლია. მიმაჩნია, რომ ჰოლანდიიდან ბელგიაში გადაბარგებულ ევროპის ჩემპიონ **ელკო ფან დერ ხესტთან** ახალი წესების გამო უფრო გამოუცდელობით წააგო. საუკეთესო ფორმაში მყოფი ცირეკიძე მას ათი შეხვედრიდან ყველას თუ არა, უმეტესობას მოუგებს. ამ ეტაპზე მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონის მთავარი პრობლემა უვარჯიშებლობაა - ჯერ მსოფლიოს მერე გაუცდა ძალიან დიდი დრო, მერე სულაც სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა, ამასობაში კი სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობდა. უკეთ, მშვიდად და ნაყოფიერად მოსამზადებლად ოლიმპიური კომიტეტი მას თბილისში უპირებს სავარჯიშოდ გადმოყვანას. კარგი იქნება, სპორტსმენი ამ წინადადებას თუ მიიღებს - აქ ბევრად უკეთესად მოემზადება, ოღონდ არა იმიტომ, რომ იქ მწვრთნელები ვერ ამზადებენ! აქ უფრო წყნარად მოემზადება, ანუ მისთვის აქაური ატმოსფეროა საშური, იმდენი ნაცნობი და შემწუხებელი არ ეყოლება - ყურადღების ცენტრში ყოფნა ცნობილ ადამიანთა ხვედრია და გამონაკლისი არც ცირეკიძეა.

ამ ეტაპისთვის წონის ლიდერად **ლომერ ჟორჟოლიანი** იქცა, რომელმაც საქართველოს პირველობაზე კანოს ტურნირსა და მასტერსზე ბრინჯაო მოიპოვა. რასაც საქართველოს პირველობაზე ვუყურე (სხვა ტურნირები არ მინახავს), ადრე ერთ-ერთ კოზირად ქცეული ფიზმომზადება მისთვისაც ცოტა პრობლემად ქცეულა. იმედია, მას მერე ეს კომპონენტი დახვეწა. ამ წლებში მას დიდი გამოცდილებაც დაუგროვდა და იმედია, პირველხარისხოვან ტურნირებზე „მარად მეხუთეს“ სინდრომს გადალახავს. გავბედავთ და ვიტყვით, რომ მისთვის ტატამზე ცოტა მეტი სითამამე ისევ პრობლემაა, ეს ნაკლი კი ისევ თვითონ უნდა გამოასწოროს. მთლიანობაში, ის კვლავაც ანგარიშგასაწევია ამ წონაში - მსოფლიოს მასშტაბით. ამ წონაზე მსჯელობისას **ნოდარ მეტრეველიც** უნდა ვახსენოთ, რომელიც ჯერ ისევ უქმად ფლანგავს თავის ნიჭსა და ფიზიკურ შესაძლებლობებს. მართალია, წონაში კონკურენციას ქმნის, მაგრამ ბევრად მეტი შეუძლია.

წლევანდელი სეზონის მესამე გამონათება 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში მდგომარეობის გამოსწორებაა. ბოლო ათწლეულში მუდმივ „აქილევსის ქუსლად“ ქცეულ ამ წონაში იმედად ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **ლევან წიკლაური** მოგვევლინა - მისი პროგრესი თვალსაჩინო საქართველოს ჩემპიონატიდან თბილისის ტურნირამდეც კი იყო, დროის მცირე მონაკვეთში. წლეულს წიკლაური ბევრად უფრო გახსნილი, თამამი და შემტევია. ის ახლა უფრო გაბედულად იღებს შეხვედრის სადავეებს ხელში - ადრე თუ ძირითადად მეტოქის შეცდომებზე იყო ჩასაფრებული, ახლა უფრო შემტევია და მოწინააღმდეგეს საკუთარ სტილს ახვევს თავზე. ამის მიუხედავად, ვფიქრობთ, მას წლეულს ევროპაზე გაუჭირდება თუნდაც შარშანდელი შედეგის გამეორება, მაგრამ ფაქტია - ამ წონაში ძლიერ მოჭიდავედ გამოიკვეთა. ის ყოფილი სამბისტია და ჩოქბჯენში ჭიდაობაში იქაური გამოცდილება ფრიად არ არის (არადა, ეს კომპონენტი ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი „აქილევსის ქუსლია), თუმცა სამბოს გავლენა სხვა მხრივაც საგრძნობია. ამასთან, მან ფიზიკურადაც მკვეთრად უნდა მოუმატოს.

წიკლაურის დაწინაურება კარგია, მაგრამ ცუდია, რომ კონკურენტები ფეხდაფეხ ვერ მიჰყვნენ და ყველა ერთბაშად, როგორლაც სწრაფად ჩამოიტოვა. ეს ძლიერი კონკურენციის ნიშანი არაა და სასურველია, ვითარება შეიცვალოს.

პრაღის ტურნირამდე არა, მაგრამ ამ შეჯიბრების შემდეგ ნათელ წერტილად უნდა მივიჩნიოთ **ვალერი ლიპარტელიანის** გამარჯვებაც ჩეხეთში. თუმცა აქ ოქროს მედალზე უფრო მნიშვნელოვანი მის ჭიდაობაში დანახული პროგრესია. ყველა ის ტურნირი, რომელიც ჩააგდო და ასე ანერვიულა ქომაგი, წააგო ან ფიზიკური მოუმზადებლობის, ან სიჩქარის გამო. იგი, როგორც ტექნიკურ ფალავანთა უმეტესობა, შემტევი სტილისაა და თავიდან ბოლომდე უტევს, თან წმინდა მოგების განსაკუთრებული ჟინით გამოირჩევა - ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ქულებით მოგებას გამარჯვებად არ მიიჩნევს. მისი სტილი ცოტა ავანტიურისტულია, ავანტიურა კი უმეტესად განწირულია და ასე ემართებოდა მასაც - რამდენჯერმე საკუთარ ილეთზე წამოეგო, რამდენჯერმე იმდენად დიდი უპირატესობით დაწინაურებულმა წააგო, როცა ანგარიშის შენარჩუნების მეტი არაფერი ევალებოდა. ჯერ კიდევ დიუსელდორფიდან მის ჭიდაობაში პროგრესი გამოჩნდა, რაც პრაღაში დაგვირგვინდა - თითქოს გამძლეობაც მოემატა, სუნთქვაც გამოუკეთდა და, რაც მთავარია, ძველებურად აღარ ჩქარობდა, დაკვირვებით ჭიდაობდა... იმედია, პროგრესი კიდევ უფრო გაგრძელდება. ცოტა ახალ წესებთან ადაპტაციაც სჭირდება - ფეხში შესვლებზე დამოკიდებული არასოდეს ყოფილა, მაგრამ სტილის გამრავალფეროვნება მაინც მოუწევს. ის ძირითადად ამოსმულებს ეყრდნობა და ამას კარგადაც აკეთებს, მაგრამ მრავალფეროვნება არ აწყენდა. ადრე მას ზედმეტი თავდაჯერებაც ეტყობოდა - თითქოს იოლად მოგებაში იყო დარწმუნებული. ეს თვითონაც აღიარა და იმედია, ის წაგებები კარგ გაკვეთილადაც გამოადგება.

სამწუხაროდ, ამ წონაში ჯერჯერობით მთლად ისეთი კონკურენცია ვერ შეიქმნა, რასაც ველოდით. ამაში **მინდია ბოდაველს** ტრავმამ შეუშალა ხელი, თორემ თბილისის ტურნირი ისეთი შესანიშნავი გდებით მოიგო, მსგავს ილეთს წლიდან წლამდე ვერ ვიხილავთ ტურნირებზე. აი, **საბა გავაშელიშვილმა** კი, ვფიქრობთ, ის განწყობა ვერ შეინარჩუნა, რომლითაც საქართველოს ჩემპიონი გახდა. მართალია, პარიზში არც წილისყრამ გაუმართლა - წონაში გამორჩეულად ძლიერ **ტაკაში ონოს** შეხვდა, მაგრამ მთლიანობაში რაც საქართველოს ჩემპიონატზე აჩვენა, იმ ფონზე საერთაშორისო ტურნირებში ბევრად მეტს ველოდით. იმედია, ისიც სათანადო დასკვნებს გამოიტანს, ფაქტი კი ისაა, რომ ამ წონაში ლიდერები ერთმანეთს მოდუნების უფლებას არ მისცემენ, რაც ძალზე კარგია.

სამწუხაროდ, დარჩენილ წონებზე ასე ოპტიმიზმით ვერ ვილაპარაკებთ. მძიმეში **ზვიად ხანჯალიაშვილი** და **ლაშა გუჯეჯიანი** ლიდერებად კი გამოიკვეთნენ და ჯერჯერობით ერთ დონეზე არიან (თუმცა ხანჯალიაშვილმა დიუსელდორფში ბრინჯაოც მოიპოვა), მაგრამ ჭიდაობის ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი. აქ ისიც ვთქვათ, რომ ტრავმების შემდეგ გუჯეჯიანი თანდათან შედის ფორმაში. რაც შეეხება 66 და 73 კილოგრამ წონით კატეგორიებს, აქ ძალზე ცუდი სურათია... აქ ყველაზე რეალური კანდიდატი ისევ **ზაზა კედელაშვილი** ჩანს (რომელ წონაშიც უნდა იჭიდაოს მან), თბილისში ახალ წონაში - 73-ში მესამეზეც გავიდა, თუმცა წლეულს მასაც ბევრი გაუცდა. თან ახალ წონაში დამკვიდრებას გარკვეული პერიოდი სჭირდება. ახლებიდან აქ ორს თუ გამოვარჩევთ და ისიც პირობითად - ცალკეულ შემთხვევებში **შალვა ქარდავამ** (66) და **თენგიზ პაპოშვილმა** (73) მეტ-ნაკლებად საიმედოდ იჭიდავეს, მაგრამ ბევრად მეტია საჭირო. საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვების და იქ ნანახი ჭიდაობის შემდეგ უცხოეთში ბევრად მეტს ველოდი **მინდია ხომიზურისგანაც** (66). 73-ში საქართველოს ჩემპიონატის კვარცხლბეკი მთლიანად ახალგაზრდებმა დაიკავეს, მაგრამ მერე თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

ამ ტურნირებმა მთელი ნაკრების და, ზოგადად, ჩვენი ძიუდოსთვის დამახასიათებელი პრობლემაც წამოატივტივა - ცუდი ფიზმომზადება, რაც მთელ ნაკრებს აწუხებს. ტოტიკაშვილი ამას უმთავრეს პრობლემად მიიჩნევს და საგანგებო ვარჯიშებიც შემოიღო, საამისოდ ერთი შეკრება უკვე გაიარა და მეორესაც მალე დაიწყებს, მაგრამ ამ პრობლემას თვითონ სპორტსმენებმა და პირადმა მწვრთნელებმაც უნდა მიხედონ. არადა, პრობლემა იმდენად თვალსაჩინოა, ევროპაზე სერიოზულ წარმატებაზე ფიქრს ლამის გვიკრძალავს, არათუ უბრალოდ გვიშლის... ნაკრებში ამ მხრივ მეტ-ნაკლებად დამაიმედებელი მდგომარეობა ერთი-ორ სპორტსმენთან თუა... ასევე პირადი მწვრთნელების უპირველესი საზრუნავი გვგონია კონკრეტული სტრატეგიული მეტოქეების სტილის დამუშავება, თორემ ვერაფრით გავამართლებთ, ზოგიერთი ლიდერი ერთსა და იმავე მოწინააღმდეგესთან რომ აგებს.

ევროპის პირველობამდე დრო არც ისე ბევრია, მაგრამ არც იმდენად ცოტა, ვერაფერი შევცვალოთ. დარჩენილ თვე-ნახევარში ნაკრებს წინ ძალიან ბევრი სამუშაო ელის.

**ირაკლი თავაძე**



ჭადრაკი

# ბაადურ ჯობავა ისევ მედლისთვის ვიბრძოლებ



ბაადურ ჯობავა

ხორვატული რიეკა 5 მარტიდან მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ინდივიდუალურ ევროპის ჩემპიონატებს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში სხვა უძლიერეს დიდოსტატებთან ერთად საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს **ბაადურ ჯობავა** (რეიტინგი 2695), რომელმაც შარშან მსგავს შეჯიბრებაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

- ჩერნოგორიაში მძაფრი ორთაბრძოლები გადავიტანე, - მითხრა ბაადურმა, - ბოლო მეთერთმეტე ტურის წინ ლიდერთა დიდი ჯგუფი ნახევარი ქულით მისწრებდა. საბედნიეროდ, მათი შეხვედრები ყაიმით დამთავრდა, მე კი თეთრებით კირილ გეორგიევს მოვუგე და 8 ქულით პირველი-მეთერთმეტე ადგილები გავიყავი. მედლების მფლობელთა გამოსავლენად ტაიბრეიკები დაინიშნა. პირველ მატჩში მოსკოველ მიხეილ ქობალიას ვძლიე დაძაბულ პაექრობაში. ჩვენ შორის გამარჯვებული მხოლოდ არმაგედონმა გამოავლინა. მერე ივან სოკოლოვი 2:0 დავამარცხე, ნახევარფინალში ევგენი ტომაშევსკისთან მხოლოდ ბლიცები დავთმე 0,5:1,5. ჩემმა მეტოქემ ფინალში ვლადიმირ მალახოვიც დაჯაბნა და ჩემპიონი გახდა. მე კი ბრინჯაოსთვის პაექრობაში ერნესტო ინარკიევს ვაჯობე.

შარშან მაისში ბაადურ ჯობავამ შესანიშნავად ითამაშა თბილისის მერიის თასზე, სადაც ცხრა შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა და წაუგებლად დაიკავა პირველი ადგილი. შემოდგომით საქართველოს ნაკრებთან ერთად ნოვი სადს მიაშურა. ევროპის გუნდურ ჩემპიონატში ჩვენებმა შესანიშნავი სტარტი აიღეს - ზედიზედ ოთხი მეტოქე დაამარცხეს.

- მეხუთე ტურში აზერბაიჯანელებთან წავაგეთ. არადა, ის შეხვედრა ფრედ მაინც უნდა დამთავრებულიყო. მძიმე დარტყმა აღმოჩნდა ჩვენთვის - მომდევნო ტურებში წელში ვერ გავიმართეთ. ნორვეგიელებთან ბოლო მატჩის მოგება და ათეულში შესვლა შეიძლებოდა, მაგრამ უმოტივაციოდ ვიყავით - ჩინებული სტარტის შემდეგ ხომ საპრიზო სამეულზე ვფიქრობდით. მიუღწეველი არაფერი იყო. არა უშავს, წლეულს ვეცდებით მდგომარეობის გამოსწორებას.

**- მსოფლიოს თასის შედეგებით კმაყოფილი ხართ?**

- ყოველ შემთხვევაში, ცუდად არ მითამაშია. პირველ ტურში ვუნდერკინდად შერაცხულ ამერიკელ რეი რობსონს შევხვდი. პატარა ბიჭია, გამოუცდელი, თუმცა ერთობ ნიჭიერი, ამიტომაც მიიწვია ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა ხანტი-მანსიისკში. პირველ პარტიაში იოლად ვძლიე, მეორეშიც ვუგებდი, მაგრამ ქულა არაფერს მმატებდა და დავუზავდი.

მეორე რაუნდში მეტოქედ სერგეი ტივიაკოვს ველოდი, მაგრამ მან მოულოდნელად ახალგაზრდა ვენესუელელ დიდოსტატთან - ედუარდო იტურისაგანსთან წააგო. დიდი წინააღმდეგობა არც მეორე ოკეანისგალმელისგან შემხვედრია - 1,5:0,5 ვძლიე. მესამე რაუნდის გადალახვა ვერც ამჯერად მოვახერხე - ალექსანდრ გრიშჩუკმა მაჯობა: ორი ძირითადი პარტია ყაიმით დავამთავრეთ. ტაიბრეიკების პირველი შეხვედრა უპირობოდ უნდა მომეგო, რადგან ბევრად უკეთესი პოზიცია და დროც მეტი მქონდა, მაგრამ მეტოქეს პარტიის გადარჩენის შანსი მივეცი, რის გამოც დავისაჯე კიდეც - ბლიცებში დავმარცხდი. ყოველივეს მიუხედავად, საგრძნობლად მოვიმატე რეიტინგი და 27000-იანთა კლუბში შევედი. სამწუხაროდ, იტალიაში რეჯო ემილიის საახალწლო ტრადიციულ ტურნირში მხოლოდ მეხუთე ადგილი დავიკავე და რეიტინგში 9 პუნქტი დამაკლდა. ვეცდები, დანაკარგი ევროპის ჩემპიონატზე ავინაზღაურო. ამ შეჯიბრებისთვის ფიზიკურად და თეორიულადაც კარგად მოვემზადე. უპირველესად, 24 საუკეთესოში უნდა მოვხვდე, რომ გაისად კვლავ ვიასპარეზო მსოფლიოს თასზე. ვფიქრობ, ეს არ უნდა გამიჭირდეს. მართალია, ხორვატეთში ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რათა შარშანდელზე უარესი შედეგი არ ვაჩვენო. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას, პირადად მის პრეზიდენტს ბატონ გია გიორგაძეს, რომელმაც ყოველმხრივ შემიწყო ხელი ამ შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად. ჩემპიონატზეც ფედერაციის დაფინანსებით მივემგზავრები.

**- ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფიდეს პრეზიდენტის პოსტზე კირსან ილუმჟინოვს მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი გაუწევს კონკურენციას. როგორ ფიქრობთ, ვის უფრო მეტი შანსი აქვს?**

- ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ილუმჟინოვმა ბევრი რამ გააკეთა საჭადრაკო სამყაროსთვის, ამიტომ მიმაჩნია, რომ მას მეტი მომხრე ეყოლება. ვნახოთ, ყველაფერს კენჭისყრა გადაწყვეტს.

**ვაჟა დანელია**

# მარტის რეიტინგები

ფიდე ყოველ ორ თვეში ერთხელ რეიტინგების მიხედვით საუკეთესო მოჭადრაკეთა ასეულებს ავლენს. ამჯერად მარტისთვის რჩეულ დიდოსტატთა ვინაობა გვამცნეს. ვაჟთა პირველი ათეული ასეთია:

**მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია, 2813), **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი, 2805), **ვლადიმირ კრამნიკი** (რუსეთი, 2790), **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი, 2787), **ლევონ არონიანი** (სომხეთი, 2782), **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი, 2760), **ალექსანდრ გრიშჩუკი** (რუსეთი, 2756), **პიოტრ სვიდლერი** (რუსეთი, 2750), **ბორის გელფანდი** (ისრაელი, 2750), **იუე ვენი** (ჩინეთი, 2749). პირველ ასეულში 2695 პუნქტით **ბაადურ ჯობავას** მე-40 ადგილი უკავია.

ქალთა პირველ ასეულს უნგრელი **იუდით პოლგარი** (2682) უდგას სათავეში. საუკეთესო ათეულის მომდევნო ადგილებზე მოდიან:

**ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2622), **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2570), **ანტუანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2555), **ნადეჟდა კოსინცევა** (რუსეთი, 2554), **ანა მუზიჩუკი** (სლოვენია, 2533), **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი, 2524), **ალექსანდრა კოსტენიუკი** (რუსეთი, 2524), **პია კრამლინგი** (შვედეთი, 2523), **კატერინა ლახნო** (უკრაინა, 2518). 2514 პუნქტით მეთერთმეტე ადგილზეა ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე**. პირველ ასეულში კიდევ ათი ჩვენებურია: 14. **ლელა ჯავახიშვილი** (2500), 24. **ნანა ძაგნიძე** (2479), 30. **სალომე მელია** (2467), 45. **ბელა ხოტენაშვილი** (2448), 56. **ნინო ხურციძე** (2434), 62. **სოფიკო ხუხაშვილი** (2421), 66. **ანა მათნაძე** (2406), 69. **თამარ წერეთელი** (2402), 81. **მაია ლომინეიშვილი** (2385), 100. **ნონა გაფრინდაშვილი** (2360).

20-წლამდელ ვაჟთა პირველ ოცეულში ქართველ მოჭადრაკეთაგან არავინაა, ხოლო გოგონათა ოცეულში, შესაბამისად, მე-16 და მე-17 ადგილები **ქეთი წაწალაშვილსა** (2326) და **ნაზი პაიკიძეს** (2322) უკავიათ.

**ვაჟა დანელია**

ლეგიონერები

# აჟენი ისევ წინ გაიჭრა

## ათიდან ექვსმა მოიგო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე და ფედერალ დივიზიონებში მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა. მეორე დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე რვა ტურით ადრე წინ ისევ **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენი“ გაიჭრა. ფედერალ 1 დივიზიონში კი ელიტაში აღზევების მსურველებთან ერთად დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლებიც ჩაებნენ ასპარეზობაში.

ელიტურ, მეორე დივიზიონში 22-ე ტურის ცენტრალურ შეხვედრაში ანტონ ფეიქრიშვილის „აჟენმა“ შინ დაამარცხა უშუალო კონკურენტი, **გიორგი ჟღენტის** „ოიონაქსი“ - 23:11. შედეგად, აჟენელებმა მეტოქეს სატურნირო ცხრილში 6 ქულით გაუსწრეს და ძნელად სავარაუდოა, ეს უპირატესობა რეგულარული გათამაშების დასრულებამდე გაანიავონ. შეგახსენებთ, რომ პირველ ადგილზე გასული პირველი დივიზიონის საგზურს ავტომატურად მიიღებს.

ამ შეხვედრაში ორივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო. ჟღენტმა სრულად ითამაშა, ფეიქრიშვილი 71-ე წუთზე შეცვალეს.

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

**XXII ტური: ბორდო - მონ დე მარსანი 24:21, გრენობლი - ნარბონი 27:14, დაქსი - ორიაკი 22:13, პო - ტარბი 16:15, ლა როშელი - კოლომიე 11:6, ოში - ლიონი 18:25, აჟენი - ოიონაქსი 23:11, ლანამეზანი - ექსი 32:28**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. აჟენი - 76 ქულა, 2. ოიონაქსი - 70, 3. ლა როშელი, 4. ლიონი - 61, 5. გრენობლი - 59, 6. პო - 57, 7. ნარბონი - 56, 8. ბორდო - 54, 9. ორიაკი - 54, 10. დაქსი - 49, 11. ტარბი - 46, 12. ოში - 43, 13. მონ დე მარსანი - 43, 14. კოლომიე - 36, 15. ექსი - 26, 16. ლანამეზანი - 14.**

ფედერალ 1-ის გათამაშების მეორე ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში ქართველ მორაგბეთა ათი გუნდიდან ექვსმა მოიგო.

A ჯგუფში **შოთა მელიქიძის** „ობენამ“ შინ წააგო „ლიმოჟთან“ -10:31. მელიქიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 56-ე წუთზე შეცვალეს. ამავე ჯგუფში „ბურგ ან ბრესმა“ სტუმრად დაამარცხა „შატორენარი - 6:5. სავარაუდოდ, პლეი ოფში გასასვლელად სწორედ „ლიმოჟი“ და „ბურგ ან ბრესი“ იბრძოლებენ.

B ჯგუფში თანაბარი ძალის გუნდებმა მოიყარეს თავი. აქ ორივე შეხვედრა სტუმრებმა ერთნაირი, მინიმალური სხვაობით მოიგეს. **დავით კაჭარავას** „ნიცამ“ მოუგო „კასტანეს“ - 27:26. ნიცელები მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდნენ და მეტოქეს წამოწევის საშუალება თამაშის მიწურულისკენ მისცეს. კაჭარავა საქართველოს ნაკრებში იყო გამოძახებული.

მეორე წყვილში „შალონმა“ დაამარცხა „კაორი“ 19:18.

C ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი ასპარეზობს და მეორე ჯგუფური ეტაპი ორივემ გამარჯვებით დაიწყო. **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიემ“ სტუმრად დაამარცხა „გროლე“ - 24:20. მალაღურაძემ საქართველოს ნაკრებში ითამაშა.

ასევე სტუმრად მოიგო „ლავორთან“ **გია ლაბაძის** „მარსელმა“ - 28:23 და სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა. ნაკრებში გამოძახებულ ლაბაძის დარად არც **ჯონა ლომუს** უთამაშია.

D ჯგუფში წარმატებული სტარტი აილო **გიორგი მჭედლიშვილის** „ვალანსამაც“, რომელმაც სტუმრად დაამარცხა „ლანჟონი“ - 21:18. თამაშის დასრულებას წამები აკლდა, ანგარიში 18:18 იყო, ვალანსელთა მგეზავმა **მატიე მეარმა** ორმოციოდე მეტრიდან არეკნი დაჰკრა და გუნდს გამარჯვება მოუტანა - 21:18. აღსანიშნავია, რომ მეარს მანამდე ექვსი საჯარიმო ჰქონდა გატანილი (18 ქულა). მჭედლიშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 68-ე წუთიდან ჩაერთო.

ამავე ჯგუფში „კარკასონმა“ სტუმრად მოუგო „ბობინის“ - 29:18.

E ჯგუფში სტუმრად უჩვეულო ანგარიშით - 3:0 მოუგო „ვანს“ **თედო ზიბზიბაძის, დავით დადუნაშვილის, ირაკლი ნინიძისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** „პერიგომ“. ზიბზიბაძემ და დადუნაშვილმა ეროვნულ ნაკრებში ითამაშეს, მარგველაშვილი და ნინიძე განაცხადში არ იყვნენ.

ამავე ჯგუფში **ელიზბარ ყუფარაძის** „მონლუსონმა“ შინ ფრედ ითამაშა „მარმანდთან“ - 17:17. ჩვენებური თამაშში 71-ე წუთიდან ჩაერთო.

F ჯგუფში ერთბაშად სამი „ქართული გუნდი“ ასპარეზობს. პირველ ტურში **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, დავით აშვეთიას, გიორგი ნემსაძისა** და **არჩილ კობაურის** „მასი“ შინ დამარცხდა **თენგიზ გელანტიას** „სენ ნაზერთან“ - 15:16. სუთიაშვილმა, რომელმაც სრულად ითამაშა, 63-ე წუთზე ლელო გაიტანა. აშვეთია მე-40 წუთზე ესაკიამ შეცვალა, ნემსაძე საქართველოს ნაკრებში იყო გამოძახებული, კობაური განაცხადში არ იყო. გელანტიამ სრულად ითამაშა.

შინ დამარცხდა „ტიროსთან“ **ირაკლი მაჩხანელის, ბესო უდესიანისა** და **შოთა საყვარელიძის** „სენტ ეტიენი“ - 19:23. მაჩხანელმა და უდესიანმა საქართველოს ნაკრებში ითამაშეს, საყვარელიძე განაცხადში არ იყო.

დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი იბრძვის. შეგახსენებთ, რომ აქ გუნდებს პირველ ეტაპზე დაგროვებული ქულები გადაჰყვებათ.

A ჯგუფში **სოსო ნიკოლაენკოსა** და **დავით ბოლღაშვილის** „ლილი“ სტუმრად დამარცხდა „მონტოსთან“ - 9:14. ამავე ჯგუფში ასპარეზობს **დავით კოპალიანის** „ორლეანიც“, რომელმაც სტუმრად მოუგო „მონმელიანს“ - 21:16.

**სატურნირო მდგომარეობა: ორლეანი - 35 ქულა, ლილი - 29, მონტო - 24, მონმელიანი - 13.**

C ჯგუფში ურთულეს მდგომარეობაში იმყოფება **ირაკლი გიორგაძისა** და **ვახტანგ მაისურაძის** „შამბერი“, რომელმაც სტუმრად წააგო უშუალო კონკურენტ „მორლაასთან“ - 17:19. ამავე ჯუფის ლიდერმა „რომანმა“ სტუმრად დაამარცხა აუტსაიდერი „ჟირუ“ - 33:20.

**სატურნირო მდგომარეობა: რომანი - 37 ქულა, მორლაა - 28, შამბერი - 22, ჟირუ - 12.**

მე-16 ტურის შეხვედრები გაიმართა ფედერალ 2-ის გათამაშებაში. B ჯგუფში **ზურაბ მჭედლიშვილის** „დომონმა“ შინ მოუგო „ბოვეს“ - 14:3 და ახლა 38 ქულით მე-3 ადგილზეა. ამავე ჯგუფში **ირაკლი აბუსერიძისა** და **სანდრო ქელიძის** „ოსერმა“ სტუმრად წააგო კომპიენთან - 8:29. ჩვენებურთა გუნდი 18 ქულით ბოლო, მეთორმეტე ადგილზეა.

E ჯგუფში **რეზო გიგაურის** „სენაკმა“ სტუმრად დაამარცხა „გუერე“ - 33:21. სენაკელებმა ამ გამარჯვებით მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა და ახლა 38 ქულით მე-6 ადგილზე არიან.

F ჯგუფში ისევ ინარჩუნებს ლიდერობას **მერაბ კვირიკაშვილისა** და **მალხაზ ურჯუკაშვილის** „ფიჟაკი“. ჩვენებურთა გუნდმა მე-16 ტურში სტუმრად მოუგო „სენ სულპისეს“ - 9:3 და ახლა მეორეადგილოსან „როდეზს“ ოთხი ქულით უსწრებს.



შალვა სუთიაშვილი

„ოში“ დაამარცხა სტუმრად პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლმა **გურამ კავთიძის** „ლიონმა“ - 25:18 და ახლა 61 ქულით მეოთხე ადგილზეა. კავთიძე განაცხადში იყო, თუმცა არ უთამაშია.

სტუმრად „პოსთან“ მინიმალური სხვაობით დამარცხდა **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბი“ - 15:16. ტარბელებმა, რომლებიც სატურნირო ცხრილის შუაში არიან და გავარდნის საფრთხე არ ემუქრებათ, პირველი ტაიმი 15:10 მოიგეს. მეორეში კი მონაგარს ვერაფერი შემატეს და დასანანი მარცხი იწვნიეს. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს.

**გიორგი კუთარაშვილის** „დაქსმა“ შინ დაამარცხა სატურნირო ცხრილის მეზობელი, **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკი“ - 22:13. კუთარაშვილი თამაშში 68-ე წუთიდან ჩაერთო. დათუნაშვილმა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ითამაშა.

ამბები



ენდი პაუელი ადვოკატებთან ერთად

### ენდი პაუელი სასამართლოზე

უელსის ნაკრების მესამეხაზელი **ენდი პაუელი** სასამართლოს წინაშე წარდგა. ის ექვსი ერის გათამაშების მეორე ტურის მატჩის შემდეგ, რომელშიც უელსმა კარდიფში შოტლანდიის ნაკრებს სძლია, ნასვამ მდგომარეობაში პოლიციამ დააკავა. ენდი ავტოსტრადაზე გოლფის ელექტრომანქანით დაჯირითობდა.

სასამართლომ უელსის ნაკრების ლიდერს 15 თვით ჩამოართვა მანქანის მართვის უფლება და თან, 1 210 ევროთი დააჯარიმა. როგორც პაუელის ადვოკატმა **კონრად გედმა** თქვა, *„ენდი სინანულს გამოთქვამს თავისი სულელური საქციელის გამო“*.

შეგახსენებთ, რომ ენდი პაუელი მოკვეთილია ეროვნული ნაკრებიდან მინიმუმ ექვსი ერის დასრულებამდე. მის შესახებ უელსის რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტი მოგვიანებით იმსჯელებს.

### სტად ფრანსე არგენტინელებს სწყალობს

ფრანგული რაგბის ერთ-ერთი გრანდი, პარიზული „სტად ფრანსე“ არგენტინელი მორაგბეებით ივსება. ახლახან კლუბის ხელმძღვანელებმა გაავრცელეს კომუნიკე, რომელიც იუწყება, რომ გუნდში არგენტინის ნაკრების დამრტყმელს **მარტინ როდრიგესს** იწვევენ.



მარტინ როდრიგესი

24 წლის როდრიგესს ეროვნულ ნაკრებში დებიუტი შარშან, ნოემბრის ტესტებისას ჰქონდა. არგენტინელებმა მაშინ სამ მატჩში 34 ქულა მოინაგრეს და ყველა როდრიგესის ანგარიშზე მოდიოდა (ერთი ლელო, გარდასახვა, რვა საჯარიმო და ერთი არეკნი.

როდრიგესმა ნოემბერში ტრავმირებული **ფილიპე კონტეპომის** ნაცვლად ითამაშა მგეზავის პოზიციაზე, თუმცა ამპლუით შუამარბია. ის აქამდე ბუენოს-აირესის „ატლეტიკოს“ ღირსებას იცავდა.

შეგახსენებთ, რომ „სტად ფრანსეში“ მის გარდა კიდევ ოთხი არგენტინელი ირიცხება: **პედრო ლედესმა, ხუან მანუელ ლეგისამონი, იგნასიო მერესი** და **როდრიგო რონკერო.**

### ინგლისელები დაიბოღმნენ და იმუქრებიან

ინგლისის ნაკრების მესამეხაზელ **ჯეიმზ ჰესკელს** იმედი აქვს, რომ ინგლისის ნაკრებისთვის ექვსი ერის გათამაშებაში არაფერია დაკარგული.



ჯონი ვილკინსონი

*„ძალიან განვიცდით „თვიქნემზე“ ირლანდიასთან მარცხს, არადა, წასაგები არაფერი გვჭირდა. თუმცა ვფიქრობთ, რომ ჩვენ კიდევ შეგვიძლია, ჩემპიონობისთვის ბრძოლა. ახლა მთავარია, შოკიდან გამოვიდეთ და შოტლანდიასთან მორიგი მატჩისთვის ვემზადოთ. მერე 20 მარტიც შორს აღარაა - შეგვიძლია საფრანგეთში გავარკვიოთ წლევანდელი ჩემპიონის ვინაობა“.*

იმავეს ფიქრობს **ჯონი ვილკინსონიც**, რომელმაც ირლანდიასთან 11 ქულა მოიპოვა და საკუთარი მსოფლიო რეკორდი 1096 ქულამდე გაზარდა.

*„ირლანდიასთან მატჩის შემდეგ თავს ნაცემივით ვგრძნობდი. ეს საშინელი, ჯოჯოხეთური გრძნობაა“* - ბოლმა ვერ დამალა ვილკინსონმა.

„პომების“ თავკაცი **მარტინ ჯონსონი** ყოველივე ამაზე უკმაყოფილოდ ბურდღუნებს:

*„უმჯობესია, ეს ბოლმა შეინახონ და შოტლანდიასთან მატჩში გამოამჟღავნონ“.*

მსოფლიო რეიტინგი

# დავწინაურდით

საქართველოს ნაკრები მსოფლიო რეიტინგში ერთი საფეხურით დაწინაურდა. ესპანეთის ნაკრების დამარცხებისთვის „ბორჯღალოსნებს“ არაფერი ერგოთ, სამაგიეროდ რუმინეთთან შინ ფრედ დამთავრებული მატჩის გამო რუსეთის ნაკრებს 0,64 ქულა დააკლდა. შედეგად, ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს აშშ-ის ნაკრებმაც გაუსწრო.

დღეისთვის საქართველოს ნაკრები 67,44 ქულით მე-16 ადგილზეა. რუსებს 67,03 ქულა დაუგროვდათ და ორი საფეხურით დაქვეითდნენ. აშშ-ის ნაკრებს 67,05 ქულა აქვს.

**მსოფლიო რეიტინგი**

1. ახალი ზელანდია - 91,68 ქულა 2. სამხრეთ აფრიკა - 88,60. 3. ავსტრალია - 85,56. 4. საფრანგეთი - 85,22. 5. ირლანდია - 84,47. 6. ინგლისი - 80,62. 7. არგენტინა - 80,56. 8. უელსი - 78,81. 9. ფიჯი - 75,90. 10. შოტლანდია - 74,48. 11. იტალია - 73,20. 12. სამოა - 72,08. 13. იაპონია - 70,59. 14. კანადა - 68,80. 15. ტონგა - 68,11. 16. საქართველო - 67,44. 17. აშშ - 67,05. 18. რუსეთი - 67,03. 19. რუმინეთი - 65,22. 21. პორტუგალია - 60, 57. 23. ესპანეთი - 58,23. 29.გერმანია - 54,28.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

ადამიანი დროში

# ისრები ზუზუნით მიქროდნენ ქარდაქარ

დილიდანვე ცუდი ამინდი იდგა მოსკოვში 1980 წლის 3 აგვისტოს: თავსხმა წვიმამ დაუშვა ცივი ქარის თანხლებით. სასროლეთზე გალუმპული მშვილდოსნები ძაგძაგებდნენ, ბევრს გათოშილი ხელები არ ემორჩილებოდა, ქართველმა ჩუბინმა ქეთევან ლოსაბერიძემ კი მკაცრ გამოცდას გაუძლო, ზუსტად ისროდა მიზანში - 30 შესაძლებლიდან 29 ქულა მოაგროვა და ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საბჭოთა მშვილდოსნობის ისტორიაში ეს არნახული წარმატება იყო.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ქეთევან ლოსაბერიძემ პირველ გამარჯვებას 1967 წელს მიაღწია - საქართველოს ჩემპიონი გახდა. მერე თერთმეტჯერ დაიცვა ეს ტიტული. გუნდურ ჩათვლაში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა 1972 და 1978 წლებში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, 1973 და 1979 წლებში საბჭოთა კავშირის პირველობებზე ოქროს მედლები დაიმსახურა, ერთხელ „ვერცხლი" ერგო, ექვსჯერ - „ბრინჯაო", ორჯერ საკავშირო თასს ფლობდა.

- ჩემს მშობლებს 9 შვილი ჰყავდათ. ხუთი წლისას დედა გარდამეცვალა და თავად ვიკაფავდი ცხოვრების გზას, - გაიხსენა ბავშვობის წლები ქეთევან ლოსაბერიძემ. - ნებისყოფისა და შრომისმოყვარეობის უნარმა სპორტში დიდად შემიწყო ხელი, განსაკუთრებით საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლებისას. 1972 წელს ლუქსემბურგში ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი გავხდი. იმავე წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზეც უნდა მომეპოვებინა მედალი, მაგრამ ხელი მომეცარა - მეოთხე ადგილზე გავედი. მაშინ ოქრო ამერიკელ დორინ იულბერს ერგო, მეორე-მესამე ადგილები პოლონელმა ირენა შიდლოვსკაიამ და რუსმა ემა გაპჩენკომ დაიკავეს. არადა, ევროპის ჩემპიონატზე ორივეს ვაჯობე. მიუნხენში გაპჩენკომ მხოლოდ ქულით გამისწრო.

**- თქვენი ჯილდოების კოლექციაში საპატიო ადგილი „ამბროზინის თასს" უკავია...**

- დიახ, ასეა. იტალიაში შერეული ტურნირი იმართებოდა - ქალები და ვაჟები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. 1975 წელს ქალებს კი მოვუგე, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა მასპინძელ მამაკაცთან დავთმე და მეორე ადგილით დავკმაყოფილდი, ოთხი წლის შემდეგ კი პირველი ადგილი დავიკავე. მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა რუსკონიმ საბჭოთა ნაკრების წევრები ვახშამზე შინ მიგვიწვია და მთავარი ჯილდო - ვერცხლის ყელსაბამი იქ გადმომცა.

**- საკმაოდ წარმატებული სპორტსმენი იყავით. საკავშირო ნაკრებში ადგილს, ალბათ, უპრობლემოდ იბევებდით?**

- ხშირად მივლია ეკლიანი ბილიკებით. მაშინ ხომ ათლეტების ბედი უფრო ხშირად სარბიელის ნაცვლად „ზემოთ" წყდებოდა. იყო შემთხვევები, დიდ შეჯიბრებებზე რომ არ წავუყვანივართ. კინაღამ მოსკოვის თამაშებიც გამომატოვებინეს. 1980 წელს თითქმის ყველა ტურნირი მოვიგე. მხოლოდ ერთხელ - ვარშავაში ერთ-ერთ დისტანციაზე მესამე ადგილი დავიკავე. იქ როგოვამ გაიმარჯვა. ოლიმპიურ ნაკრებში ერთბაშად ოთხი კანდიდატი აღმოვჩნდით - მე, ბუტუზოვა, როგოვა და რუსტამოვა. არჩევანი ჩემზე და ბუტუზოვაზე შეჩერდა. ატყდა ერთი ამბავი - მსოფლიოს რეკორდსმენ როგოვას ნაკრებს გარეთ როგორ ტოვებთო. თამაშებამდე ორი კვირით ადრე კონკურენტებს ოფიციალური ტურნირი მოგვიწყვეს. დიდი უპირატესობით ვაჯობე მეტოქეებს.

**- რუს მშვილდოსნებთან როგორი დამოკიდებულება გქონდათ?**

- ვცდილობდით, მეგობრულად ვყოფილიყავით ერთმანეთთან. როგოვას რომ მოვუგე, მესამე დღეს თავად მოვიდა ჩემთან და მითხრა - ნამდვილად ღირსი ხარ, ოლიმპიადაზე იასპარეზოო. ერთ ეპიზოდსაც გიამბობთ: საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნებისას მე და ემა გაპჩენკო თვითმფრინავში გვერდიგვერდ ვისხედით. იგი თავის ოჯახზე მიყვებოდა: დედაჩემმა გემრიელი კერძების მომზადება იცისო, მითხრა; დღეს მელოდება, ცხელ „შჩის" დამახვედრებს, გემოზე ჩავხვრეპ და დავიძინებო. გამახსენდა ჩემი ბავშვობა, ნაადრევად გარდაცვლილი დედა - მე ხომ მშობლიურ ალერსს მოკლებული ვიყავი. თვალები ცრემლით ამევსო. ეს ემას არ შეუმჩნევია. მოსკოვში რომ ჩავფრინდით, გაპჩენკოს ახლობლები დახვდნენ და შინ წაიყვანეს, მე კი მშვილდოსნობის ფედერაციის წარმომადგენლებმა ერთ-ერთი ბაზის საერთო საცხოვრებელში მიმიჩინეს ბინა. გული დამწყდა...

**- თქმა არ უნდა, ცხოვრებაში თქვენთვის ყველაზე დიდი სიხარული ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვება იქნებოდა.**



ქეთევან ლოსაბერიძე „ოქროს ისარს" გადასცემს სეოკ-ის პრეზიდენტ გიან ნაცვლიშვილს

- ყველა სპორსტმენისთვის არათუ ოლიმპიური ოქროს მედალი, თამაშებში მონაწილეობაც კი საოცნებოა. ამ მხრივ, არც მე ვარ გამონაკლისი. 1980 წლის 3 აგვისტოს მოსკოვში ოლიმპიადაზე რომ გავიმარჯვე, მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა. ალბათ, სიხარულით გული გამისკდება-მეთქი, ვფიქრობდი. მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ ქალისთვის მაინც ყველაზე დიდი ბედნიერება დედობაა. ჩემი თინიკოს დაბადებით გამოწვეულ სიხარულზე უფრო სასიამოვნო განცდა მე არ მქონია, თანაც, როდის - გათხოვებიდან მეცხრე წელიწადს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა დედას 3 მარტი მივულოცო, ბედნიერება და სიხარული, შვილთა სიმრავლე და წარმატებები ვუსურვო.

ვაჟა დანელია

ბაკურიანობა



# სახალისოც და სევდიანიც...

ზუსტად 30 წლის წინ, ეგრეთ წოდებული 25-იანის მიმდებარე ტერიტორიაზე, მარტის ბოლო კვირას სპეციალურად მოწყობილ სცენაზე ქართული ცეცხლოვანი ცეკვებისა და სიმღერების შესრულების შემდეგ ორგანიზატორებმა ყველას აუწყეს, რომ საფუძველი ეყრებოდა ზამთრის გაცილების ზეიმს, რომლის დევიზი იყო: „ყველანი თხილამურებზე". და მართლაც, ზამთრის ბოლო კვირას ყველა, დიდი თუ პატარა, სტუმარი თუ მასპინძელი, ცდილობდა თხილამურებზე დადგომას. თხილამურები იმ დღეს უფასოდ ეძლეოდათ მსურველებს და ხალხიც სპეციალური ტრანსპორტით ამოჰყავდათ ბაკურიანში. გადიოდა წლები და ამ ზეიმს სხვადასხვა სახელს არქმევდნენ. მახსოვს, მოქმედი სპორტსმენები ამ ზეიმზე მხოლოდ მაყურებლის როლში იყვნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, თოვლის ლამაზი ბაბუის გაკეთება და გუნდაობაც კი ზეიმის შემადგენელი ნაწილი იყო.

ბოლო პერიოდში ყველა სიტყვა და დევიზი გვერდზე გადავდე და ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში ზამთრის გაცილებას „ბაკურიანობა" ვუწოდე, ამის მნიშვნელობა კი დღეს ყველამ კარგად იცის.

25-იანიდან „ბაკურიანობამ" ხან კოხტაგორის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, ხან - პარკში. 27 თებერვალს „ბაკურიანობის" დაბადების 30 წელი სწორედ პარკში გაიმართა. ორგანიზატორი ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა (გამგებელი **ვახტანგ მაისურაძე**) გახლდათ, ხოლო ტექნიკური მხარე მთლიანად უზრუნველყვეს ს.ს. „დიდველმა" (გენერალური დირექტორი **რევაზ მუმლაძე**. სხვათა შორის, „დიდველი" ბაკურიანში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას მხარში უდგას და ეხმარება, ჩვენს მოთხილამურეებს დიდველის ტრასაზე სულაც უფასოდ ემსახურება) და ბაკურიანის სპორტსკოლამ.

თავიდან დაგეგმილი იყო, რომ „ბაკურიანობა" დიდი სახალხო ზეიმი ყოფილიყო. საამისოდ წინასწარ დიდი სამზადისიც მიმდინარეობდა, მაგრამ კანადაში მომხდარი ტრაგედიის გამო, სადაც ბაკურიანელი მოციგავე **ნოდარ ქუმარიტაშვილი** დაიღუპა, „ბაკურიანობა" მოკრძალებულად გაიმართა და იგი მთლიანად მის ხსოვნას მიეძღვნა.

იმ დღეს პარკში უამრავი ხალხი მოვიდა. მოდიოდნენ დიდები თუ პატარები, ზოგიც მთელი ოჯახით გამოცხადდა, მოვიდნენ უფროსი თუ უმცროსი თაობის წარმომადგენლები, ისინი, ვინც ქართული თხილამურების ისტორიას ქმნიდნენ, ისინი, ვინც 30 წელია, „ბაკურიანობის" ყველა დღესასწაულზე გამოდიოდნენ - **ნოდარ კოზანაშვილი, დიმიტრი პეტროსიანი, ამირან გოგოლაძე**... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამ დღეს **გოგი ავაკიანი** მთელი ოჯახით გამოვიდა სარბიელზე.

სლალომის ტრასაზე 2-დან 80 წლამდე ასაკის მოთხილამურეები ასპარეზობდნენ, შეჯიბრებები სხვადასხვა ასაკის მიხედვით ჩატარდა, ამიტომაც ამ დღეს ბევრი პრიზიორი ვიხილეთ. კურორტზე მყოფი პატარები კი ინსტრუქტორების დახმარებით იკვლევდნენ ტრასაზე გზას.

...ხვედელიძეების, ოგანეზოვების, ბანდურების, კოზანაშვილების, კურტანიძეების, ხაჩიძეების, გოგოლაძეების, მიქაბერიძეების, აბრამაშვილების, ქუმარიტაშვილების, გელაშვილების, მიკირტიჩიანების, გავების, მაკიევების, სტეფანიანების, თვაურების, ვახტანგიშვილების, ჯეირანაშვილების, ჩუბკოების, თედიაშვილების, ფილაურების საგვარეულოთა პატარა წარმომადგენლებმა ტრასა სიამოვნებით დალაშქრეს.

ტრასაზე 5 წლის ბორჯომელი **გიორგი მუმლაძეც** ვიხილეთ, რომელმაც გაბედულად და უშეცდომოდ გაიარა მთელი გზა.

ასპარეზობა ყველაზე მეტად გაახალისეს საქართველოს მოქმედმა მოთხილამურეებმა, სწორედ ერთ-ერთი მათგანის, **კოტე ვახტანგიშვილის** დრო იყო ამ დღის საუკეთესო მაჩვენებელი. შეჯიბრებები მოეწყო სათხილამურო რბოლებში და ცხენებით ჯირითში.

ამ დღის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა უამრავი სხვადასხვა სპეციალური პრიზით. რა თქმა უნდა, დიდი შრომა გასწიეს ბაკურიანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა **ლევან შავკანმა** და უფროსმა სპეციალისტმა **გიორგი არბოლიშვილმა.**

„ბაკურიანობის" მონაწილეთა დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობდნენ ვეტერანი სპორტსმენები და ნოდარ ქუმარიტაშვილის და მარიამი.

„ბაკურიანობის" ყველა მონაწილემ და მაყურებელმა არა მარტო წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნას, არამედ დაჯილდოების დამთავრების შემდეგ მის საფლავთან მივიდა და სანთელი დაანთო მისი სულის მოსახსენიებლად. აქ მამა ფოკაც იმყოფებოდა...

სოფიკო ხეთაგაშვილი

სუმო

რეიტინგი

# უასაშორიუდ

ზუსტად 11 წლის შემდეგ, პირველად სუმოს ოფიციალურ რეიტინგ-ლისტში (იაპონელები რომ ბანძუკეს ეძახიან), 800-კაციან სიაში ვერ ნახავთ მონღოლ **ასაშორიუ აკინორის**. მონღოლი დიდი ჩემპიონი ოფიციალურად წავიდა სპორტიდან. ამის მიზეზი კი ტოკიოს ერთ-ერთ ბარში მომხდარი სკანდალური ინციდენტია, თორემ 29 წლის ჯან-ღონით სავსე მონღოლს სხვა არაფერი სჭირს, ის იმპერატორის თასის ამჟამინდელი მფლობელია. **დოლგოსურენ დაგვადორჯი** (ასაშორიუს ნამდვილი სახელი) 67 ბაშოს განმავლობაში ჭიდაობდა პროფესიულ დოჰიოზე, აქედან 42 ბაშოზე ის დიდი ჩემპიონის ტიტულს ატარებდა და იმპერატორის თასი 23-ჯერ მოიგო, ყველაზე მეტჯერ თანამედროვე სუმოისტთა შორის. თუმცა, მოვრჩეთ ასაშორიუზე ლაპარაკს და გაგაცნობთ იმ ცვლილებებს, ქართველმა სუმოისტებმა რომ განიცადეს რეიტინგში.



ერთადერთი დიდი ჩემპიონი ჰაკუჰოა

ელიტის უმაღლესი დივიზიონის ორივე ქართველმა, **ლევან გორგაძემ** (**ტოჩინოშინი**) და **ლევან ცაგურიამ** (კოკაი) იანვრის ბაშო უარყოფითი ბალანსით დაასრულეს, ამიტომაც მათ დაქვეითებას ველოდით. მართლაც, ყოფილი პირველი მაეგაშირა **ტოჩინოშინი** ახლა დასავლეთის მე-6 მაეგაშირაა. სიმართლე გითხრათ, ჩვენ მეტად დაქვეითების გვეშინოდა, ამ პოზიციიდან კი კვლავ შეიძლება კომუსუბის ტიტულზე შეტევა. კოკაი დღეიდან აღმოსავლეთის მე-14 მაეგაშირაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მარტის ბაშოზე ქართველს უმაღლეს დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევს ბრძოლა.

ძურიოს დივიზიონის ჩემპიონი ქართველი **თეიმურაზ ჯუღელია** (**გაგამარუ**), რომელიც ძურიოს მე-14 ნომერი იყო. დღეიდან ის აღმოსავლეთ ძურიოს მე-3 ნომერია და, სავარაუდოდ, უბრალო დადებითი ბალანსიც (8-7) ეყოფა უმაღლეს დივიზიონში გადასასვლელად.

მარტის (ჰარუ) ბაშო ქალაქ ოსაკას პრეფექტურის გიმნაზიუმში 14-28 მარტს გაიმართება. სუმოისტები კი დღეიდან ინტენსიურ მზადებას შეუდგებიან.

| მარტის ბანძუკე | | |
|---|---|---|
| ჰაკუჰო | იოკოძუნა | - |
| ჰარუმაფუჯი | ოძეკი | კოტოოშუ |
| კაიო | ოძეკი | კოტომიცუკი |
| ბარუტო | სეკივაკე | ტოიონოშიმა |
| კისენოსატო | კომუსუბი | ამინიშიკი |
| კაკურიუ | მაეგაშირა 1 | ვაკანოსატო |
| კიოკუტენჰო | მ 2 | არანი |
| გოეიდო | მ 3 | კოტოშოგიკუ |
| ტამავაში | მ 4 | ტოსაიუტაკა |
| ტოიოჰიბიკი | მ 5 | ჰომაშო |
| ტოჩიოძანი | მ 6 | ტოჩინოშინი |
| მიაბიამა | მ 7 | კაკიძოე |
| ივაკიამა | მ 8 | ტაკეკაძე |
| ჰაკუბა | მ 9 | იოშიკაძე |
| კიტატაიკი | მ 10 | შიმოტორი |
| ასასეკირიუ | მ 11 | ჰოკუტორიკი |
| ოკინოუმი | მ 12 | ტაკამისაკარი |
| ტოკიტენკუ | მ 13 | ტოკუსეგავა |
| კოკაი | მ 14 | ტამანოშიმა |
| საგაცუკასა | მ 15 | მოკონამი |
| კასუგაო | მ 16 | ბუშუიამა |

ნიკოლოზ ნეფარიძე

მძლეოსნობა

# ზედიზედ მეხუთედ

ქართველი მძლეოსანი **მარიამ ქევხიშვილი** ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუდენტთა შეჯიბრებებზე წარმატებულ გამოსვლათა სერიას განაგრძობს. იგი წლეულს ზედიზედ მეხუთედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე: ათენისა და პეკინის ოლიმპიური თამაშების მონაწილემ ამჯერად არკანზასის შტატის ქალაქ ფეიტევილში ამერიკის საუნივერსიტეტო სამხრეთ-აღმოსავლეთი კონფერენციის ჩემპიონატში გაიმარჯვა. მარიამმა ბირთვი 18,09-მეტრიან ზღვარს გადააცილა და ყველა მეტოქეს აჯობა. 12-14 მარტს ქართველი სპორტსმენი ამერიკის საუნივერსიტეტო ჩემპიონატში იასპარეზებს, რომელიც, ასევე, ფეიტევილში გაიმართება.

ვაჟა დანელია

www.sport.gov.ge

ვანკუვერი 2010




# პრეზიდენტის შეფასება

**ვანკუვერის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ განვლილი თამაშები შეაჯამა და მას წარმატებული უწოდა. ბელგიელმა ჩინოვნიკმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი დოპინგთან ბრძოლაში მიღწეულ პროგრესს და სხვა პოზიტიურ მომენტებზეც ილაპარაკა.**

- ვანკუვერის თამაშებმა ბრწყინვალედ ჩაიარა, - ამ სიტყვებით დაიწყო პრესკონფერენცია ჟაკ როგემ. - სპორტსმენებისგან დადებით ემოციებს ვგრძნობდით, ტელეტრანსლაციების რეიტინგი მაღალი იყო, ვიდრე სოლტ-ლეიკ სიტიში. არადა, ჩრდილოეთ ამერიკაში ჩატარებული ბოლო თამაშებიდან მხოლოდ რვა წელი გავიდა.

ქალაქის მოსახლეობის მხრიდან მსგავსი მხარდაჭერა მარტო ლილეჰამერში მქონდა ნანახი, მაგრამ იქ მხოლოდ 20 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ვანკუვერში კი მილიონზე მეტი მოსახლეობაა.

**- ვანკუვერში ბევრი სტარტი წვიმაში გაიმართა, ზოგიერთ ტურნირზე კი, უსაფრთხოების მიზნით, მაყურებელი არ დაუშვეს. გაითვალისწინებს თუ არა ამ ხარვეზებს ოლიმპიური კომიტეტი ზამთრის თამაშების დედაქალაქის არჩევისას?**

- ჩვენ რომ შვიდი წლით ადრე გაგვეთვალა ამინდის პროგნოზი, ძალიან დიდ ფულს ვიშოვიდით. ვანკუვერში წელს ყველაზე თბილი ზამთარი იყო ბოლო 10 წლის განმავლობაში, მაგრამ ამას ვერავინ იწინასწარმეტყველებდა.

**- ოლიმპიადა დასრულდა და ხვალ ბევრი ვანკუვერელი იმაზე დაიწყებს ლაპარაკს, რომ სამუშაო და ბინის გადასახდელი ფული არ აქვს. რას უპასუხებთ ამ ადამიანებს?**

- ვანკუვერის მოსახლეობის პრობლემები ოლიმპიადის ჩატარებით არ არის გამოწვეული. პირიქით, ქალაქში გაჩნდა მეტროს ახალი ხაზი, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა აეროპორტს, აშენდა თანამედროვე საციგურაო არენა... რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ოლიმპიურ სოფელში ბინების ნაწილი საცხოვრებლად ხელმისაწვდომი იქნება. და კიდევ, ოლიმპიადამ ღარიბი მოსახლეობის ყურადღებაც მიიპყრო.

**- პირველად ბოლო წლების განმავლობაში თამაშებმა დოპინგსკანდალის გარეშე ჩაიარა...**

- ვანკუვერში ორი მცირე დარღვევა დაფიქსირდა. სოლტ-ლეიკ-სიტისა და ტურინისგან განსხვავებით, სადაც დოპინგის მიღების შვიდი შემთხვევა გამოვლინდა, ეს სპორტის სისუფთავის დაცვაში წინ გადადგმული ნაბიჯია.

ჩვენ ვისწავლეთ არსებული აკრძალული პრეპარატების გამოვლენა. ამას უკვე მიხვდნენ ის სპორტსმენები, რომლებსაც ცეცხლთან თამაში უყვარდათ. თუმცა 2010 წლის ოლიმპიადის საბოლოო შედეგებს რვა წლის შემდეგ შევიტყობთ. ამ დროის განმავლობაში სინჯებს ლაბორატორიაში შეინახავენ. პეკინში გაკეთებულმა ანალიზებმა მოგვიანებით ექვსი დადებითი შედეგი მოგვცა.

**- შესამჩნევი იყო თუ არა ახალი ტენდენციები საპრიზო ადგილების განაწილებისას?**

- მედლების საერთო ცხრილში ბოლო წლების ლიდერები იყვნენ დაწინაურებულნი: ამერიკა, კანადა, ნორვეგია, კორეა, შვეიცარია. უკეთ უნდა გამოსულიყო რუსეთი.

**- ვანკუვერში მოასპარეზე სპორტსმენთაგან, ვინ დატოვა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?**

- შვედმა სამთო მოთხილამურე ანია პერსონმა, რომელმაც ტრავმის შემდეგ შეძლო სტარტზე გასვლა და ბრინჯაოს მედლის მოპოვება. სლოვენიელმა მოთხილამურე პეტრა მაიდიჩმაც ნამდვილი მამაცობა გამოავლინა. მისი ბრინჯაო სპრინტში ოქროს მედლის ტოლფასი იყო. ფანტასტიკური იყო ნორვეგიელი მოთხილამურე პეტერ ნორტუგი, რომელსაც ერთნაირად კარგად ეხერხება სპრინტისა და მარათონის სირბილი. და კიდევ, დიდი ხანია ისეთი ესთეტიკური სიამოვნება არ მიმიღია, რომელიც კორეელი მოციგურავის იუ-ნა კიმის სრიალმა მომანიჭა.

**- როგორ აფასებთ რუსი მოციგურავის ევგენი პლიუშჩენკოს დემარშს, რომელმაც თქვენთან პირად საუბარში ფიგურულ სრიალში წესების გადახედვა მოითხოვა?**

- დიდმა სპორტსმენებმაც უნდა იცოდნენ ტურნირის წესებისა და ელემენტარული ზრდილობის დაცვა. თუ მოციგურავეს მიაჩნია, რომ ოთხმაგი სალტო უფრო მეტად უნდა ფასობდეს, ამ შემთხვევაში საკუთარ ფედერაციას უნდა მიმართოს, რომელიც თავის მხრივ, ISU-ში დააყენებს წესების შეცვლის საკითხს. დღევანდელი რეგლამენტი იქითკენ არის მიმართული, რომ პროგრამის სირთულემ არ დაჩრდილოს სპორტსმენის გამოსვლისგან მიღებული ესთეტიკური სიამოვნება. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ფიგურულ სრიალში მსაჯების მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# სეზონის წინ: მაკლარენი

**"მაკლარენს" მომავალ სეზონში ახალი გამოცდა ელის. როგორც ჩანს, ამ გუნდში სიმშვიდე არასოდეს დაისადგურებს. ბრიტანული საჯინიბოსთვის უშფოთველი ცხოვრება შეიძლება ფინელ კიმი რაიკონენს მოეტანა, მაგრამ გუნდმა არჩევანი მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ჯენსონ ბატონზე გააკეთა, რომელიც ლუის ჰემილტონის ჩრდილში ყოფნას არავითარ შემთხვევაში არ შეეგუება.**

მიუხედავად იმისა, რომ ჰემილტონი შარშან ჩემპიონი ვერ გახდა, პირველი ნომერი მაინც "მაკლარენს" ერგო. შარშანდელი სეზონის შემდეგ "ბრაუნ გრან-პრი" "მერსედესს" მიჰყიდეს, ხოლო ამ გუნდის ტრიუმფატორი პილოტი - ჯენსონ ბატონი ცოტა ხანში "მაკლარენში" გადავიდა. ამ ტრანსფერს რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, რომელთაგანაც ძირითადი ფინანსური იყო - ბრიტანელმა არაერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჩემპიონის საკადრისი ხელფასის მიღება სურდა.

"მაკლარენში" გადასვლის შემდეგ ბატონმა გამოაცხადა, რომ ახალი სეზონისთვის ახალი მიზნები აქვს. ალბათ, მართალს ამბობს, მაგრამ მას ტვირთად დააწვება შარშანდელი გამარჯვება. ჯენსონი ჰემილტონის დამარცხებით თუ დაამტკიცებს, რომ 2009 წლის ტრიუმფი მხოლოდ როს ბრაუნის მიერ შექმნილი ბრწყინვალე მანქანის დამსახურება არ ყოფილა. ჩავარდნის შემთხვევაში კი ბატონს **დეიმონ ჰილის** ხვედრი ელის, რომელიც "უილიამსში" გაჩემპიონების შემდეგ პელოტონის ბოლოში მოექცა.

მოახლოებულ სეზონში ბატონსა და ჰემილტონს შორის ბრძოლა დიდ ინტერესს იწვევს. ამ პროცესის ზედამხედველი **მარტინ უიტმარში** იქნება. ის ფორმალურად გუნდის უფროსი შარშანდელი მარტის შემდეგ გახდა, როცა **რონ დენისი** Mclaren Group-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე გადავიდა, მაგრამ მაშინ ცხადი იყო, რეალურად ვინ ხელმძღვანელობდა საჯინიბოს. ახლა რონი გუნდთან აღარ იქნება და უიტმარში სრულფასოვან ხელმძღვანელად უნდა ჩავთვალოთ.

შარშანდელმა წელმა გვიჩვენა, რომ მარტინმა შეძლო გუნდის ფსკერიდან ამოყვანა, რასაც რამდენიმე გრან-პრის მოგება მოჰყვა. მაგრამ ახლა უიტმარშს ახალი გამოცდა ელის - მან უნდა მართოს ჩემპიონისა და ექსჩემპიონის ურთიერთობა. გასულ წელს გუნდი უპირატესობას ლუის ჰემილტონს ანიჭებდა და მის მანქანას ტექნიკურ სიახლეების ამარაგებდა, **ჰეიკი კოვალაინენი** კი პრაქტიკულად არავის ახსოვდა. მაგრამ წელს შეუძლებელია აშკარა "მეორე ნომრის" გამორჩევა. ამიტომაც საინტერესოა, რა ტაქტიკას აირჩევს სეზონის მსვლელობისას გუნდის ხელმძღვანელობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავია სპონსორების წასვლა. პირველ რიგში ეს ეხება ბანკ "სანტანდერს", რომელიც ესპანეთში წარმატებით გაუმკლავდა კრიზისულ პერიოდს და "ფერარისთან" გააფორმა კონტრაქტი. გარდა ამისა, "მერსედესმა" შეწყვიტა "მაკლარენთან" მჭიდრო თანამშრომლობა. "მაკლარენი" ათი წელი გერმანული ავტოგიგანტის სახე იყო, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. ძრავის მწარმოებლისგან ფინანსური მხარდაჭერა აღარ იქნება. სავარაუდოდ, სასპონსორო თანხების დაკარგვა გუნდს ძალიან არ დაეტყობა, მაგრამ "მაკლარენისთვის" სპონსორების წასვლა მაინც არასასიამოვნოა მომენტია.

რაც შეეხება ახალ მანქანას და მის დახვეწას - ამ მხრივ "მაკლარენმა" ყველა გააკვირვა. მანქანა პრაქტიკულად ნულიდან შეიქმნა, მიზეზი კი ორმაგი დიფუზორი გახდა, რომლის გარშემოც შენდებოდა ახალი ბოლიდი. ეს დეტალი პრეზენტაციაზე არ გამოაჩინეს და ამის მიზეზი აშკარად არსებობდა. როგორც ამბობენ, გუნდს ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი დიფუზორი აქვს, რომელსაც თამამად შეიძლება სამმაგი ვუწოდოთ. ბრიტანელებმა ტექნიკური რეგლამენტით დაშვებულ ყველა მილიმეტრზე იმუშავეს და ახლა ისღა დარჩენიათ ოფიციალურ სტარტებს დაელოდონ, რათა იქ შეაფასონ საკუთარი კონსტრუქციების რეალური შესაძლებლობები.

სეზონისწინა ტესტებით გუნდი კმაყოფილი დარჩა. ჰემილტონმაც და ბატონმაც თითოჯერ მოიგეს საწვრთნელი სესიები. თუმცა თავიდან ბრიტანული საჯინიბო ლიდერებს შორის ვერ ვიხილეთ, მაგრამ ეს იმით აიხსნებოდა, რომ გუნდი მანქანის წონის ბალანსის რეგულირებით იყო დაკავებული. შემდეგ აეროდინამიკაზე მუშაობდა, რისთვისაც ტრადიციულად ნოვატორულ იდეებს იყენებდა - ბოლიდს აეროდინამიკულ საღებავს უსვამდნენ და შემდეგ აკვირდებოდნენ, რა კვალს ტოვებდა მათზე ჰაერი. ბოლოს საქმეში "ცივი იარაღიც" ჩართეს: პრაქტიკულად მთელ ბოლიდზე გადამცემები დააყენეს, რომელიც მანქანის მოქმედებაზე უფრო დეტალურ ინფორმაციას აგროვებდა.

გასულ წელს გუნდი ძალიან ცუდად იწყებდა ჩემპიონატს, მაგრამ შემდეგ დიდ პროგრესს მიაღწია. ახლა კი პირიქითაა - "მაკლარენი" მზად არის სეზონისთვის, რაც თავის ინტერვიუში ლუის ჰემილტონმაც დაადასტურა.

**სრული სახელწოდება** - Vodafone McLaren-Mersedes
**ქვეყანა** - ბრიტანეთი
**ბაზა** - უოკინგი, ბრიტანეთი
**ვებგვერდი** - www.mclaren.com
**დირექტორი** - მარტინ უიტმარში
**დებიუტი** - მონაკოს გრან-პრი (1966)
**გრან-პრის რაოდენობა** - 666
**გამარჯვება** - 164
**პოული** - 145
**სწრაფი წრე** - 136
**კონსტრუქტორთა თასი** - 8 (1974, 1984, 1985, 1988, 1989, 1990, 1991, 1998)
**ჩემპიონის ტიტული** - 12
- ფიტიპალდი (1974)
- ჰანტი (1976)
- ლაუდა (1984)
- პროსტი (1985, 1986, 1989)
- სენა (1988, 1990, 1991)
- ჰაკინენი (1998, 1999)
- ჰემილტონი (2008)

2010 წლის სეზონი

**პილოტები**
- ჯენსონ ბატონი
- ლუის ჰემილტონი
- გარი პაფეტი (ტესტ-პილოტი)

**შასი** - MP4-25
**ძრავა** - მერსედესი

**№1. ჯენსონ ბატონი**
**მოქალაქეობა** - ბრიტანეთი
**დაბადების თარიღი** - 19.01.1980
**ვებგვერდი** - www.jensonbutton.com
**დებიუტი** - ავსტრალიის გრან-პრი (2000)
**გრან-პრის რაოდენობა** - 172
**გამარჯვება** - 7
**პოული** - 7
**სწრაფი წრე** - 2
**ქულა** - 327
**საუკეთესო შედეგი** - ჩემპიონი (2009)
**კარიერა:**
- უილიამსი (2000)
- ბენეტონი (2001)
- რენო (2002)
- BAR (2003-2005)
- ჰონდა (2006-2008)
- ბრაუნი (2009)

**№2. ლუის ჰემილტონი**
**მოქალაქეობა** - ბრიტანეთი
**დაბადების თარიღი** - 07.01.1985
**ვებგვერდი** - www.lewishamilton.com
**დებიუტი** - ავსტრალიის გრან-პრი 2007
**გრან-პრის რაოდენობა** - 52
**გამარჯვება** - 11
**პოული** - 17
**სწრაფი წრე** - 3
**ქულა** - 256
**საუკეთესო შედეგი** - ჩემპიონი (2008)
**კარიერა:**
- მაკლარენი (2007)



# საუკეთესო ჰემილტონისაა

ბარსელონაში მორიგი სატესტო სერია დასრულდა, სადაც საუკეთესო დრო "მაკლარენის" პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** დააფიქსირა. ამის შემდეგ "მერსედესის" პილოტმა **მიხაელ შუმახერმა** კომპლიმენტები არ დაიშურა ბრიტანული გუნდის მისამართით, თუმცა გერმანელმა აღიარა, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია სეზონის პირველი რბოლის წინ ძალთა თანაფარდობის შესახებ მსჯელობა.

*"უეჭველია, რომ "მაკლარენი" ძლიერად გამოიყურება, - განაცხადა ტესტების დასრულების შემდეგ შუმახერმა. - მაგრამ ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, რა სიახლეებს ჩაიტანენ ისინი ბაჰრეინში. ეს მალე გაირკვევა, მანამდე კი მოცდა მოგვიწევს.*

*ჩვენი გუნდი ბაჰრეინის წინ ცდილობს მანქანის გაუმჯობესებას, მაგრამ იქნება თუ არა ეს საკმარისი? თუ მეტოქეები მაინც გაგვისწრებენ? ამ ამოცანის ამოხსნა რთულია".*

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის აზრით, მისი გუნდი საკმაოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი: *"საერთო ჯამში განწყობა პოზიტიურია. ყველა დაძაბულად შრომობს, საქმე ბევრია - ჩვენი მექანიკოსები ღამემდე მუშაობენ. ასე ხდება, როცა ახალ მანქანას ქმნი და შემდეგ მის ტესტებს ატარებ.*

*ბარსელონას ტესტების შემდეგ ოდნავ ამოსუნთქვის საშუალება მოგვეცემა, მაგრამ ბოლომდე მოდუნება არ შეიძლება, რადგან ბაჰრეინისთვის მოსამზადებლად მცირე დრო დარჩა. საერთო ჯამში სიჩქარე იზრდება, ასე რომ, თანდათან ყველაფერი კარგად ეწყობა".*

მიხაელმა აღიარა, რომ ტესტების ბოლო დღეს წრეების გრძელი სერიისას ლუის ჰემილტონთან "გაჯიბრებამ" დიდი სიამოვნება მიანიჭა: *"ძალიან მხიარული პაექრობა გამოვიდა. საინტერესოა, შესაძლებელი იყო თუ არა გასწრება? ალბათ, არა, რადგან სხვადასხვა ამოცანით ვიყავით დაკავებული და საბურავებიც განსხვავებული გვქონდა. ამიტომაც დავუთმე გზა და საშუალება მივეცი გაეკეთებინა ის, რაც სურდა, მე კი ჩემი პროგრამით გავაგრძელე გამოსვლა".*

აქვე გთავაზობთ ბარსელონას ტესტების შეჯამებულ შედეგებს. აქ ნაჩვენებია პილოტების მიერ დაფიქსირებული საუკეთესო წრეები.

| | |
|---|---|
| ლ. ჰემილტონი (მაკლარენი) | 1'20.472 (227) |
| მ. უებერი (რედ ბული) | 1'20.496 (168) |
| ფ. მასა (ფერარი) | 1'20.539 (228) |
| ა. სუტილი (ფორს ინდია) | 1'20.611 (160) |
| ნ. ჰიულკენბერგი (უილიამ) | 1'20.614 (180) |
| ფ. ალონსო (ფერარი) | 1'20.637 (208) |
| ს. ფეტელი (რედ ბული) | 1'20.667 (252) |
| ნ. როსბერგი (მერსედესი) | 1'20.686 (235) |
| მ. შუმახერი (მერსედესი) | 1'20.745 (207) |
| რ. ბარიკელო (უილიამსი) | 1'20.870 (184) |
| კ. კობაიაში (ზაუბერი) | 1'20.911 (172) |
| პ. დე ლა როსა (ზაუბერი) | 1'20.973 (187) |
| ვ. ლიუცი (ფორს ინდია) | 1'21.056 (154) |
| ს. ბუემი (ტორო როსო) | 1'21.413 (194) |
| ჯ. ბატონი (მაკლარენი) | 1'21.450 (205) |
| ხ. ალგერსუარი (ტ-როსო) | 1'21.571 (215) |
| ვ. პეტროვი (რენო) | 1'22.523 (141) |
| რ. კუბიცა (რენო) | 1'23.175 (159) |
| ი. ტრული (ლოტუსი) | 1'25.059 (172) |
| ჰ. კოვალაინენი (ლოტუსი) | 1'25.251 (65) |
| ტ. გლოკი (ვირჯინი) | 1'25.942 (83) |
| ლ. დი გრასი (ვირჯინი) | 1'26.160 (78) |
| ფ. ფაუზი (ლოტუსი) | 1'28.002 (76) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

კალათბურთი — NBA რეგულარული ჩემპიონატი

# აივერსონი აღარ ითამაშებს

## ფინლი ბოსტონში გადადის, რუბიო ევროპაში დარჩება...




ამერიკელი საკალათბურთო მიმომხილველები დარწმუნებული არიან, რომ "ფილადელფია სიქსერზის" ვეტერანი ვარსკვლავის **ალენ აივერსონისთვის** მიმდინარე სეზონი დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. როგორც CSN.com წერს, "ფილადელფიას" ხელმძღვანელობა ამის შესახებ ოფიციალურ განცხადებას უახლოეს ორ დღეში გააკეთებს.

შეგახსენებთ, რომ თებერვლის დასაწყისში კალათბურთელმა 4 წლის ქალიშვილის ავადმყოფობის გამო რეგულარული ჩემპიონატის ხუთი შეხვედრა გამოტოვა, შემდეგ კლუბის რიგებში დაბრუნდა, სამი მატჩი ჩაატარა და ისევ "გაქრა". მას შემდეგ აივერსონი მოედანზე აღარ გასულა და როგორც ჩანს, "სიქსერზის" ხელმძღვანელობა მის ლოდინს აღარ აპირებს.

■ ■ ■

NBA-ის ვეტერანი ფორვარდი **მაიკლ ფინლი** დაიღალა სათადარიგო მოთამაშის როლით და თავის ამჟამინდელ კლუბს - "სან ანტონიო სპურსს" სხვა გუნდში გაშვებას თხოვა. გუშინ, "სპურსის" ხელმძღვანელობამ დააკმაყოფილა 36 წლის კალათბურთელის თხოვნა და ფინლი ტრანსფერზე დააყენა. მაიკლმა ამ სეზონში მხოლოდ 25 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 3.7 ქულა დააგროვა.

როგორც ამერიკული პრესა წერს, ფინლის აყვანაზე პრეტენზიას "ბოსტონ სელტიქსი" გამოთქვამს. ასევე არ არის გამორიცხული, რომ ვეტერანმა "ლოს ანჯელეს ლეიკერსში" გააგრძელოს კარიერა.

*"სან ანტონიოს" ხელმძღვანელობას კარგად ესმის, რატომ მიიღო მაიკლმა ასეთი გადაწყვეტილება - მას მეტი სათამაშო დროის მიღება სურს"*, - განაცხადა ფინლის აგენტმა **ჰენრი ტომასმა**.

■ ■ ■

"მინესოტა ტიმბერვულვზის" პრეზიდენტი **დევიდ კანი** დარწმუნებულია, რომ ესპანელი ვუნდერკინდი **რიკი რუბიო** მომავალ სეზონშიც არ ითამაშებს "მგლების" რიგებში. როგორც იცით, "ბარსელონას" მცველი "მინესოტამ" ამა წლის დრაფტზე მეხუთე ნომრად აიყვანა.

*"ამ სეზონის დასრულების შემდეგ მას არ ექნება კონტრაქტის გამოსყიდვის შესაძლებლობა და შესაბამისად, გაუჭირდება "ბარსელონას" დატოვება. ესპანურმა კლუბმა რუბიოში დიდი ფული გადაიხადა - დაახლოებით 5.3 მილიონი დოლარი და ბუნებრივია, არ მისცემს რიკის სხვაგან გადასვლის საშუალებას"*, - ამბობს კანი ESPN.com-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

**შარლოტი-დალასი 84:89**

28:24, 25:19, 15:23, 16:23

შ: ჯექსონი (20+7 მოხსნა), ტომასი (16+12 მოხსნა), დიაო (15), უოლასი (11+8 მოხსნა), ფელტონი (10+5 პასი).
დ: ნოვიცკი (27+13 მოხსნა), ბატლერი (22), ტერი (20).

**კლივლენდი-ნიუ იორკი 124:93**

38:26, 36:22, 27:11, 23:34

კ: ჯეიმსი (22+7 მოხსნა+7 პასი), ჯეიმისონი (17+12 მოხსნა), ჰიქსონი (17+9 მოხსნა), უესტი (15), ვარეჟაო (14+10 მოხსნა).
ნ-ი: უოკერი (21+5 მოხსნა), ჰარინგტონი (18), გალინარი (17), ლი (10+10 მოხსნა).

**ფილადელფია-ორლანდო 105:126**

36:35, 25:33, 20:34, 24:24

ფ: ჰოლიდეი (23+6 პასი), იგუოდალა (19), იანგი (17+7 მოხსნა), უილიამსი (13+7 პასი+5 მოხსნა), დალემბერი (12+11 მოხსნა).
ო: ნელსონი (22+10 პასი), კარტერი (19+7 მოხსნა), ლუისი (19), ბარნსი (16), ჰოვარდი (14), რედიკი (11), პიეტრუსი (10+6 მოხსნა).

**ჩიკაგო-ატლანტა 92:116**

23:34, 20:25, 25:16, 24:41

ჩ: როუზი (24), მილერი (15+7 მოხსნა), მიურეი (12), გიბსონი (11+13 მოხსნა), ნორიკი (10+7 მოხსნა).
ა: კროუფორდი (21), უილიამსი (18+9 მოხსნა), სმიტი (17+18 მოხსნა), ჰორფორდი (15+10 მოხსნა), ჯონსონი (14+9 მოხსნა).

**მემფისი-პორტლენდი 93:103**

27:21, 26:20, 21:41, 19:21

მ: რენდოლფი (22+7 მოხსნა), გეი (19+7 მოხსნა), გასოლი (15+11 მოხსნა), კონლი (13+5 პასი).
პ: როი (25+7 მოხსნა+5 პასი), ბატუმი (21), ოლდრიჯი (13), მილერი (12+11 პასი+5 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-ს ანტონიო 92:106**

24:31, 23:27, 26:22, 19:26

ნ-ო: ტორნტონი (30+7 მოხსნა), ოკაფორი (18+7 მოხსნა), უესტი (13+9 მოხსნა), სტოაკოვიჩი (11), კოლისონი (10+15 პასი+5 მოხსნა).
ს-ა: ჰილი (23+5 მოხსნა), დანკანი (22+9 მოხსნა), პარკერი (18+6 პასი), ჯინობილი (13+8 პასი+4 ჩაჭრა), ჯეფერსონი (10+6 მოხსნა), ბონერი (10+5 მოხსნა).

**ჰიუსტონი-ტორონტო 116:92**

37:28, 31:19, 29:18, 19:27

ჰ: ბრუქსი (28+7 პასი+5 მოხსნა), მარტინი (28), ანდერსენი (16+5 მოხსნა), სკოლა (11+8 მოხსნა).
ტ: ბენქსი (15+4 ჩაჭრა), ბარნიანი (14+6 მოხსნა), რაიტი (13), ჯეკი (11+6 პასი), ბელინელი (11).

**ფინიქსი-დენვერი 101:85**

24:33, 33:11, 27:23, 17:18

ფ: სტაუდმაიერი (19+10 მოხსნა), ჰილი (19+8 მოხსნა), ფრაი (16+5 მოხსნა), რიჩარდსონი (12+7 მოხსნა), დრაგიჩი (12), ნეში (11+10 პასი).
დ: ბილაპსი (21), ენტონი (17+7 მოხსნა), სმიტი (16), ნენე (14+5 მოხსნა).

**კლიპერსი-იუტა 108:104**

29:19, 24:24, 29:27, 26:34

კ: გორდონი (24), დევისი (19+12 პასი+5 მოხსნა), გუდენი (19+11 მოხსნა), კამანი (18+14 მოხსნა), ბატლერი (13).
ი: ბუზერი (20+6 მოხსნა), მილსეპი (17), კორვერი (16), უილიამსი (13+13 პასი+5 ჩაჭრა), კირილენკო (13+7 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი — NHL რეგულარული ჩემპიონატი. მარტის კალენდარი

**კოლორადო-დეტროიტი 2:3**
0:2, 2:0, 0:1

გოლები: 0:1 ჰოლმსტრიომი-16 (დაციუკი-33, ბ. სტიუარტი-11), 0:2 ფრანცენი-4 (ჰოლმსტრიომი-10, ლიდსტრიომი-30), 1:2 გალიარდი-10 (შჩასტნი-43, კ. სტიუარტი-24), 2:2 კ. სტიუარტი-20 (სალეი-43, ჰენდრისკი-4), 2:3 ლიდსტრიომი-7 (დაციუკი-34, ჰოლმსტრიომი-11).

**2 მარტი**

ბოსტონი-მონრეალი
ტორონტო-კაროლინა
აილენდერსი-ჩიკაგო
ატლანტა-ფლორიდა
კოლამბუსი-ვანკუვერი
ოტავა-რეინჯერსი
პიტსბურგი-ბაფალო
ტამპა ბეი-ფილადელფია
ნეშვილი-ედმონტონი
დალასი-ლოს ანჯელესი
ფინიქსი-სტ. ლუისი
სან ხოსე-ნიუ ჯერსი

**3 მარტი**

ბაფალო-ვაშინგტონი
ფლორიდა-ფილადელფია
დეტროიტი-ვანკუვერი
ჩიკაგო-ედმონტონი
კალგარი-მინესოტა
ანაჰაიმი-კოლორადო

**4 მარტი**

ბოსტონი-ტორონტო
რეინჯერსი-პიტსბურგი
ვაშინგტონი-ტამპა ბეი
კაროლინა-ოტავა
ატლანტა-აილენდერსი
ნეშვილი-ლოს ანჯელესი
დალასი-სტ. ლუისი
ფინიქსი-კოლორადო
სან ხოსე-მონრეალი

**5 მარტი**

ბაფალო-ფილადელფია
დეტროიტი-ნეშვილი
ჩიკაგო-ვანკუვერი
კალგარი-ნიუ ჯერსი
ედმონტონი-მინესოტა

**6 მარტი**

პიტსბურგი-დალასი
აილენდერსი-ბოსტონი
ოტავა-ტორონტო
ვაშინგტონი-რეინჯერსი
ფლორიდა-კაროლინა
ტამპა ბეი-ატლანტა
ფინიქსი-ანაჰაიმი
კოლორადო-სტ. ლუისი
ლოს ანჯელესი-მონრეალი
სან ხოსე-კოლამბუსი

**7 მარტი**

პიტსბურგი-ბოსტონი
ნეშვილი-ვანკუვერი
მინესოტა-კალგარი
ატლანტა-კაროლინა
რეინჯერსი-ბაფალო
ფილადელფია-ტორონტო
ჩიკაგო-დეტროიტი
ედმონტონი-ნიუ ჯერსი
ანაჰაიმი-მონრეალი

**8 მარტი**

ვაშინგტონი-დალასი
ლ ანჯელესი-კოლამბუსი

**9 მარტი**

ტორონტო-ბოსტონი
ფილადელფ-აილენდერსი
ატლანტა-ნეშვილი
მონრეალი-ტამპა ბეი
დეტროიტი-კალგარი
მინესოტა-ფლორიდა
კოლორადო-ვანკუვერი
ედმონტონი-ოტავა
ანაჰაიმი-კოლამბუსი

**10 მარტი**

ბაფალო-დალასი
ნიუ ჯერსი-რეინჯერსი
ვაშინგტონი-კაროლინა
ჩიკაგო-ლოს ანჯელესი
ფინიქსი-ვანკუვერი

**11 მარტი**

ტორონტო-ტამპა ბეი
აილენდერსი-სტ. ლუისი
ფილადელფია-ბოსტონი
კაროლინა-პიტსბურგი
კოლამბუსი-ატლანტა
მონრეალი-ედმონტონი
დეტროიტი-მინესოტა
კოლორადო-ფლორიდა
კალგარი-ოტავა
სან ხოსე-ნეშვილი

**12 მარტი**

ნიუ ჯერსი-პიტსბურგი
ვაშინგტონი-ტამპა ბეი
ბაფალო-მინესოტა
ატლანტა-რეინჯერსი
დალასი-ლოს ანჯელესი
ანაჰაიმი-ნეშვილი

**13 მარტი**

ფილადელფია-ჩიკაგო
ტორონტო-ედმონტონი
მონრეალი-ბოსტონი
აილენდერსი-ნიუ ჯერსი
კაროლინა-ფინიქსი
დეტროიტი-ბაფალო
კოლამბუსი-სტ. ლუისი
ვანკუვერი-ოტავა
სან ხოსე-ფლორიდა

**14 მარტი**

რეინჯერსი-ფილადელფია
დალასი-კოლორადო
ლოს ანჯელესი-ნეშვილი
აილენდერსი-ტორონტო
ატლანტა-ფინიქსი
ტამპა ბეი-პიტსბურგი
მინესოტა-სტ. ლუისი
ჩიკაგო-ვაშინგტონი
ანაჰაიმი-სან ხოსე
ვანკუვერი-კალგარი

**15 მარტი**

ნიუ ჯერსი-ბოსტონი
კოლამბუსი-ედმონტონი
კალგარი-დეტროიტი

**16 მარტი**

რეინჯერსი-მონრეალი
კაროლინა-ბოსტონი
ატლანტა-ბაფალო
ოტავა-ტორონტო
ტამპა ბეი-ფინიქსი
ფლორიდა-ვაშინგტონი
სტ. ლუისი-კოლორადო
ნეშვილი-ფილადელფია
მინესოტა-ედმონტონი
დალასი-სან ხოსე
ვანკუვერი-აილენდერსი

**17 მარტი**

ნიუ ჯერსი-პიტსბურგი
კოლორადო-კალგარი
ანაჰაიმი-ჩიკაგო

**18 მარტი**

ბოსტონი-პიტსბურგი
რეინჯერსი-სტ. ლუისი
კაროლინა-ვაშინგტონი
ატლანტა-ოტავა
ტორონტო-ნიუ ჯერსი
ტამპა ბეი-ბაფალო
ფლორიდა-ფინიქსი
ნეშვილი-მინესოტა
დალასი-ფილადელფია
ვანკუვერი-სან ხოსე
ლოს ანჯელესი-ჩიკაგო

**19 მარტი**

კოლამბუსი-მინესოტა
კალგარი-სან ხოსე
ედმონტონი-დეტროიტი
ანაჰაიმი-აილენდერსი

**20 მარტი**

პიტსბურგი-კაროლინა
დალასი-ოტავა
ტორონტო-მონრეალი
ნიუ ჯერსი-სტ. ლუისი
ატლანტა-ფილადელფია
ფლორიდა-ბაფალო
ტამპა ბეი-ვაშინგტონი
ნეშვილი-კოლამბუსი
ფინიქსი-ჩიკაგო
ვანკუვერი-დეტროიტი
ლ ანჯელესი-აილენდერსი

**21 მარტი**

ბოსტონი-რეინჯერსი
მინესოტა-კალგარი
კაროლინა-ბაფალო
ფლორიდა-ტამპა ბეი
სტ. ლუისი-ნეშვილი
ფილადელფია-ატლანტა
დალასი-ფინიქსი
ედმონტონი-სან ხოსე
ანაჰაიმი-კოლორადო

**22 მარტი**

დეტროიტი-პიტსბურგი
მონრეალი-ოტავა
ლ ანჯელესი-კოლორადო

**23 მარტი**

ტორონტო-ფლორიდა
ნიუ ჯერსი-კოლამბუსი
ატლანტა-ბოსტონი
ოტავა-ფილადელფია
ტამპა ბეი-კაროლინა
ნეშვილი-დალასი
მინესოტა-სან ხოსე
ჩიკაგო-ფინიქსი
კალგარი-ანაჰაიმი
ედმონტონი-ვანკუვერი

**24 მარტი**

რეინჯერსი-აილენდერსი
ვაშინგტონი-პიტსბურგი
ბაფალო-მონრეალი
დეტროიტი-სტ. ლუისი
კოლორადო-ლ ანჯელესი
ვანკუვერი-ანაჰაიმი

**25 მარტი**

ბოსტონი-ტამპა ბეი
ნიუ ჯერსი-რეინჯერსი
აილენდერსი-კალგარი
ფილადელფია-მინესოტა
კაროლინა-ვაშინგტონი
ატლანტა-ტორონტო
კოლამბუსი-ჩიკაგო
მონრეალი-ფლორიდა
სტ. ლუისი-ლოს ანჯელესი
ნეშვილი-ფინიქსი
სან ხოსე-დალასი

**26 მარტი**

ბაფალო-ოტავა
დეტროიტი-მინესოტა
ედმონტონი-ანაჰაიმი

**27 მარტი**

ბოსტონი-კალგარი
პიტსბურგი-ფილადელფია
ბაფალო-ტამპა ბეი
ტორონტო-რეინჯერსი
მონრეალი-ნიუ ჯერსი
ოტავა-ფლორიდა
კაროლინა-ატლანტა
კოლამბუსი-აილენდერსი
ნეშვილი-დეტროიტი
ფინიქსი-კოლორადო
სან ხოსე-ვანკუვერი
ლოს ანჯელესი-დალასი

**28 მარტი**

ვაშინგტონი-კალგარი
პიტსბურგი-ტორონტო
სტ. ლუისი-ედმონტონი
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
ჩიკაგო-კოლამბუსი
სან ხოსე-კოლორადო

**29 მარტი**

ბოსტონი-ბაფალო
ატლანტა-კაროლინა
ფლორიდა-ნეშვილი
მინესოტა-ლოს ანჯელესი
ანაჰაიმი-დალასი

**30 მარტი**

ტორონტო-ატლანტა
ნიუ ჯერსი-ბოსტონი
აილენდერსი-რეინჯერსი
ვაშინგტონი-ოტავა
კოლამბუსი-ტამპა ბეი
დეტროიტი-ედმონტონი
სტ. ლუისი-ჩიკაგო
ნეშვილი-ლოს ანჯელესი
ვანკუვერი-ფინიქსი

**31 მარტი**

ბაფალო-ფლორიდა
მონრეალი-კაროლინა
პიტსბურგი-ტამპა ბეი
მინესოტა-ჩიკაგო
დალასი-სან ხოსე
კოლორადო-ანაჰაიმი
კალგარი-ფინიქსი

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2011**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ლუქსემბურგი-ბოსნია | 0:1 |
| ესპანეთი-ლიხტენშტაინი | 3:1 |
| გერმანია-ისლანდია | 2:2 |
| სან მარინო-ჩრ. ირლანდია | 0:3 |
| შოტლანდია-აზერბაიჯანი | 2:2 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-ირლანდია | 2:0 |

**Under 21**

| | |
|---|---|
| ბელარუსი-რუსეთი | 1:0 |
| თურქეთი-სლოვაკეთი | 0:1 |
| პორტუგალია-შვედეთი | 0:2 |
| საფრანგეთი-ხორვატია | 3:1 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| როვერსი-სტოკპორტი | 1:0 |
| საუთჰემპტონი-ჰადერსფილდი | 5:0 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-ბრედფორდი | 1:0 |
| ჩელტენემი-ჰერეფორდი | 0:1 |
| დარლინგტონი-პორტ ვეილი | 1:3 |
| ნოტსი-მაკლსფილდი | 1:0 |
| როჩდეილი-როტერჰემი | 4:0 |
| ტორკი-დაგენჰემი | 0:0 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| კემბრიჯი-ოქსფორდი | 1:1 |
| ისტბურნი-სტივენეიჯი | 0:6 |
| კიდერმინსტერი-ებსფლიტი | 2:2 |
| მენსფილდი-ლუტონი | 0:0 |
| სალისბერი-ქროული | 2:2 |
| ტამუორტი-გეიტშიდი | 1:0 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| არლი-სედანი | 1:0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ნასიონალი-ბელენენსეში | 1:0 |

**შოტლანდია**

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეირი-ეირდრი | გადაიდო |
| დანფერმლაინი-რეითი | გადაიდო |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სტირლინგი-სტენჰაუზმური | 1:1 |
| პიტერჰედი-დამბარტონი | 2:1 |
| კოუდენბითი-არბროა | გადაიდო |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანენი-ფორფარი | 1:1 |
| ისტ სტირლინგი-ქუინზ პარკი | 0:3 |
| მონროუზი-ალბიონი | 0:0 |

**ველსი**

| | |
|---|---|
| ქერსოუსი-ქონეჰსი | 1:0 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| უნიქსი-გალათასარაი | 92:89 |
| ჰაპოელი (ი)-ვალენსია | 64:69 |
| თურქ ტელეკ.-გრან კანარია | 78:79 |
| არისი-ხუვენტუდი | 84:54 |
| ბამბერგი-პანელინიოსი | 84:81 |
| ცრვენა ზვეზდა-ნიმბურკი | 55:73 |
| ბილბაო-ბენეტონი | 68:72 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| ენისეი-ანტვერპენი | 89:77 |
| ბანვითითი-როანი | 95:83 |
| ჟელეზნიკი-ზაგრები | 63:74 |
| ბუდუჩნოსტი-სკავოლინი | 90:87 |
| აპოელ-შალონი | 85:72 |
| გეტინგენი-კრასნია კრილია | 89:68 |
| ეიფელ ტაუერსი-აელ | 91:79 |
| ლიეჟი-ერტლანდი | 92:100 |

**ჰოკეი**

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 3:2 |
| ლინცი-ვილახი | 7:2 |
| ვენა-ალბა | 5:5 დ.დ. 1:0 |
| გრაცი-ზაგრები | 3:3 დ.დ. 0:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-კიოლნი | 4:1 |
| ვოლფსბურგი-კასელი | 4:0 |
| იზერლონი-ინგოლშტადტი | 3:4 |
| კრეფელდი-შტრაუბინგი | 4:1 |
| მანჰაიმი-აუგსბურგი | 4:2 |
| ნიურნბერგი-ჰამბურგი | 1:1 დ.დ. 0:1 |
| ჰანოვერი-ფრანქფურტი | 3:3 ბულ. 0:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ოდენსე-ფრედრიკშავნი | 4:2 |
| როდოვრე-ჰვიდოვრე | 7:0 |
| რუნგსტედი-ჰერნინგი | 2:3 |
| ოლბორგი-ესბერგი | 2:2 დ.დ. 0:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-აიკ | 4:2 |
| ფრიოლუნდა-ჰვ71 | 7:3 |
| იურგორდენი-ბრიუნასი | 1:1 დ.დ. 0:0 |

**ჩოგბურთი**

**WTA. მონტერეი**

| | |
|---|---|
| კორნე-სტრიუკოვა | 6:3, 6:1 |
| ერანი-კირსტეა | 6:2, 6:3 |
| კრეიბასი-ბენეშოვა | 6:3, 2:6, 1:6 |
| გრონეფელდი-ჰრადეცკა | 6:2, 6:4 |
| პავლიუჩენკოვა-ტატიშვილი | 6:1, 6:2 |
| სავჩუკი-მეირი | 6:7, 0:6 |
| კანეპი-პარა სანტონხა | 7:6, 6:4 |

TV პროგრამა

**3 მარტი. ოთხშაბათი**

**I არხი**

14:55 ფეხბურთი. ევრო 2011 (UNDER 21). შესარჩევი მატჩი. ესტონეთი-საქართველო (LIVE).
18:55 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საქართველო-ესტონეთი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:40 100% დინამო.
09:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ცსკა-სევილია.
12:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
15:50 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ფიგურული სრიალი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა. ვანკუვერი. კანადა.
18:50 100% დინამო.
19:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:20 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. IV ტური. პროკომი-ცსკა.
21:05 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ჩელსი.
23:00 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
23:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. V ტური. უნიკახა-ცსკა (LIVE).
01:45 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
02:10 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ფიგურული სრიალი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა. ვანკუვერი. კანადა.
05:05 100% დინამო.
05:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ჩელსი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ბიატლონი. რბოლა გამოდევნებით 12.5 კმ. კაცები. ვანკუვერი. კანადა.
08:50 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. რუსეთი-ლატვია. ვანკუვერი. კანადა.
10:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბლექბერნი.
12:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ბიატლონი. რბოლა გამოდევნებით 10 კმ. ქალები. ვანკუვერი. კანადა.
14:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-კიოლნი.
16:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:05 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. ფინეთი-ბელარუსი. ვანკუვერი. კანადა.
18:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
20:30 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
21:00 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. IV ტური. პროკომი-ცსკა.
22:40 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ბიატლონი. რბოლა გამოდევნებით 10 კმ. ქალები. ვანკუვერი. კანადა.
23:30 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. შვეიცარია-კანადა. ვანკუვერი. კანადა.
01:35 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
02:05 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. V ტური. პარტიზანი-პანათინაიკოსი.
03:45 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ჰოკეი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. ფინეთი-ბელარუსი. ვანკუვერი. კანადა.
05:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბლექბერნი.
07:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი.
11:45 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. საუკეთესო მომენტები. ტელეჟურნალი.
12:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
13:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. E ჯგუფი.
13:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. F ჯგუფი.
13:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. G ჯგუფი.
14:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. H ჯგუფი.
14:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. A ჯგუფი.
14:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. C ჯგუფი.
14:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. D ჯგუფი.
15:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ფინალი. განა-ეგვიპტე. ანგოლა.
16:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
17:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
18:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. A ჯგუფი.
18:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. B ჯგუფი.
19:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. C ჯგუფი.
19:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. D ჯგუფი.
19:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. E ჯგუფი.
19:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. F ჯგუფი.
20:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. G ჯგუფი.
20:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა. H ჯგუფი.
20:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილეთა პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
21:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
22:15 მულტისპორტი.
22:20 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. კონკური. ბორდო. საფრანგეთი.
23:20 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:25 გოლფი. PGA-ის ტური.
00:25 გოლფ-კლუბი.
00:30 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
00:35 მულტისპორტი.
00:40 თავგადასავალი. აბუ დაბი. საემიროები. ტელეჟურნალი.
01:10 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. საუკეთესო მომენტები. ტელეჟურნალი.
01:55 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
02:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
03:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. ვანკუვერი. კანადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# გასოლი და სილვია



„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ესპანელი ლეგიონერი ჩირლიდერთა ჯგუფის წევრ გოგონას - **სილვია ლოპეს კასტროს** ხვდება. ამის შესახებ იტალიური პრესა წერს, რომელსაც კარგად ეხერხება სპორტსმენთა პირად ცხოვრებაზე თვალის მიდევნება.

პაუ და სილვია ერთმანეთს გასულ წელს ევროპის ჩემპიონატის წინ შეხვდნენ, რომელიც პოლონეთში გაიმართა. ჩირლიდერთა ჯგუფის დირექტორი **ევა როდრიგესი** ამბობს, რომ კალათბურთელსა და მოცეკვავეს სიყვარული ცოტათი მოგვიანებით ეწვიათ. ახლა ისინი ერთად ცხოვრობენ ლოს ანჯელესში - პაო კალათბურთს თამაშობს, მის კასტრო კი დიეტოლოგიას სწავლობს. უნდა აღინიშნოს, რომ შეყვარებულებს არამარტო სიმაღლე, არამედ ასაკიც განასხვავებთ. გასოლი 8 წლით უფროსია სილვიაზე.



# ექვსიანი ლებრონი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მთავარმა ვარსკვლავმა **ლებრონ ჯეიმსმა** საბოლოოდ გადაწყვიტა სათამაშო ნომრის შეცვლა. „კლივლენდ კავალიერზის" მსუბუქმა ფორვარდმა უკვე გაუგზავნა შესაბამისი დოკუმენტები ლიგის ხელმძღვანელობას და მომავალი სეზონიდან ზურგზე 23-ის ნაცვლად მე-6 ნომერს დაიწერს. ამით ლებრონი პატივისცემას გამოხატავს ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანის** მიმართ.

*„მე უკვე მივიღე საბოლოო გადაწყვეტილება და ყველა საჭირო ქაღალდი შევავსე. გაისად „ექვსიანით" ვითამაშებ"*, - აღიარა ჯეიმსმა.

შეგახსენებთ, რომ ლებრონმა პირველად ნომრის შეცვლა გასული წლის ნოემბერში ახსენა და ლიგის იმ კალათბურთელებს, რომლებიც თავიანთ კლუბებში 23-ე ნომრით თამაშობენ, იმავე ნაბიჯისკენ მოუწოდებს. „ექვსიანზე" არჩევანი კი შემთხვევითი არ გახლავთ. სწორედ ამ ნომრით თამაშობდა ჯეიმსი პეკინის ოლიმპიადაზე.

ჩოგბურთი

# დეკერი მსახიობი გახდა

სუპერმოდელი **ბრუკლინ დეკერი**, რომელიც ამერიკელი ჩოგბურთელის **ენდი როდიკის** მეუღლე გახლავთ, მსახიობის კარიერას იწყებს.

დეკერმა, რომელმაც ცოტა ხნის წინ ფოტოსესია მოაწყო ჟურნალ Sports Illustrated-თვის, როლი მიიღო ფილმში - Just go with it. ეს არის რომანტიკური კომედია, რომელშიც მთავარ როლებს ჰოლივუდის ვარსკვლავები - **ადამ სენდლერი** და **ჯენიფერ ენისტონი** ასრულებენ. ფილმი 2011 წელს გამოვა ეკრანებზე.

*„ბედნიერი ვარ, რომ მსახიობთა ასეთ ანსამბლთან ერთად მიწევს მუშაობა. იმედი მაქვს, არავის ეწყინება, თუ სენდლერს ჩემს მომდევნო ფოტოსესიაში მონაწილეობის მისაღებად მივიწვევ"*, - განაცხადა 22 წლის მოდელმა.





გასული კვირის ბოლოს პაპარაცებმა უკრაინელი მძიმეწონოსნის **ვლადიმერ კლიჩკოს** შეყვარებული - მსახიობი **ჰაიდენ პანეტიე** გალერეა Kantor-ში დააფიქსირეს. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მსახიობს თითზე ნიშნობის ბეჭედი ეკეთა.

აქამდე ცნობილი იყო, რომ 20 წლის ჰაიდისა და 33 წლის ვლადიმირის რომანი სწრაფად ვითარდებოდა, მაგრამ საქორწინო ბეჭდამდე ასე მალე თუ მივიდოდა საქმე, არავის ეგონა. ის, რომ პანეტიე ნამდვილად საქორწინო ბეჭედს ატარება, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ის საკმაოდ დიდი ზომისაა და უზარმაზარი ბრილიანტებით არის მორთული. ჰაიდენი ცოტა ხნით შეგნებულად შეჩერდა პაპარაცების წინ და ბეჭდით თავი მოიწონა.

კრივი

# კლიჩკოს ჰაიდი დანიშნა

როგორც ჩანს, მსახიობს დიდად არ აღელვებს გარშემომყოფთა და ჟურნალისტთა აზრი, რომლებმაც თავის დროზე საკმარისად დასცინეს წყვილს სიმაღლის გამო - სუპერმძიმე წონაში WBO-სა და IBF-ის ჩემპიონი შეყვარებულზე ბევრად მაღალია.

კლიჩკოსა და პანეტიეს რომანის შესახებ ინფორმაცია 2009 წლის მარტში გაჩნდა, როცა წყვილი დასავლეთ ჰოლივუდში, ჟურნალ Vogue-ის ექსრედაქტორის საღამოზე შენიშნეს. მაშინ მოკრივემ განაცხადა, რომ მას და მსახიობს მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ, მაგრამ მალე მათი რომანის შესახებ საქვეყნოდ გახდა ცნობილი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**







